



საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტის საქართველოს პარლამენტის

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 14 მაისს მიღებულ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

ეს კანონი ზედმიწევნით იმეორებს რუსული კანონის სულისკვეთებას. კანონი, ფაქტობრივად, იგივეა, რაც 2023 წლის 10 მარტს უკან გაწვეული ე.წ. აგენტების კანონი, რომლიდანაც ამოღებული სიტყვები: „უცხოური გავლენის აგენტი“, ჩანაცვლებულია ტერმინით: „„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“, რომელიც ტერმინის - „აგენტი“ განმარტებაა. ჯერ კიდევ 2023 წლის ივლისში ეუთო/ოდირის მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნა (იხ. დანართი) ცალსახად ადასტურებს, რომ კანონი არადემოკრატიულია, ეწინააღმდეგება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და ევროპულ სტანდარტებს.

კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“
არაკონსტიტუციურია, რადგან:

ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 22-ე მუხლს - „გაერთიანების თავისუფლება“. კანონი აიძულებს ორგანიზაციებს, დარეგისტრირდნენ უცხო ძალის ინტერესების გამტარებლებად, ანუ აგენტებად. ასეთი თვითაღიარების

იძულება იწვევს მათ სტიგმატიზაციას. კანონი ქმნის ყველა პირობას, რომ ორგანიზაციის საქმიანობა შეიზღუდოს და საბოლოოდ გაუქმდეს.

ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-15 მუხლს - „პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები“. კანონი აწესებს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების მიწოდების ვალდებულებას, რაც არღვევს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, რომ მისი პირადი და ოჯახური სივრცე იყოს დაცული ყოველგვარი გაუმართლებელი ჩარევისაგან. ამ კუთხით კანონი ინტიმიდაციას და შიშის დანერგვას ემსახურება.

ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-11 მუხლს - „თანასწორობის უფლება“. კანონი დისკრიმინაციულია, რამდენადაც გაერთიანებების მხოლოდ კონკრეტულ სეგმენტს მოიცავს და დაუსაბუთებელია, რატომ განასხვავებს არაკომერციულ ორგანიზაციებს უცხოური დაფინანსების მიღების ნიშნით. უნგრეთში მოქმედი კანონის შეფასებისას, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ (CJEU) დაასკვნა, რომ უნგრეთში იურიდიული პირების განსხვავება დაფინანსების წყაროს მიხედვით, არაპირდაპირი დისკრიმინაციაა.

ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 78-ე მუხლს - „ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“. კანონი თავისი მიღების ფორმითა და შინაარსით წარმოადგენს რეალურ დაბრკოლებას საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ევროკავშირის ოფიციალური სტრუქტურების პოზიცია ნათელია - კანონი ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნის მიმართ არსებულ მოთხოვნებს. კანონი პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციური ორგანოებისათვის კონსტიტუციით დაწესებულ ვალდებულებას, მიიღონ ყველა ზომა ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციისათვის.

ამ კანონის გაუმჯობესება შეუძლებელია. კანონი მთელი თავისი შინაარსით არის არაკონსტიტუციური, მაშასადამე, არაქართული, არაევროპული და არადემოკრატიული. ამდენად, იგი არ ექვემდებარება გაუმჯობესებას მასში

ცვლილებების შეტანის გზით, რადგან მისი არსი, მისი შინაარსი და პრინციპები მიუღებელია. შესაბამისად, კანონის გაუქმება არის უალტერნატივო და წარმოადგენს ქართველი ხალხის ნებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ, კანონი გაუქმდეს ამოქმედებიდან უმოკლეს ვადაში, მომდევნო დღესვე და წარმოგიდგენთ შესაბამის კანონპროექტს.

სალომე ზურაბიშვილი

საქართველოს კანონი

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ეს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აწესრიგებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ეს კანონი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას.

მუხლი 2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია

1. ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:

ა) ისეთი არასამეჩარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

ბ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

გ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

დ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის შემოსავალი არის ფულადი თანხა ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთე (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთი). იმ შემოსავლის ღირებულება, რომელიც არ არის ფულადი თანხა, ამ მუხლის მიზნებისთვის მისი საბაზრო ფასით გამოითვლება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებულმა შესაბამისმა სუბიექტმა მიიღო შემოსავალი, თუ მას გადაეცა ფულადი თანხა ან იგი გახდა ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთის) მესაკუთრე ან მოსარგებლე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლის წყარო უცხოური ძალაა, თუ:

ა) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

ბ) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო იმ იურიდიული პირისგან, რომელმაც შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

გ) აღნიშნული შემოსავლის წყარო იდენტიფიცირებული არ არის.

მუხლი 3. უცხოური ძალა

ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალა არის:

ა) უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი;

ბ) ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;

გ) იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არის დაფუძნებული;

დ) ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული.

მუხლი 4. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია

1. სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის მომდევნო კალენდარული წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია 2 სამუშაო დღეში უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის სათანადო ვებგვერდზე იმგვარი დაშვება, რომ მან შეძლოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის (შემდგომ – განაცხადი) ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შევსება და სააგენტოსთვის წარდგენა.

2. სუბიექტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სათანადო ვებგვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღეში

ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

3. განაცხადის ავტორი ვალდებულია განაცხადში, რომელიც იმავდროულად მისი საფინანსო დეკლარაციაა, ასახოს შემდეგი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში):

- ა) განაცხადის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- ბ) განაცხადის ავტორის ადგილსამყოფლის მისამართი;
- გ) განაცხადის ავტორის ვებგვერდის მისამართი;
- დ) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ;
- ე) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ;
- ვ) განაცხადის შევსების თარიღი.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში. თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. განაცხადის ავტორი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ რეესტრში.

5. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში აღრიცხვისთვის საფასური არ გადაიხდევინება.

6. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების წესებს, აგრეთვე განაცხადის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 5. განაცხადის, სხვა სათანადო დოკუმენტებისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის საჯაროობის უზრუნველყოფა

1. განაცხადი და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება საჯაროა. სააგენტო ვალდებულია სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი განაცხადის, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების, არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე აღნიშნული სუბიექტის მოქმედი წესდების, სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და საჯარო რეესტრიდან ამ სუბიექტის შესახებ ბოლო ამონაწერის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში შეტანილი ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს მისი სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

მუხლი 6. ყოველწლიური საფინანსო დეკლარაცია

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შეცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია

დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაცია და მასში ასახული ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის წარდგენის წესს, აგრეთვე აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 7. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებულ სუბიექტს, რომელიც, წინა კალენდარული წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აღარ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება აქვს, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენისას დასაბუთებული წერილობითი განცხადებით, მატერიალური ფორმით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოსთხოვოს მისი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმება. ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნული საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე 30 სამუშაო დღეში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

2. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია ეს სუბიექტი დაუყოვნებლივ ამორიცხოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრიდან და სათანადო ვებგვერდიდან წაშალოს აღნიშნულ სუბიექტთან დაკავშირებით ამ კანონის შესაბამისად მანამდე გასაჯაროებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჯაროა და სათანადო ვებგვერდზე ქვეყნდება.

4. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 8. მონიტორინგი

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი – საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.

2. მონიტორინგის დაწყების საფუძველია:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.

3. მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

4. ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 6 თვეში ერთხელ.

5. თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბიექტი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მან უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციას თავი აარიდა, სააგენტო აღნიშნულ სუბიექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე არეგისტრირებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია ამ სუბიექტს არ ათავისუფლებს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

6. მონიტორინგის წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა და სამართალწარმოების საკითხები

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის იმავე მუხლით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 25 000 ლარის ოდენობით.

2. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობა ან ამ კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის შევსებისა და წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გაგრძელება იმავე ქმედების ჩადენისთვის ბოლოს დადებული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 თვის განმავლობაში –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს ადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სხვა სათანადო საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი სუბიექტისთვის დაკისრება არ ათავისუფლებს მას ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისაგან.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს შეიძლება დაკისროს მხოლოდ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში.

8. ამ კანონის საფუძველზე ან/და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. ამ პუნქტის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში:

ა) შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა მიიღონ/გამოსცენ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტები და უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სააგენტომ განახორციელონ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო წინასწარი მატერიალურ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებები.

2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც, 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს იმავე მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამის შემდეგ ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.

მუხლი 11. კანონის ამოქმედება

- ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- ეს კანონი მოქმედებს ამოქმედებიდან 1 დღის განმავლობაში.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2024 წლის ... მაისი

ვარშავა, 2023 წლის 25 ივნისი
აზრი-№: NGO-GEO/465/2023 [JB]

მოსაზრება საზღვარგარეთიდან
დაფინანსებული ასოციაციების
გამჭვირვალობისა და რეგულირების
შესახებ საკანონმდებლო
ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელი
აგენტების შესახებ კანონების“ და
მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და
მათი შესაბამისობა ადამიანის
უფლებათა საერთაშორისო
სტანდარტებთან

საქართველო

წინამდებარე მოსაზრების შემუშავებაში წვლილი შეიტანეს ქ-ნმა
ალის თომასმა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და
სამართლებრივი ექსპერტი, და ODIHR-ის შეკრებისა და ასოციაციის
თავისუფლების ექსპერტთა პანელის წევრების მიერ.

მოსაზრება ასევე მომზადდა ბ-ნ კლემენტ ვულესთან, გაეროს
მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების
უფლებებთან დაკავშირებით სპეციალურ მომხსენებელი,
კონსულტაციების შედეგად, როგორც სამოქალაქო სივრცის დაცვისა
და ხელშეწყობის ერთობლივი სამოქმედო ჩარჩოს ნაწილი.

მოსაზრება სა ზღვა რგარეთადან და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და
რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოვლიაგენტების შესახებ
კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლება თან
საკრის შორისონარისა და რჩებონ ნ.



ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის
უფლებათა ოფისი

მიოდოვას ქუჩა 10, PL-00-251 ვარშავა
ოფისი: +48 22 520 06 00, ფაქსი: +48 22 520 0605
www.legislationonline.org

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თად ნ და ფინანსებული ა ს ციია ციების გა მჯგორვა ლობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ა ნ კ.წ. „უცხოულია გენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მა თ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თანა საერთო შორისონტან ნდა რტებონ ნ.

შესავალი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) მიესალმება საქართველოს სახალხო დამცველის მოთხოვნას საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტიზის თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავენ შეზღუდვების შემოღებას კონკრეტულად გამიზნული გარკვეული ასოციაციების მიმართ, რომლებიც იღებენ დაფინანსებას ან სხვა სახის მხარდაჭერას საზღვარგარეთიდან (ან სხვა სახელწილებით „უცხოელი აგენტების კანონები“).

წინამდებარე მოსაზრების მთავარი მიზანია „უცხოელი აგენტების კანონით“ ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივებით გამოწვეული ადამიანის უფლებების კუთხით შეშფოთების მიმოხილვა, რომელიც წამოიჭრა მათი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მხრივ და ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებებთან, უპირველეს ყოვლისა გაერთიანების თავისუფლებასთან, ასევე სხვა უფლებებთან, მათ შორის გამოხატვისა და აზრის თავისუფლებასთან, პირადი ცხოვრების პატივისცემისა, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის და დისკრიმინაციის თავისუფლებასთან.

წინამდებარე მოსაზრება მოთხოვნილ იქნა საქართველოში ორი საკანონმდებლო ინიციატივის („კანონპროექტი უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ და „კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“) შემუშავების შემდეგ, რომლებიც ახლა ორივე გამოთხვილია. თუმცა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა შესაბამისი საერთაშორისო ნორმების, რეკომენდაციებისა და შედარებითი პრაქტიკის მიმოხილვა, ასევე ამ და მსგავსი კანონმდებლობით წამოჭრილი ადამიანის უფლებების პრობლემების შესახებ.

გაერთიანების თავისუფლების უფლება არის ძლიერი, პლურალისტური და მონაწილეობითი დემოკრატიის ქვაკუთხედი და საფუძვლად უდევს ადამიანის სხვა უფლებების ფართო სპექტრის განხორციელებას. დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის საერთაშორისო და უცხოურ დაფინანსებაზე, არის გაერთიანების თავისუფლების არსებითი ელემენტი. როგორც გაერთიანების თავისუფლების ერთობლივ სახელმძღვანელოშია ხაზგასმული, გაერთიანების თავისუფლება დაკარგავს თავის მნიშვნელობას, თუ გაერთიანების მსურველ ჯგუფებს არ ექნებათ სხვადასხვა ტიპის რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა, მათ შორის ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებზე და სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის საჯარო თუ კერძო, საშინაო, უცხოური თუ საერთაშორისო. ასოციაციებს სჭირდებათ დაფინანსება თავიანთი საქმიანობისთვის, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა საეჭვოდ მიიჩნევს უცხოურ დაფინანსებას. მთლიანობაში, ეგრეთ წოდებული „უცხოელი

აგენტების კანონების" ან მსგავსი კანონმდებლობის მიზანია, ზოგადად, გაზარდოს ასეთი დაფინანსების და მიმღები ასოციაციების საქმიანობის კონტროლი ასეთი ასოციაციებისთვის ახალი ვალდებულებების შემოღებით, როგორიცაა რეგისტრაციის ცალკე და ზოგადად გადატვირთული სახეობა, იარღიყის მიკერება, ანგარიშების, აღრიცხვისა და გამოქვეყნების/გამუდავნების მოთხოვნები, ასევე სპეციალური ზედამხედველობა, ინსპექტირება და სანქციები მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუმცა, ასეთი კანონმდებლობა, როგორც წესი, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მკაცრ მოთხოვნებს, რომლებიც არეგულირებენ გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის დაწესებას - კერძოდ, რომ ისინი უნდა იყოს დადგენილი კანონით, განახორციელოს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანი, იყოს პროპორციული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და იყოს არადისკრიმინაციული.

საერთაშორისო დოკუმენტების გარდა, მოსაზრება გვთავაზობს შედარებითი პერსპექტივის მიმოხილვას და ეხება როგორც რეგიონულ სასამართლო პრაქტიკას, ასევე სხვა ავტორიტეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც გვთავაზობენ სასარგებლო მითითებებს გაერთიანების თავისუფლებასთან და სხვა მონათესავე უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების მნიშვნელობასა და ფარგლებთან დაკავშირებით.

კერძოდ, უნდა აღინიშნოს შემდეგი მირითადი საკითხები და მოსაზრებები „უცხოელი აგენტების კანონებთან“ და ზოგადად მსგავს საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით:

(1) ამგვარი საკანონმდებლო ინიციატივების დამტკიცების რაციონალურობას რაც შეიხება:

- ზოგადად, ასეთი საკანონმდებლო ინიციატივების დამტკიცების დასაბუთება არ მიუთითებს რეალურ, მიმდინარე ან გარდაუვალ, საკმარისად სერიოზულ საფრთხეზე ეროვნული ინტერესებისთვის ან დემოკრატიისთვის, რაც დასაბუთებულია სამოქალაქო საზოგადოების რისკზე დაფუძნებული სათანადო შეფასებით, რაც ადასტურებს სამოქალაქო საზოგადოების სპეციფიკურ ჩართულობას არასამთავრობო სექტორის ისეთი დანაშაულების ჩადენაში, როგორიცაა კორუფცია, ტერორიზმის დაფინანსება, ფულის გათეთრება ან დაკავშირებული დანაშაულებები; [პარაგრაფები. 30, 35-36, 52 და 56]
 - ეროვნული ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ინიციატივების გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები, როგორც წესი, არ არის „რელევანტური და საკმარისი“, ვერ ამტკიცებს, თუ რატომ არის არსებული საკანონმდებლო ბაზა არასაკმარისი და/ან არაეფექტური, ასევე ვერ ადასტურებს შემოთავაზებული ზომების ადეკვატურობას დასახული

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თიდა ნ და ფინანსებული ა სოციაციების გა მჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ა ნ ე.წ. „უცხოელიანებული შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უცხლული საერთაშორისო სტანდარტებთან; [პარაგრაფები 30, 36, 38-40 და 59-60]

- მიზნის მისაღწევად; აბსტრაქტული ვარაუდი, რომ უცხოეთიდან წარმოშობილი ყველა დაფინანსება წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს ეროვნული ინტერესებისთვის, შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან; [პარაგრაფები 30, 36, 38-40 და 59-60]
- ჩვეულებრივ, დაფინანსების უცხოური წარმოშობის საფუძველზე განსხვავებული მოპყრობისთვის სათანადო დასაბუთება არ არის გათვალისწინებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი დიფერენციალური მოპყრობა შესაძლოა ჩაითვალოს დისკრიმინაციულად; [პარაგრაფები 42-45]
 - ზოგადად, არ არსებობს ახსნა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იყოს ის ზომები, რომლებიც ეხება ასოციაციებს, უფრო მკაფრი, ვიდრე ის, რაც ზოგადად გამოიყენება ბიზნეს ან კომერციულ სუბიექტებზე; [პარაგრაფი 48]
 - კანონმდებლები, როგორც წესი, ვერ გვაჩვენებენ, რომ მათ შეაფასეს კანონმდებლობის პოტენციური ნეგატიური გავლენა ასოციაციებზე ან განიხილეს სხვა სამართლებრივი ალტერნატივები და შეარჩიეს ყველაზე ნაკლებად ხელისშემსლელი ზომები ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით; [პარ. 75]
 - ასოციაციების დაფინანსების „გამჭვირვალობის“, „გახსნილობის“ ან „საჯაროობის“ უზრუნველყოფის მიზანი თავისთავად არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, როგორც ეს აღწერილია ზემოხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტებში, თუმცა შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ის შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ან ერთზე მეტი ლეგიტიმური მიზნის დევნის საშუალებას, რომლითაც აღიარებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვის დაშვება, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგი ან ისეთი დანაშაულების პრევენცია, როგორიცაა კორუფცია, მითვისება, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება; [პარ. 52]
 - ისეთი საკითხები, როგორიცაა ფულის გათეთრების პრევენცია ან ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა, თავისთავად არ ამართლებს ყველა ასოციაციისთვის ახალი ანგარიშების ვალდებულების დაწესებას კონკრეტული საფრთხის ან ინდივიდუალური უკანონო საქმიანობის რაიმე კონკრეტული მითითების გარეშე; [პარ. 56]
 - მითითებები შეერთებული შტატების უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტზე და 2018 წელს მიღებულ ავსტრალიის საგარეო გავლენის გამჭვირვალობის სქემის აქტზე, რომლებიც ფუნდამენტურად განსხვავებულია მათი ძალიან განსხვავებული მიზნისა და მოცულობის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს შესაბამის შედარებით მაგალითებს უცხოეთიდან დაფინანსების მიმღები ასოციაციებისთვის საკანონმდებლო ინიციატივების დაწერვის გასამართლებლად; [პარაგრაფები 65-66]

მოსაზრება სა ზღვა რე თად ნ და ფინანსები ა ს ი ც ი ა ც ი ე გ ი ს გ ა მ ჯ ვ ი რ ვ ა ლ მ ბ ი ს ა დ
რე გ უ ლ რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა კ ა ნ მ ნ მ დ დ ლ ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ე ბ ი ს ა ნ ე წ . „ უ ც ხ ო ლ ი ა გ ე ნ ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ
კ ა ნ მ ნ ე ბ ი ს უ დ დ ს გ ა ვ ს ი კ ა ნ მ ნ მ დ დ ბ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ დ ა მ ა თ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი ს ა დ მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ
ს ა კ რ ი ს შ ო რ ი ს ი ს ტ ა ნ დ ა რ ე ბ ი ს ნ .

- (2) ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ე.წ. „უცხოელი აგენტების“ კანონების ან
მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების ფარგლებში და ექვემდებარება ახალ
შეზღუდვებსა და ვალდებულებებს ორგანიზაციების განსასაზღვრად,
როგორც წესი, ბუნდოვანია, ზედმეტად ფართო და/ან ორაზროვანი და არ
შეესაბამება კანონმდებლობის სიზუსტის და განსაზღვრულობის პრინციპს,
რაც გაურკვეველს ხდის ცნების ფარგლებს და მათთან დაკავშირებულ
ვალდებულებებს, რითაც პოტენციურად უშვებს განმახორციელებელი
ორგანოების შეუზღუდავ დისკრეციას და უფლებამოსილებების ბოროტად
გამოყენება; [პარ. 67]
- (3) საკანონმდებლო ინიციატივები ზოგადად აწესებს არაპროპორციულ
ვალდებულებებს, შეზღუდვებს ან აკრძალვებს, რომლებიც დაწესებულია ე.წ.
„უცხოელი აგენტებისთვის“ ან მსგავსი პირებისთვის, მათ შორის:
- ცალკე სარეგისტრაციო ვალდებულებები, რომლებიც თავისთავად
არასაჭიროდ და არაპროპორციულად ჩანს, მით უმეტეს, რომ
გადაჭარბებული სანქციები, როგორც წესი, მოქმედებს შეუსრულებლობის
შემთხვევაში; [პარაგრაფები 77-81]
 - იარლიყის მიკერების მოთხოვნების ზოგიერთი ფორმა მათ საქმიანობაზე,
რაც გარდა იმისა რომ არ არის საჭირო, შესაძლოა, ქვეყნის კონტექსტიდან
გამომდინარე, ჰქონდეს სტიგმატიზებული ეფექტი, თუნდაც ერთი
შეხედვით იყოს წეიტრალური, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვა
ასოციაციას არ მოეთხოვება საკუთარ თავზე იარლიყის დაწესება, რათა ხაზი
გაუსვას თავის კანონიერ სტრუქტურას; [პარაგ. 85-88]
 - ზედმეტად რთული და ძვირადღირებული ანგარიშგების მოთხოვნები,
განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს ვალდებულებები
ზოგადად ვრცელდება ყველა ასეთ ორგანიზაციაზე მკაფიო დასაბუთების
გარეშე, განურჩევლად მათი ზომისა და ოპერაციების მასშტაბისა, და რომ
ისინი აერთიანებენ ანგარიშგების მრავალ ფენას, ისევე როგორც აუდიტის
მოთხოვნებს, რითაც გამოიწვევენ, რომ ასეთ წესებთან შესაბამისობაში
უზრუნველყოფა იქნება უკიდურესად რთული და ძვირი, რაც გამოიწვევს
კონკრეტულად ასეთი ორგანიზაციებისთვის დამატებითი
ვალდებულებების დაკისრებას; [პარაგრაფები 98-100]
 - მოხსენებისა და ინფორმაციის გამუდავნების მოთხოვნები, რომლებიც
მოითხოვს წევრების, დამფუძნებლების, დონორების, ბენეფიციართა და/ან
პერსონალის შესახებ პერსონალური ინფორმაციის მიწოდებას, რამაც
შეიძლება ხელი შეუშალოს მათ როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის
უფლებას, ასევე ასოციაციების კონფიდენციალურობას; [პარაგრაფები 101-
104]
- (4) „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონები ზოგადად ითვალისწინებენ
კონტროლის საშუალებებს, მათ შორის არაგეგმიური შემოწმების

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებულ ა სოციაციების გამჭვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოელიანებული შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა საკრის შორის ს ჩა ნ და რჩებთ თ ნ.

შესაძლებლობას, რომელიც არ არის დაფუძნებული მკაფიო სამართლებრივ საფუძვლებზე, არ არის მკაცრად განსაზღვრული და არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი სასამართლოს ბრძანებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური ეფექტი და შეიძლება ასევე წარმოადგენდეს პოტენციური დაშინების და შევიწროების ინსტრუმენტს ხელისუფლების ხელში, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც აკრიტიკებენ ან არ ეთანხმებიან ხელისუფლებას; [პარაგრაფები 107-109]

- (5) „უცხოელი აგენტების“ შესახებ ზოგიერთი კანონი ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას ან თუნდაც თავისუფლების აღკვეთას „უცხოელი აგენტებისთვის“ დაკისრებული ახალი მოთხოვნების/ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, რაც თავისთავად არაპროპორციული იქნებოდა, ისევე როგორც ასოციაციის დაშლის მოთხოვნა, რომელიც უნდა იყოს საგამონაკლისო ზომა და გამოიყენებულ იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში; [პარაგრაფები 110-113].
- (6) „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონები პატივს არ სცემენ თანაბარი მოპყრობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებულია ICCPR-ის 26-ე მუხლში, ECHR-ის მე-14 მუხლში და ECHR-ის მე-12 პროტოკოლში, რადგან აღნიშნული ვალდებულებები რელევანტურია ასეთი ორგანიზაციების დაფინანსების უცხოურ წარმოშობასთან და აქვს არაპირდაპირი დისკრიმინაციული გავლენა გარკვეული კატეგორიის ასოციაციების მიმართ, ზოგადად მათზე, რომლებიც ახორციელებენ ისეთ საქმიანობას, რომელიც არ შეესაბამება საზოგადოების უმრავლესობის აზრებს და იდეებს, ან მართლაც, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მათ; [პარაგრაფები 42-45 და 115-116]
- (7) პრაქტიკაში, „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონები საფრთხეს უქმნიან გარკვეული ორგანიზაციების სტიგმატიზაციას და/ან დისკრედიტაციას, რომლებიც ახორციელებენ ლეგიტიმურ საქმიანობას, მათ შორის ადვოკატირებას და საჯარო საქმიანობაში/დებატებში მონაწილეობას და შეიძლება პოტენციურად გამოიწვიონ უნდობლობა, შიში და მტრობა ასეთი ორგანიზაციების მიმართ, მათ შორის ბენეფიციარებისგან, ფართო საზოგადოებისგან და საჯარო დაწესებულებები/ორგანოებისგან, რითაც ზედმეტად ართულებს მათ საქმიანობას. [პარაგრაფები 83-88]

მისი მანდატის ფარგლებში, დაეხმაროს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებების შესრულებაში, ODIHR, მოთხოვნის შემთხვევაში, ახორციელებს კანონპროცესურული კანონმდებლობის მიმოხილვას, რათა შეაფასოს მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ეუთოს ადამიანის

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებულო ა სოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიანებულების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება საკრის შორის სტანდარტის და რჩებოდა.

განზომილების ვალდებულებებთან და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისთვის.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსების ული ასოციაციების გამჭვირვალობისა და
რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ
კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადგინის უფლება თან
საერთო მორისონტანის და რჩებონ.

სარჩევი

I. შესავალი	11
II. მოსაზრების ფარგლები	12

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თადა ნ და ფინანსებული ა სოცია ციების გამჭვირვა ღობისა და
რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ
კანონების“¹ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა
საერთო შორისობრივ სტანდარტის შესახებ და რეგულირების შესახებ.

I. შესავალი

1. 2023 წლის 6 მარტს, ODIHR-მა მიიღო თხოვნა საქართველოს სახალხო დამცველისგან, მოემზადებინა სამართლებრივი ანალიზი საქართველოს კანონპროექტის უცხო აგენტების რეგისტრაციის შესახებ. ამას დაქმატა მორიგი თხოვნა 2023 წლის 24 თებერვალს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საქართველოს კანონპროექტის განხილვის შესახებ.
2. პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, 2023 წლის 10 მარტს ორივე კანონპროექტი გამოიხმეს.¹ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან შეთანხმებისამებრ, თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ODIHR-მა გააგრძელა მუშაობა, რომელიც ზოგადად უფრო ფოკუსირებული იყო ადამიანის უფლებების საკითხებზე, რომლებიც წარმოიშვა ორი კანონპროექტის და მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივის შედეგად, რომელიც გვთავაზობს შედარებით პერსპექტივას და ადამიანის უფლებათა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების უფრო ფართო მიმოხილვას, შემოთავაზებული ორი კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზის ნაცვლად.
3. აქედან გამომდინარე, წინამდებარე მოსაზრება ასახავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალურ სტანდარტებს და რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება იმ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა აღნიშნული ორი კანონპროექტით, რაც შესაძლებელს ხდის სხვა ქვეყნების მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების ან კანონმდებლობის შედარებით მიმოხილვას და ასევე მათ მიერ წამოჭრილი ადამიანის უფლებათა საკითხების განხილვა. იგი ყურადღებას ამახვილებს, კერძოდ, ადამიანის ზოგიერთ ძირითად უფლებაზე, რომელზეც პოტენციურად გავლენას ახდენს მსგავსი კანონები, კერძოდ გაერთიანების თავისუფლებაზე და მასთან დაკავშირებულ უფლებებზე, როგორიცა გამოხატვისა და აზრის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება და დისკრიმინაციისგან თავისუფლება. მოსაზრება კონკრეტულად განიხილავს კანონმდებლების მიერ ზოგადად გაუდერებულ დასაბუთებებს მსგავსი სახის კანონმდებლობის შემოღებისის თაობაზე და შეესაბამება თუ არა ისინი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. მოსაზრება ასევე აანალიზებს, შეიძლება თუ არა ასეთი ტიპის კანონებით შემოღებული შეზღუდვები გამართლებული იყოს საერთაშორისო ინსტრუმენტების თანახმად, რაც იმას ნიშნავს, არიან თუ არა ისინი კანონით განსაზღვრული, ხელშეკრულებაში/კონვენციაში ამომწურავად ჩამოთვლილი ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც გულისხმობს „აუცილებელი სოციალური საჭიროების“

¹ იხილეთ <ჰარებ მენტი უხსნის კანონპროექტს საგარეო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ - საქართველოს პარლამენტი>.

არსებობას და პროპორციულობის პრინციპის პატივისცემას და რამდენად არადისკურიმინაციული არიან ისინი.

4. ODIHR-მა მოამზადა წინამდებარე სამართლებრივი ანალიზი თავისი მანდატის ფარგლებში, რომ დაეხმაროს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებების შესრულებაში.

II. მოსაზრების ფარგლები

5. წინამდებარე მოსაზრების სფერო მოიცავს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ძირითად საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა იმ საკანონმდებლო ინიციატივებით, რომლებიც მიზნად ისახავენ გარკვეული ასოციაციების მიმართ კონკრეტულად გამიზნული შეზღუდვების შემოღებას, რომლებიც უცხოეთიდან იღებენ დაფინანსებას ან სხვა სახის მხარდაჭერას (ან ე.წ. „უცხო აგენტების კანონები“).²
 6. შემდგომი სამართლებრივი ანალიზი ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს, ნორმებსა და რეკომენდაციებს, ასევე ეუთოს ადამიანური განზომილების შესაბამის ვალდებულებებს. მოსაზრება ასევე ხაზს უსვამს, საჭიროების შემთხვევაში, ეუთოს სხვა წევრ სახელმწიფოების პრაქტიკას ამ სფეროში.
 7. უფრო მეტიც, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონკრეტულ დისკრიმინაციების შემდგომში „CEDAW“ და გენდერული თანასწორობის

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსები და სოცია ციების გამჭვირვა ღობისა და
რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ
კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლება თუ
საერთო შორისონტან და რეგებთან.

ხელშეწყობის ეუთოს 2004 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად⁴ და
გენდერის ეუთოს შესაბამის აქტივობებში, პროგრამებსა და პროექტებში
ჩართვის ვალდებულების შესაბამისად, წინამდებარე მოსაზრება
საჭიროებისამებრ ითვალისწინებს გენდერისა და მრავალფეროვნების
პერსპექტივას.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ODIHR-ს სურს ხაზი გაუსვას, რომ
წინამდებარე მოსაზრება არ აბრკოლებს ODIHR-ს მომავალში შეიმუშაოს
დამატებითი წერილობითი ან ზეპირი რეკომენდაციები ან კომენტარები
შესაბამის საკითხებზე საქართველოში ან ზოგადად ეუთოს რეგიონში.

III. სამართლებრივი ანალიზი და ძირითადი საკითხები

1. წინაისტორია

9. ათწლეულზე მეტი წელის განმავლობაში მომზადდა და/ან მიღებულ იქნა
მრავალი კანონი, რომელიც ცდილობს შეაფეროს ასოციაციების ან ზოგადად
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი და ფუნქციონირება. 2012
წლის ივლისში ფედერალური კანონის N.121-FZ⁵ მიღებიდან, რომელიც
ცვლის რუსეთის ფედერაციის გარკვეულ საკანონმდებლო აქტებს „უცხოური
აგენტების“ ფუნქციის შემსრულებელი არაკომერციული ორგანიზაციების
საქმიანობის რეგულირების შესახებ (შემდგომში „რუსეთის უცხო აგენტების
კანონი“, მას შემდეგ რამდენჯერმე შესწორებული), რომელიც წარმოადგენდა
ერთ-ერთ პირველს ასეთი კანონებიდან, შემდგომ რამდენიმე ქვეყანამ მიიღო
ან სცადა მიეღო მსგავსი კანონები, რომლებიც მიმართული იყო ასოციაციების
წინააღმდეგ, რომლებიც იღებენ ფინანსურ ან სხვა სახის დახმარებას
საზღვარგარეთიდან, არსებითად „უცხოური გავლენით“ გამოწვეული
სავარაუდო რისკების საწინააღმდეგოდ, ან უფრო ზოგადად, გამჭვირვალობის
მიზეზით ასოციაციებზე ანგარიშგების ახალი ვალდებულებების შემოღების
მიზნით.

წლის 18 დეკემბერს. საქართველომ მოახდინა CEDAW-ის რატიფიცირება 1994 წლის 26
ოქტომბერს.

4 როგორც ჯუთოს კომისადებანის 1990 წლის დოკუმენტში ნათქამი, კანონის უზენაესობა არ ნიშნავს მხოლოდ
ფორმულურ კანონირებას, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებრულობას და თანმიმდევრულობას დემოკრატიული
წესრიგის მიღწევასა და აღსრულებაში, არამედ სამართლიანობას, რომელიც დაფუძნებულია უმაღლესი ღირებულების
აღიარებასა და ადამიანის პიროვნების სრულ მიღებაზე და გარანტირებულია ინსტიტუციების მიერ, რომელიც
უზრუნველყოფებ მის სრულყოფილად გამოხატვის ჩარჩოს" (პარ. 2); აგრეთვე პარაგრაფი 5.12, რომელიც ეხება
„მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და საჯარო სასამართლო სამსახურის მიუკერძოებულ ფუნქციონირებას“ მორის
„მართლმსაჯულების იმ ელემენტებს მორის, რომლებიც არსებოთა ყველა ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და
თანაბრი და განუყოფელი უფლებების სრული გამოხატვისთვის“. აგრეთვე ჯუთოს მინისტრთა საბჭოს
გადაწყვეტილება №12/05 სახლის სამართლის სისტემის აღმიანის უფლებებისა და ანონის უზრუნველობის დაცვის
შესახებ 2005 წლის 6 დეკემბერი.

5 იხილეთ [«უფლება კანონი No. 20-FZ 07.2012.121 · სამართლი აქტების თვიცია ლორი გამოცემა \(pravo.gov.ru\)»](http://pravo.gov.ru).

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თად ნ და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიაგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლება თა საერთო შორისონ სტანდარტებთან.

10. ასეთი კანონმდებლობის ერთ-ერთი მაგალითია კანონები, რომლებიც ფოკუსირებულია საზღვარგარეთიდან დაფინანსების მიმღებ არაკომერციულ ორგანიზაციებზე, რომლებსაც უწოდებენ „უცხო აგენტებს“ ან „ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან“ ან სხვა ტერმინოლოგიით მოიხსენიებენ. ხშირად, ასეთი კანონები თითქოს ემსახურება ასეთი ორგანიზაციების დაფინანსების ან/და საქმიანობის გამჭვირვალობის ან ღიაობის ან საჯაროობის გაძლიერების მიზანს, რაც გულისხმობს, რომ ასეთი დაფინანსების უცხოური წყარო გარკვეულწილად საეჭვოა და მოითხოვს უფრო დიდ კონტროლს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. ასეთი კანონების შედეგები იწვევს ასეთი ორგანიზაციების საჯარო სტიგმატიზაციას, ხოლო ხშირად იწვევს უფრო მკაცრი ზედამხედველობისა და ანგარიშგების გართულებულ მოთხოვნებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც მოითხოვენ დროსა და მნიშნელოვან შესაძლებლობებს, რაც დიდ გავლენას ახდენს ასეთი ორგანიზაციების შესაძლებლობაზე, რომ განახორციელონ მათი ჩვეული სამუშაო.⁶
11. „რუსეთის უცხო აგენტების შესახებ კანონი“ ითვალისწინებს, რომ არაკომერციული ორგანიზაციები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ ეგრეთ წოდებული „უცხო აგენტების“ ცალკეულ რეესტრში, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: პირველად დარეგისტრირდნენ რუსეთის ფედერაციაში, როგორც არაკომერციულ ორგანიზაციად; მეორე, უცხოური წყაროებიდან ფულადი სახსრებისა და სხვა ქონების მიღება და მესამე, ჩართულია ეგრეთ წოდებულ „პოლიტიკურ აქტივობებში“. მისი მიღების დღიდან „რუსეთის უცხო აგენტების შესახებ კანონი“ არაერთხელ შესწორდა და მისი ფარგლები ახლა ბევრად უფრო ფართოა და მოიცავს არა მხოლოდ არაკომერციულ ორგანიზაციებს, არამედ მასმედიას, ფიზიკურ პირებს და არარეგისტრირებულ ასოციაციებს.⁷ გარდა ამისა, ტერმინი „უცხო აგენტი“ ახლა მოიცავს არა მხოლოდ იმ სუბიექტებსა და ფიზიკურ პირებს, რომლებიც იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან, არამედ იმ პირებსაც, რომლებიც მოქმედებენ ე.წ. „უცხოური გავლენის ქვეშ“. „უცხო აგენტებზე“ დაწესებული ყველა მოთხოვნის შეუსრულებლობამ და რეგისტრაციის თავის არიდებამ შეიძლება გამოიწვიოს ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. უფრო მეტიც, ასეთ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ თავიანთ პუბლიკაციებზე დააზუსტონ, რომ პუბლიკაცია მომდინარეობს „უცხო აგენტის“ ორგანიზაციიდან, განათავსონ ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ ინტერნეტში და ექვემდებარებიან უფრო ყოვლისმომცველ და ხშირ საბუღალტრო და ანგარიშგების მოთხოვნებს სხვა არაკომერციულ ორგანიზაციებთან შედარებით, რომლებიც არ იღებენ

6 მაგალით დ. იხილეთ: გაეროს სპეციალური მომსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთანების თავისუფლებაზე და სპეციალური მომსენებელი უფლება და მცველა მდგომარეობის შესახებ ანგარიში OL RUS 16/2022-და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), რეზოლუცია 2162 (2017).

7 იხილეთ მაგ. ვენეციის კომისია, რესერხის ვედერაცია - მოსაზრება ადამიანის უფლება თანახმად რეგისტრირებული მომსენებელი უფლება და მცველა სერიის შესახებ, რომელიც წარდგენილია რესერხის სახელმწიფო სამათმომავლი 2020 წლის 10-23 ნოემბრის ჩათვალით რომელიც უცხოაგენტების „კანონმდებლობის ცვლილებებს CDL-AD(2021)027-ე, ასევე ვებგვერდზე მულტი შესაბამის კანონ ვრცელებული CDL-REF(2021)048-ე, CDL-REF(2021)049-ე, CDL-REF(2021)050-ე, CDL-REF(2021)051-ე და CDL-REF(2021)052-ე.

მოსაზრება სა ზღვა რგა რეთოდა ნ და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოელიაგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებათ საერთო შორისობაზე ნდა ჩატაროს.

„უცხოურ დაფინანსებას“. მათ ასევე მოეთხოვებათ იუსტიციის სამინისტროს რუტინული (და გარემოებიდან გამომდინარე, დაუგეგმავიც კი) ინსპექტირება. გარდა ამისა, 2014 წლიდან იუსტიციის სამინისტროს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ მოათავსოს ორგანიზაციები „უცხო აგენტების“ რეესტრში. მიუხედავად იმისა, რომ თავად „რუსეთის უცხო აგენტების შესახებ კანონი“ არ ასახელებს არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაში მეტი გამჭვირვალობის ან ღიაობის უზრუნველყოფის საერთო მიზანს, ეს მიზანი იყო ნახსენები მოსამზადებელ დოკუმენტებში და მასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.⁸

12. „რუსეთის უცხო აგენტების“ შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ეუთო-ს რეგიონში და სხვაგან ინიცირებულ იქნა შედარებით მსგავსი ტიპის კანონმდებლობა, მაგალითად, ყირგიზეთის რესპუბლიკაში (2013 და 2016 შემდეგ გაუქმდა, ხოლო ბოლოს 2022-2023 წლებში), ყაზახეთში, უნგრეთში (2017), სერბთა ბოსნია და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა (2023), უკრაინაში (2018), რომ დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი.⁹ ზოგიერთი აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა მოგვიანებით გაუქმდა ეროვნული და საერთაშორისო პროტესტის გამო. სულ ახლახანს, 2023 წლის დასაწყისში, საქართველოს მთავრობამ მოამზადა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ, რომელიც მიმსგავსებული იყო ეგრეთ წოდებული „უცხოელი აგენტების შესახებ კანონების“ მსგავს მიზნებს (თუმცა ის ეხებოდა მხოლოდ ორგანიზაციების, რომლებიც იღებენ 20 პროცენტზე მეტ დაფინანსებას უცხოური წყაროებიდან). სხვა ქვეყნებმა ასევე შემოიღეს ან ცდილობდნენ ახალი ანგარიშების და/ან აღრიცხვის ვალდებულებების შემოღებას ასოციაციებისთვის „გამჭვირვალობის“ სახელით, მაგალითად რუმინეთსა და უკრაინაში 2018 წელს,¹⁰ თუმცა შემოთავაზებული ახალი მოთხოვნები არ იქნა მიღებული.
13. მაგალითად, უნგრეთმა 2017 წელს მიიღო კანონი საზღვარგარეთიდან მხარდაჭერის მიმღები ორგანიზაციების გამჭვირვალობის შესახებ, რომელიც შეიცავდა უცხოური სახსრებით დაფინანსებული ორგანიზაციების განმარტებას, უცხოური დაფინანსების ფორმას და გამონაკლისებს (მაგ.

8 „უცხოელი აგენტის“ სტატუსის შემოღების საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ „უზრუნველყოთ ღიაობა და საჯარობა უცხოელი აგენტის ფუნქციის განმახორციელებლი არა კომერციული ორგანიზაციების საქმიანობაში და განახორციელოს საჭირო სოფიალური კონტროლის ორგანიზაცია. რესერთს გვდება მონაცილების გადამტკიცებული საქმიანობაში მონაცილე და უცხოელი წყაროებიდან და ფინანსებული არა კომერციული ორგანიზაციების მომახდა.“ იხილეთ ვენეციის კომისია, ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, 2019 წლის 18 მარტი, CDL-AD(2019)002, სქ მოლო 93 და მასში მითოთებული.

42. ICCPR-ის 26-ე მუხლი და ECHR-ის მე-14 მუხლი და მე-12 ოქმი კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, რაც ნიშნავს დიფერენციალურ მოპყრობას ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე, რასაც არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, აუცილებლობა და პროპორციულობა.⁷⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო როდესაც განიხილავს, არის თუ არა განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაცია, მიიჩნევს, რომ შესაბამისი მსგავს სიტუაციებში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა „დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, ან თუ არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მიზანს მორის, რომლის განხორციელებისთვისაც ისწრაფვის“⁷⁵ თუმცა, Eodefence-ის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა არ შეემოწმებინა, არღვევდა თუ არა რუსეთის კანონმდებლობა ECHR-ის მე-14 მუხლს, რადგან „მან უკვე მიიჩნია, რომ განმცხადებელი ორგანიზაციები ცალკე კატეგორიაში მოუქცნებ და გამოყოფილ იყვნენ დიფერენციალური მოპყრობისთვის მათი დაფინანსების წყაროს საფუძველზე“⁷⁶ უფრო კონკრეტულად კანონმდებლობასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ზოგადად, დისკრიმინაციას წარმოადგენს მხოლოდ განსხვავებული მოპყრობა, რომელიც მოკლებულია რაიმე ობიექტურ ან გონივრულ დასაბუთებას.⁷⁷ გარდა ამისა, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 22/6 უფლებადამცველების დაცვის შესახებ მოუწოდებდა სახელმწიფოებს, უზრუნველყონ, რომ „არ დაწესებულიყო შეზღუდვები დისკრიმინაციულად დაფინანსების პოტენციურ წყაროებზე“ და რომ „კანონმა არ უნდა გახადოს ქმედებები კრიმინალიზებული ან დელეგიტიმური ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით მისი დაფინანსების გეოგრაფიული წარმოშობის გამო“⁷⁸

43. საქმეში კომისია უნგრეთის წინააღმდეგ, სასამართლომ მიიჩნია, რომ „განსხვავებები მოპყრობაში დამოკიდებულია მოცემული ფინანსური მხარდაჭერის ეროვნულ ან „უცხოურ“ წარმომავლობაზე და, შესაბამისად, იმ

⁷⁴ ଦେଇଲୁ ତ ମାତ୍ର, ODIHR-ରେ ମେଲ୍କାର୍ଯ୍ୟରେତ୍ତି ଉପରେ ରେଗୋଡ଼ିଶନ ଏବଂ ଅନ୍ତିମ ମଧ୍ୟ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଯାଇଥିବା କାହାର କାହାରଙ୍କ ରେଗୋଡ଼ିଶନ (2019), ପାନ୍ ୫୩ ପାଇଁ ୫୬.

75 ፳፻፲፭ ዓ.ም. በመስቀል ስት የሚከተሉት ነው፡፡ ፩. የዚህ ደንብ የ፩፻፲፭ ዓ.ም. በመስቀል
ሰነድ ማረጋገጫ የሚከተሉት ደንብ የሚያስፈልግ ይችላል፡፡

77 335-ცი ის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ადმინის უცლება თუ საერთაშორისო სტანდარტებთან მეტაბაზისობის მესახებ კანონმდრექტების სერიის შესახებ, რომელიც წარენილოւ რუსეთის სახელმწიფო სამთხოობის 2020 წლის 10-დან 23-ნოვემბრის ჩათვლით რა მა უცველი ლინგ კანონები. რომელიც ეხება „უცხოურ აგენტებს“, CDL-AD(2021) 027. პარაგრაფი 34.

78 A/HRC/RES/22/6, 2013 අලුත් 21 ජාරි, 3 රුප. 5 දී 9.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თა და ნ და ფინანსებული ა სოცია ციების გა მჯვირვა ლობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ა სოცია ტივების ა ნ ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მა თუ შესაბა მისი მისა ა და მიანის უფლება ა ს ა ერთ შორის სტა ნ და რეგებთან.

შემთხვევებში, როდესაც მხარდაჭერის გამცემი ფიზიკური ან იურიდიული პირების მისამართი ან რეგისტრირებული ოფისი დაღენილია, წარმოადგენს არაპირდაპირ დისკრიმინაციას ეროვნების საფუძველზე [...] იმდენად, რადენადაც ისინი ადგენებ განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც არ შეესაბამება ობიექტურ განსხვავებებს სიტუაციებში⁷⁹ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ „უნგრეთმა დააწესა დისკრიმინაციული, გაუმართლებელი და არასაჭირო შეზღუდვები უცხოურ შემოწირულობებზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის“⁸⁰. 2017 წელს უნგრეთის კანონპროექტის განხილვისას ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ბარიერის დადგენა ითვალისწინებს „დიფერენცირებულ მოპყრობას“ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ეყრდნობიან ექსკლუზიურად ადგილობრივ დაფინანსებას და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ეყრდნობიან უცხოურ დაფინანსებას. როგორც სასამართლომ აღნიშნა, „საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან გამომდინარეობს, რომ დიფერენცირებული მოპყრობა შესაძლებელია ამ შემთხვევაში [დიფერენცირებული მოპყრობა ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ეყრდნობიან ექსკლუზიურად ადგილობრივ დაფინანსებას და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ეყრდნობიან უცხოურ დაფინანსებას] მხოლოდ და იმდენად, რადენადაც მოპყრობას გააჩნია ლეგიტიმური მიზნები, მაგ. როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის პრევენცია და მიღწეული ლეგიტიმური მიზნების პროპორციულობა არ სცილდება იმ მიზნების მიღწევისთვის საჭირო ზომებს, რაც მკაცრად არის საჭირო“⁸¹.

44. გარდა ამისა, როგორც ხაზგასმულია ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის ადრეულ ერთობლივ მოსაზრებებში, ასოციაციის დაფინანსების მხოლოდ უცხოური წარმომავლობა თავისთავად არ წარმოადგენს დიფერენცირებული მოპყრობის ლეგიტიმურ მიზეზს.⁸² ასეთი განსხვავებული მოპყრობის დანერგვის დასაბუთების გარეშე ეწინააღმდეგება დისკრიმინაციის

79 იხილეთმა გ., CJEU, კომისია უნგრეთის წინააღმდებარებულის საქმე C-78/18, 2020 წლის 18 ივნისი, პარ. 62-64.

80 იქვე. პარაგაფი 143 (CJEU, კომისია უნგრეთის წინააღმდებარებულის საქმე C-78/18).

81 იხილეთ ვენეციის კომისიია, უნგრეთი - მოსაზრება კანონპროექტის შესახებ საზღვარებლივად მხარდაჭერის მიმღები მოგანიზაციების გამჯვირვალების შესახებ, CDL-AD(2017)015, პარ. 33-34.

82 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ურთიერთობის მოსაზრება სერბია რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციულ მოგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეგულირების და ხაზობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 33; ერთობლივი შუა ლე დური მოსაზრება კირგიზეთის რესპუბლიკის არაკომერციულ მოგანიზაციების და სხვა საკანონმდებლო აქტების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე, CDL-AD(2013)030, პუნქტი 54, მოხსენიებულია როგორც შედარება ად მიანის უფლება თუ ევროპულ სასამართლოს თან, ხსნის არმიის მოსკოვის ფილატ რესერტის წინააღმდებარები, № 72881/01, 2006 წლის 5 ოქტომბერი, პუნქტები 81-86, სადაც სასამართლოსარს ურდა მიეღოა რაკომერციულ მოგანიზაციების შესახებ კანონმავლობა, როგორც დიუკენცირებულ მოპყრობის ლეგიტიმური მიზეზი, იხილეთა გრეთვე ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ად მიანის უფლება თუ საერთო შორისობის სტანდარტების შესაბამისობის შესახებ კანონპროექტების სერიის შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფოსა თუ თბილიში 2020 წლის 10-და 5 23 ნოემბრის ჩა თვლით რა თუ ცვლილებები შეიტანოს „უცხოურ აგენტების შესახებ კანონში“. CDL-AD (2021) 027 პუნქტი 34.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თად ნ და ფინანსებული ა სოცია ციების გა მჯვირვა ლობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინციდენტის გა მჯვირვა ლობისა და კანონების" და მხედარის კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბა მისმა ა და მიანის უფლება თა ა ერთს შორის თ სტა ნ და რებით ა.

აკრძალვას, რომელიც გათვალისწინებულია ICCPR-ის 26-ე მუხლში და ECHR-ის მე-14 მუხლში და ECHR-ის მე-12 აქტში.⁸³

45. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც არ არსებობს სათანადო დასაბუთება დაფინანსების უცხოური წარმოშობის საფუძველზე განსხვავებული მოპყრობისთვის, ასეთი კანონები (კანონპროექტები) სავარაუდოდ ჩაითვლება დისკრიმინაციულად.
46. „უცხოელი აგენტის“ შესახებ ზოგიერთი კანონი და მსგავსი კანონი არ ვრცელდება გაერთიანების გარკვეულ ტიპებზე კანონის ფარგლებიდან დიფერენცირებული მიდგომის სათანადო დასაბუთების გარეშე. აღსანიშნავია, რომ რუსეთის კანონი უცხოელი აგენტების შესახებ არ ვრცელდება რელიგიურ ორგანიზაციებზე, სახელმწიფო საწარმოებზე (და მათ მიერ დაფუძნებულ არაკომერციულ ორგანიზაციებზე), სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანიზაციებზე, სათანადოდ რეგისტრირებულ დამსაქმებელთა ასოციაციებზე, სავაჭრო და სამრეწველო პალატებზე ან პოლიტიკურ პარტიებზე.⁸⁴ მეორეს მხრივ, გაუქმებული უნგრეთის კანონი არ ვრცელდებოდა ასოციაციებსა და ფონდებზე, რომლებიც არ განიხილება როგორც სამოქალაქო ორგანიზაცია, მათ შორის სპორტულ ასოციაციებზე, რელიგიური აქტივობების განმახორციელებელ ორგანიზაციებზე და ეროვნული უმცირესობების ასოციაციებზე.⁸⁵
47. როგორც აღვნიშნეთ, ეს გამონაკლისები არ იყო გონივრულად ახსნილი არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში. მაგალითად, უნგრეთის კანონპროექტის განმარტებით მემორანდუმში მხოლოდ მითითებულია, რომ ის „არ ვრცელდება ჩამოთვლილ ორგანიზაციებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ კვალიფიცირდებიან როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები ან მათი საქმიანობა არ არის დაკავშირებულია სხვა ფუნდამენტური უფლებების განხორციელებასთან“, რაც, როგორც ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, ბოლომდე დამაჯერებელად არ ჟღერდა.⁸⁶ გარდა ამისა, ვენეციის კომისიის მოსაზრება უნგრეთის კანონთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აღნიშნული გამონაკლისები გამოხატული იყო ძალიან ფართო ტერმინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება იყოს უსასრულო, პრობლემური შედეგებით კანონის სიცხადესთან დაკავშირებით, რაც იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ

83 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი შუალედური მოსაზრება კანონპროექტზე არაკომერციულ ორგანიზაციებისა და კიოგიზურთის რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო ძრების შესახებ, CDL-AD(2013)030, ნაწილ 3. ამასთან და ვაკვირებით, როგორც ერთობლივ სახელმძღვანელოშია აღნიშნული „მიუხედავად იმისა, რომ არ სამთავრობო ორგანიზაციების უცხოელმა და ფინანსებაში შეიძლება გამოიწვიოს გარკვეულ ლეგიტიმური შესუთითა რეგულირების უნდა ცდლის და ამ პროცედურების გადაჭრას სხვა საშუალებებით გარდა ამ სოლუტური აკრძალვის ან სხვა ზედებულ და შემზღვევასთან ზომებისა“. იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელოშის თავისუფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტი 219.

84 იხილეთ <ფედერალური კანონი № 20-FZ 07.2012.121 - სამართლებრივი აქტების თავიციალური გამოცემა (pravo.gov.ru)>.

85 იხილეთ მაგ., ვენეციის კომისია, უნგრეთი - მოსაზრება კანონპროექტზე საზღვარგარეთულან მხარდაჭერის მიმღები მოგების გამჯვირვალობის შესახებ, CDL-AD(2015)015, ვარ. 42-43.

86 იხილეთ ვენეციის კომისია, უნგრეთი - მოსაზრება კანონპროექტის შესახებ საზღვარგარეთულან მხარდაჭერის მიმღები მოგების გამჯვირვალობის შესახებ, CDL-AD(2017)015, ვარ. 43.

მოსაზრება სა ზღვა რგა რეთდა ნ და ფინა ნ სე ბულ ა სოცია ციების გამჭვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ საკა ნონ მდგ ღო ინიცია ტივების ა ნ ე.წ. „უცხოელი ა გენტების შესახებ კა ნონების“ და მსგავსი კა ნონ მდგ ღო მბ ი შესახებ და მა შესაბა მისობა ა და მიანის უფლება თა სა ერთ შორისო სტა ნ და რებ მთა ნ.

ისინი წარმოადგენენ გაუმართლებელ, დისკრიმინაციულ⁸⁷ და შესაბამისად ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლის დამრღვევ ნორმებს.⁸⁸

3.2.6. დაწესებულების უთანასწორობა

48. ასოციაციების გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი მათი დაფინანსების უცხოური წარმოშობის საფუძველზე ასევე უნდა გაანალიზდეს სექტორული თანასწორობის პერსპექტივიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ზომები, რომლებიც ეხება ასოციაციებს, არ უნდა იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ის ზომები, რაც ზოგადად გამოიყენება ბიზნესისთვის ან კომერციული სუბიექტებისთვის.⁸⁹ როგორც ODIHR-ვენეციის კომისიის გაერთიანების თავისუფლების შესახებ ერთობლივ სახელმძღვანელოშია ხაზგასმული, ასოციაციის რეგისტრაციის პროცესი არ უნდა იყოს უფრო შრომატევადი, ვიდრე სხვა სუბიექტებისთვის შექმნილი პროცესი და მათ არ უნდა მოეთხოვონ მეტი რეპორტების და ინფორმაციის წარდგენა, ვიდრე სხვა იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ, როგორიცაა ბიზნესის სუბიექტები; თანასწორობა სხვადასხვა სექტორს შორის უნდა იქნეს დაცული.⁹⁰

49. უკრაინის კანონმდებლობაში შემოთავაზებული ცვლილებების შემთხვევაში, შემოთავაზებული ზომების პროპორციულობის შესაფასებლად, ODIHR-მა და ვენეციის კომისიამ კონკრეტულად შეაფასეს ასოციაციებისთვის დაწესებული ახალი მოთხოვნები, როგორიცაა მოხსენებები და სხვა ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ვალდებულებები და სანქციები, რამდენად უფრო მომთხოვნი ან უფრო მკაცრია, ვიდრე სხვა იურიდიული პირებისთვის დაწესებული მოთხოვნები, როგორიცაა ბიზნესის სუბიექტები.⁹¹ ამ მხრივ, გაერთიანებებს არ უნდა მოეთხოვოთ უფრო მეტი ანგარიშის და ინფორმაციის წარდგენა, ვიდრე სხვა იურიდიულ პირებს, როგორიცაა ბიზნესს სუბიექტები. გაერთიანებების მიერ რესურსების მოძიების თავისუფლება, რომელიც დაცულია გაერთიანების თავისუფლების უფლებით, ექვემდებარება მხოლოდ იმ კანონებს, რომლებიც ზოგადად გამოიყენება საბაჟოზე, სავალუტო ვალუტაზე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის აღკვეთაზე, აგრეთვე არჩევნებთან და პოლიტიკური პარტიების გამჭვირვალობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ კანონებს, რამდენადაც ეს მოთხოვნები თავად შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.⁹²

88 იქნა, 339. 65 (2017 წლს ვენეციის კომისიის მიხედვა უნგრეთს კანონმდებლობის შესახებ).

89 ინიციატ მაგ., გაეროს სკეცია ლური მომსხვენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და
90 გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე, 2013 წლის აგვისტოში, **AHRC/23/39**, ვუკრი 24.

90 මෙම අය ODIHR සහ 39 රුප්‍රේක්ෂණ ආර්ථික ප්‍රතිපාදන ප්‍රතිඵල නොවූ නොවූ නොවූ නොවූ
91 වු යුතු ඇති CDL-AD(2014)046, 3 රුප්‍රේක්ෂණ ආර්ථික ප්‍රතිපාදන ප්‍රතිඵල නොවූ නොවූ නොවූ
92 වු යුතු ඇති CDL-AD(2018)0004 වු නොවූ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ

91 ODIHR და 33 ნებისის 3 მგბისია, CDL-AD(2018)006-ე - ურთისება - გ რომელი 3 წ ზოგ 3 წ უ კ კ 45.

92 ODIHR და 33 ნებისის 3 მგბისია, ა რ ა მ ი ა ნ გ ბ ი ს ა ვ კ ი ს უ კ კ 46.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თუ და ნ და ფინანსებული ა ს ი ფი ა ც ი ე ბი ს გა მ ჭ ვ ი რ ვ ა ლ მ ი ს ა დ რ ე გ უ ლ რ ე ბი ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა კ ა ნ მ ნ მ დ ლ ბ ლ ი ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ე ბ ი ს ა ნ ე . წ . „ უ ც ხ ო უ ლ ი ა გ ე ნ ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ კ ა ნ მ ნ ე ბ ი ს ” დ ა მ ს გ ა ვ ს ი კ ა ნ მ ნ მ დ ლ ბ ლ მ ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ დ ა მ ა თ შ ე ს ა მ ა მ ი ს მ ი ს მ ი ს უ ფ ლ უ ბ ა თ ს ა ე რ მ ა შ მ რ ი ს თ ს ტ ა ნ დ ა რ ტ ე ბ თ ა ნ .

3.3. „გამჭვირვალობა“, „საჯაროობა“ „ღიაობა“

50. იმისათვის, რომ შესაბამისობაში იყოს ადამიანის უფლებათა ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ინსტრუმენტებთან, შესაბამისმა კანონმდებლობამ უნდა განახორციელოს ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზანი. ამომწურავად ჩამოთვლილ საერთაშორისო დოკუმენტებში და ვიწრო ინტერპრეტაციისთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა პირველ ქვეთავში (წინაისტორია), ბევრი კანონი აკონკრეტებს ან სულ მცირე გულისხმობს, რომ მათი მიზანია გააუმჯობესოს დაფინანსების გამჭვირვალობა, ღიაობა ან საჯაროობა სამოქალაქო სექტორში, განსაკუთრებით რუსეთისა და უნგრეთის კანონებში (ეს უკანასკნელი კი მათ შორის კანონის სათაურში გამჭვირვალობის მითითება), ასევე საქართველოს კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ან სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტი არასამეწარმეო ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეესტრისა და საჯაროობის შესახებ,⁹³ და ყირგიზეთის რესპუბლიკის კანონპროექტი არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.⁹⁴
51. სამოქალაქო სექტორის დაფინანსების გამჭვირვალობის ან ღიაობის გაზრდა არ არის ჩამოთვლილი იმ ლეგიტიმურ მიზნებს შორის, რომლებიც აღნიშნულ იქნა ICCPR-სა და ECHR-ის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრინციპში აღიარა, რომ სამოქალაქო საზოგადოებების დაფინანსებასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის გაზრდის მიზანი შეიძლება შესაბამებოდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს,⁹⁵ მან ასევე კონკრეტულად მიუთითა „სოლიდური უცხოური დაფინანსების“ მიღებაზე. ზოგიერთ „სენსიტიურ სფეროებში – როგორიცაა არჩევნები ან პოლიტიკური მოძრაობების დაფინანსება“ და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნებთან დაკავშირებით⁹⁶ უცხო ქვეყნის ჩართულობის გამოვლენილ რისკებთან დაკავშირებით. უნგრეთის კანონმდებლობის განხილვისას მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, რომ ასოციაციების დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდის მიზანს არ შეეძლო გამჭვირვალობის კანონის გამართლებას, ამ კანონის დებულებების შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით და განსაკუთრებით, იგი ეფუძნებოდა „პრინციპზე გაკეთებულ და განურჩევლად გამოყენებულ ვარაუდს, რომ ნებისმიერი ფინანსური მხარდაჭერამ [საზღვარგარეთიდან] და ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, რომელიც იღებს ახეთ

93 იხილეთ <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-REF\(2023\)024-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-REF(2023)024-e)>.

94 ა ხ ს ნ ა უ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა გ უ ლ ი ს ხ მ ი ბ ს ა რ ა კ ა მ ე რ ც ი უ ლ ი რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს , მ ა თ შ მ რ ი ს უ ც ხ ი უ რ ი ა რ ა კ ა მ ე რ ც ი უ ლ ი ა რ ა ს ა მ თ ა ვ რ ი ბ ი მ ა რ ი ბ ი ს კ ვ ი დ ნ ა ყ მ ფ ე ბ ი ს , ღ ი ა ღ ი ბ ი ს „ დ ა „ ს ა ქ მ ი ა ნ მ ბ ი ს ს ა ჯ ა რ ი მ ბ ი ს “ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ უ ლ ი ს 122.

95 ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა ე ვ რ ი პ უ ლ ი ს ა ს ა მ ა რ ი ლ ი , Ecodefence დ ა ს ხ ვ ე ბ ი რ უ ს ე თ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ უ გ , No. 9988/13, 2022 წ ლ ი ს 14 ი ვ ნ ი ს ი , პ უ ნ ქ ტ ი 122.

96 ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა ე ვ რ ი პ უ ლ ი ს ა ს ა მ ა რ ი ლ ი , Ecodefence დ ა ს ხ ვ ე ბ ი რ უ ს ე თ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ უ გ , No. 9988/13, 2022 წ ლ ი ს 14 ი ვ ნ ი ს ი , პ უ ნ ქ ტ ი 139 დ ა 165.

ფინანსურ მხარდაჭერას, არსებოთად შეიძლება საფრთხე შეუქმნას პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს“.⁹⁷

52. ამ თვალსაზრისით, როგორც ხაზგასმულია ODIHR და/ან ვენეციის კომისიის ადრეულ მოსაზრებებსა და ანგარიშებში,⁹⁸ გამჭვირვალობის გაძლიერება თავისთავად არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, როგორც ეს აღწერილია ზემოაღნიშნულ საერთაშორისო დოკუმენტებში,⁹⁹ თუმცა შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ის შეიძლება იყოს ერთი ან მეტი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალება, რომელიც აღიარებულია, როგორც ამ უფლების შეზღუდვის საშუალება, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგი ან ისეთი დანაშაულების პრევენცია, როგორიცაა კორუფცია, გაფლანგვა, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება.¹⁰⁰ ამავდროულად, აბსტრაქტული „საზოგადოებრივი შეშფოთება“ და „ეჭვები“ არასამთავრობო სექტორის დაფინანსების კანონიერებასა და პატიოსნებაზე, დაუსაბუთებელი კონკრეტული რისკის ანალიზზე მითითების გარეშე, რომელიც ეხება არასამთავრობო სექტორის რაიმე კონკრეტულ ჩართულობას დანაშაულის ჩადენაში, როგორიცაა კორუფცია ან ფულის გათეთრება არ შეიძლება წარმოადგენდეს ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც ამართლებს ასეთი უფლების შეზღუდვას¹⁰¹ (იხილეთ აგრეთვე ქვეთავი 3.2.1. ზემოთ რისკზე დაფუძნებული მიღომის შესახებ).

53. უფრო მეტიც, გაერთიანების თავისუფლების შესახებ ერთობლივი სახელმძღვანელო ადგენს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ღიაობა და გამჭვირვალობა ფუნდამენტურია ანგარიშვალდებულებისა და

97 CJEU, 3 መ 0 4 0 2 የዚልጊና በመሸሪያ ፈዕራፍ ማስተካከል ተቻል C-78/18, 2020 ዓመት 18 ዓመት 3 ዓ.ም. 86-87.

97 CLEO, კონტაქტის მუნიციპალიტეტის გარემონტის და განვითარების სამინისტრო, 2020 წლის 10 მარტის საქართველოს კანონის 10-ე მუხლის მიხედვით მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ODIHR და ვენეციის კომისია, ეროვნული მოსაზრება მოხდა სერბია ჩრდილოეთის კანონმდებლის შესახებ არა კომერციული ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეგულირებისა და საჯაროობის შესახებ, 12 ივნისი 2023, ვენეციი 25; ეროვნული აზრი კანონმდებლის № 6674 ზოგიერთ საკანონმდებლო აქტით ვცლოლ გებების შეტანის შესახებ საზოგადოებრივი გაერთიანებების ფინანსურის საქმიანობისა და საერთო მორისონ ცენტრის უძრავი რეგისტრის გამოყენების შესახებ ინფორმაციის საჯარო გამჭვივალობა ლობის უზრუნველყოფა და კანონმდებლის შესახებ № 6675 უკრაინის საგადასახალ კოდექსში ვცლოლ გებების შეტანის შესახებ საჯარო ასოციაციების და ფინანსებისა და საერთო მორისონ ცენტრის ური და ხმა რეგისტრის გამოყენების საჯარო გამჭვივალობის უზრუნველყოფა და CDL-AD(2018)006-ე პარაგრაფი 35 აგრძელებული მოსაზრება არა კომერციულ არასამას კონკრეტული კანონმდებლის შესახებ და ვალიურებების პროცესი ყიდვითი რეგულირების უზრუნველყოფა (2022 წლის 12 დეკემბერი), ვენეციი 107, და ვენეციის კომისია, CDL-AD(2019)002, ანარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, პარაგრაფი 61 და 80.

100 0333-

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თადა ნ და ფინანსებული ა სოფიაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოელიაგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა საერთო შორისობრივი ნ და რტებთა ნ.

საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად, „სახელმწიფო არ უნდა მოითხოვდეს, არამედ უნდა წაახალისოს და ხელი შეუწყოს ასოციაციებს იყვნენ ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალები“.¹⁰²

54. ზოგადად რომ ითქვას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლება არის კარგი საჯარო მმართველობის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც გამოიყენება საჯარო სექტორისთვის, მაგრამ არა კერძო ასოციაციებისთვის, თუ ისინი არ ფინანსდებიან საჯარო წყაროებიდან¹⁰³ ან ასრულებენ არსებით დემოკრატიულ ფუნქციებს, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები, რამაც შეიძლება გაამართლოს კონკრეტული მოხსენების ან გამქლავნების მოთხოვნების დაწესება, როგორც ეს ხაზგასმულია გაერთიანების თავისუფლების ერთობლივ სახელმძღვანელოში და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში CM/Rec(2007)14.¹⁰⁴
55. კონკრეტულად პოლიტიკური პარტიების რეგულირების კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე აღიარა გარკვეული მოთხოვნების დაწესება, რაც მოითხოვს გამჭვირვალობას პოლიტიკური პარტიებისთვის, იმ პირობით, რომ მათ არ დაემატება მნიშვნელოვანი გამქლავნების ან ანგარიშგების ვალდებულებები და არ იქნება არაპროპორციული.¹⁰⁵ ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ აკრძალვა უცხო სახელმწიფოების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ - რაც ფაქტობრივად წარმოშობდა პოლიტიკური პარტიების ვალდებულებას, გამოექვეყნებინათ შემოწირულობები მითითებულ საბანკო ანგარიშზე მათი დეპონირების გზით - აუცილებელი იყო არეულობის თავიდან ასაცილებლად.¹⁰⁶ მან ასევე აღიარა, რომ ზოგიერთი ასოციაციის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და ხელისუფლებაში შესვლის შესაძლებლობამ შესაძლოა საჭირო გახადოს ზოგიერთ მათგანს პოლიტიკურ პარტიებად დარეგისტრირება, რითაც დაექვემდებარება მაგალითად, უფრო მკაცრ წესებს პარტიების დაფინანსებასთან, საზოგადოებრივი კონტროლისა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.¹⁰⁷ გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ შესრულებული ფუნდამენტური როლის გათვალისწინებით დემოკრატიული

102 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ურთიერთო სახელშემოვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტი 224.

103 ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ აღიარებს, რომ საჯარო მხარდაჭერის შიღღებამ შეიძლება გაამართლოს ანგარიშგების მოთხოვნების დაწესება, თუმცა ისინი არ უნდა იყოს ძალაში რთული და, სულმცირე, პროპორციულ უნდა იყოს მიღებული საზოგადოებრივი მხარდაჭერის დონეზე (ი. მ. ODIHR და ვენეციის კომისია, ურთიერთო სახელშემოვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტი 214).

104 ODIHR და ვენეციის კომისია, ურთიერთო სახელშემოვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პარ. 225-226. იხილეთ ასევე ეკრანის საშეოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ერთობაში არასამთავრობო ორგანიზაციების ხამართულობის შესახებ. მიღებული 2007 წლის 10 ოქტომბერს, პუნქტი 62-65.

105 როგორც ა და მიანის უფლება თა ეკრანზე სასამართლო, Parti nationaliste basque – Organization régionale d'Iparralde v. France, No. 71251/01, 2007 წლის 7 ივნისი (პოლიტიკურ პარტიებთა ნ მიმართუ ბაში).

106 ა და მიანის უფლება თა ეკრანზე სასამართლო, Parti nationaliste basque – Organization régionale d'Iparralde v. France, No. 71251/01, 2007 წლის 7 ივნისი.

107 ა და მიანის უფლება თა ეკრანზე სასამართლო, ურთიერთო ბუღაზე რეთოს წინააღმდეგ, No. 57045/00, 2007 წლის 21 ივნისი.

მოსაზრება ს ა ზღვა რე თუდ ნ და ფინანსებული ა ს თვითა ციების გამჭვირვა ლობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ტივების ა ნ ე.წ. „უცხოულია გენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თუ საერთო შორისონარი ნ და რეგების ა.

ქვეყნების გამართულ ფუნქციონირებაში, ფართო საზოგადოება შეიძლება იყოს დაინტერესებული პოლიტიკური პარტიების მონიტორინგისა და სანქციების მიმართ, რომელიც დაწესებულია ნებისმიერი არარეგულარული ხარჯისთვის, განსაკუთრებით იმ პარტიებთან მიმართებაში, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას ისე, რომ მათი ფინანსების შემოწმება თავისთავად არ წარმოშობს პრობლემას ECHR-ის მე-11 მუხლის მიხედვით.¹⁰⁸ ნებისმიერ შემთხვევაში, მოხსენებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება დაკისროს პოლიტიკურ პარტიებს, შეიძლება გამართლებული იყოს მათი კონკრეტული როლისა და სტატუსის გათვალისწინებით და არ უნდა გავრცელდეს ყველა ასოციაციაზე. პოლიტიკური პარტიების რეგულირების ერთობლივი სახელმძღვანელო ასევე ადასტურებს გარკვეული რეგულაციების ლეგიტიმურობას წინასაარჩევნო კამპანიის მესამე მხარის მიერ დაფინანსებასთან დაკავშირებით, როგორიცაა: „კანდიდატის ან პარტიისგან დამოუკიდებლად გაწეული კამპანიის ხარჯები კანდიდატის ან პარტიის ხელშეწყობის ან მასთან დაპირისპირების მიზნით, პირდაპირ ან ირიბად“, რაც „შეიძლება დაუქვემდებაროს გონივრულ და პროპორციულ შეზღუდვებს“.¹⁰⁹

3.4. ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, ეროვნული უსაფრთხოებისა ნა საზოგადოებრივი წესრიგის სხვა საფრთხის რისკი

56. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლეგიტიმურ მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს რეალური და არა მხოლოდ ჰიპოთეტური საფრთხის თავიდან აცილება¹¹⁰ და რომელიც ეყრდნობა დასაბუთებულ კონკრეტულ რისკების ანალიზს, რომელიც ადასტურებს არასამთავრობო სექტორის კონკრეტულ ჩართულობას დანაშაულის ჩადენაში¹¹¹(იხ. აგრეთვე ქვეთავი 3.2. და 3.4. ზემოთ). საჯარო ხელისუფლების მიერ ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების რისკების მხოლოდ დასახელება თავისთავად საკმარისი არ არის. ისეთი საკითხებიც კი, როგორიცაა ფულის გათეთრების თავიდან აცილება ან ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგობა, არ ამართლებს ყველა ასოციაციისთვის ანგარიშგების ახალი მოთხოვნების დაწესებას კონკრეტული საფრთხის ან ინდივიდუალური უკანონო საქმიანობის რაიმე კონკრეტული მითითების გარეშე.¹¹²

108 ۱ دا میا نویس ۲۰۱۶ ۱۳/۱۹۹۲۰، *Cumhuriyet Halk Partisi v. Turkey*, No. ۱۹۹۲۰/۱۳، ۲۰۱۶ ۱۳/۱۹۹۲۰، ۲۶ آگوست.

¹⁰⁹ იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისიები, ხახულმდღვანელობის პროცედურის პარტიულის რეგულირების შესახებ (მე-2 გამოცემა, 2020), 3 უნიტი 218. აგრეთვა იხილეთა და მიანის უფლება და უკრძალვა სასამართლოსთვის. *Bowman v. United Kingdom*, No. 24839/94, 1998 წლის 19 თებერვალი.

111 3 წლის გრ. 72.
3 წლის გრის 3 მთისია, ანგარიში ასოციაციების და ფინანსების მინისტრის. CDL-AD(2019)002,
3 წლის გრ. 81.

112 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთად მოვალეობა სტრუქტურების კანონმდებლობის შესახებ არაკომერციულ ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეგულირობისა და საჯარო ინიციატივის შესახებ (2023 წლის 13 ივნისი), კუნძული 28; იხილეთ გრეთვე ფინანსურისა სამყენელო სამუშაო აგენტის (FATF) რეკომენდაციები, რეკომენდაცია 8 - შესწორებული რომელიც აღნიშნულია: ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ მოიხსენიერებულ დროის ზომები. რისკზე დაფინანსდეთ მიზანობის შესაბამისად. აგრეთვე,

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თად ნ და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონმდების“ და მხეგვანი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბაზისობა ადამიანის უფლებას საერთო შორისობაში ნ და რჩებთ თუ ნ.

57. მაშინაც კი, თუ არსებობს მითითებები ტერორიზმის დაფინანსების, ფულის გათეთრების ან სხვა კრიმინალური ქმედებების შესახებ კონკრეტული ასოციაციების მხრიდან, სწორი მიღვომა იქნება პროპორციული პასუხის გაცემა, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტულ ცალკეულ ასოციაციებს და არა ახალი ზოგადი რეგისტრაციისა და ანგარიშგების მოთხოვნების დამატებას - უკვე არსებულ მოთხოვნებზე დამატებით - და ეს გავლენას ახდენს სხვა მრავალ ორგანიზაციაზე, რომლებიც ეწევიან სრულიად ლეგიტიმურ საქმიანობას და ისინი მოექცნენ შეზღუდვების ქვეშ მათი დაფინანსების წყაროების უცხოური წარმოშობის გამო.¹¹³
58. „რუსეთის უცხოელი აგენტების შესახებ კანონში“ ბოლო ცვლილებების შესახებ 2021 წლის დასკვნაში, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ მათ დამხმარე დოკუმენტაციაში რუსეთის ხელისუფლებამ ვერ მიუთითა ეროვნული უსაფრთხოებისთვის რაიმე კონკრეტულ საფრთხეზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უცხოური არაკომერციული ორგანიზაციების, არარეგისტრირებული საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ფიზიკური პირებისგან ფინანსური მხარდაჭერისგან.¹¹⁴ მათ ასევე არ განუმარტეს, თუ როგორ შეძლებდა უცხოურ ფინანსურ დაკავშირებით უფრო მეტი გამჭვირვალობა ასეთი საფრთხეების თავიდან აცილებას.¹¹⁵ ამ მიზეზით, ვენეციის კომისიამ დაასკვნა, რომ „რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონით“ განსაზღვრული ზომები არ ატარებდა ერთ ან მეტ ლეგიტიმურ მიზანს.
- 3.5. ეგრეთ წოდებული „უცხოური გავლენით“ გამოწვეული სავარაუდო რისკები
59. ზოგიერთი კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება კონკრეტულად ყველა ასოციაციებზე, რომლებიც იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან, აღწერს რისკებს, თითქოს „უცხოური გავლენით“ ან გამოთქვამს ზოგად ან აბსტრაქტულ ვარაუდს, რომ ასოციაციების ყველა დაფინანსება საზღვარგარეთიდან არის საეჭვო.
60. როგორც ევროპის სასამართლომ განაცხადა *Eodefence*-ის საქმეში, მიღვომა, რომელიც განიხილება როგორც „საეჭვო და პოტენციურად საფრთხის შემცველად ეროვნული ინტერესებისთვის“ სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხში, მათ შორის ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის შესახებ, „შეუთავსებელია კონვენციის, როგორც ევროპული საზოგადოებრივი წესრიგისა და კოლუქტიური

მაგალითად ა და მიანის უფლებათ ევროპული სასამართლო, *Sindicatul "Păstorul cel Bun"* v. Romania [GC], No. 2330/09, 2012 წლის 31 იანვარი, პუნქტი 69.

113 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, *ურთობლეობის მოსაზრება სერბთა უცხოელობის კანონპროექტის შესახებ არაკომერციული მოვანილების მუშაობის შესტრიქიზაციის შესახებ* (13 ივნისი 2023), პუნქტი 29.

114 ვენეციის კომისია, რუსეთის უდიდესია - მოსაზრება ა და მიანის უფლებათ საერთო შორისობაში რეგულირდებოდენ შესაბამისობის შესახებ კანონპროექტის სერიის შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფოსათვის თბილობის 2020 წლის 10-დან 23 ნოემბრის ჩათვლით რა თუ შეცვალობ კანონები, რომელიც ეხება „უცხოურ აგენტების“, CDL-AD(2021) 027, პუნქტი 43.

115 იქვე, პუნქტი 43.

მოსაზრება ს ა ზღვა რე თოდა ნ და ფინანსებული ა ს ოცია ციების გაშვერება ღობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ტივების ან ე.წ. „შეხოულია აგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მიანის უფლება თა საერთო შორისონტური მდგრადი რეგისტრი.

უსაფრთხოების ინსტრუმენტის შემუშავების ისტორიასთან და ფუძემდებლურ ღირებულებებთან, რომლიც თანახმად ყველა პირის უფლებები კონვენციის სამართლებრივ სივრცეში შემაშფოთებელია ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის.”¹¹⁶ უნგრეთის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში, მართლმასაჯულების ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ უნგრეთმა, როგორც ჩანს, დააფუძნა თავისი კანონი არა „ნამდვილი საფრთხის“ არსებობაზე, არამედ „პრინციპულად დაფუძნებულ პრეზუმეციაზე“, რაც განურჩევლად გულისხმობდა, რომ ფინანსური მხარდაჭერის გაგზავნა სხვა წევრი სახელმწიფოს ან მესამე ქვეყნების მიერ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც იღებდნენ ასეთ ფინანსურ მხარდაჭერას, თავისთავად საფრთხეს უქმნიდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და მისი ინსტიტუტების უნარს იმოქმედონ ჩარევის გარეშე.¹¹⁷ ამ მიზეზით, სასამართლომ დაადგინა, რომ უნგრეთმა ვერ დაადგინა „ნამდვილი, მიმდინარე და საკმარისად სერიოზული საფრთხე საზოგადოების ფუნდამენტური ინტერესებისთვის, რაც საშუალებას მისცემს დაეყრდნოს ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების 65(1)(გ) მუხლში აღნიშნულ საჯარო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძვლებს“.¹¹⁸

61. სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტთან დაკავშირებით სპეციალური რეესტრისა და არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის საჯაროობის შესახებ, ODIHR-ვენეციის ერთობლივმა კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კანონპროექტში „უცხოური გავლენის აგენტების“ მითითება, როგორც ჩანს, გულისხმობს, რომ არაკომერციული ორგანიზაციების მიერ დაფინანსების მიღების მხოლოდ ფაქტი ან დახმარების სხვა ფორმები საზღვარგარეთიდან იწვევს დონორის მიერ მიღების გარკვეული გავლენის ან კონტროლის პრეზუმეციას, რაც არ არის გამართლებული“.¹¹⁹
 62. როგორც წინა სხვა მოსაზრებებში აღინიშნა, ახალი ანგარიშება, გამჟღავნება ან სხვა ვალდებულებები არ შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ არასამთავრობო სექტორის დაფინანსების პატიოსნებაზე „ეჭვების“ საფუძველზე, ყოველგვარი კონკრეტული რისკის ანალიზის გაკეთების გარეშე, ასოციაციების მიერ ისეთ დანაშაულებში ჩართულობაზე, როგორიცაა კორუფცია და ფულის გათეთრება.¹²⁰

116 አዲስ የሰነድ ቅዱስ ማረጋገጫ ተስፋ የደንብ የመጀመሪያ ስርዓት መሆኑን የሚያሳይ ነው፡፡ ይህንን የመጀመሪያ ስርዓት መሆኑን የሚያሳይ ነው፡፡

117 NO. 99806 19 0003 - 2022 V. 53-1 C-78/18, 2020 අභ්‍යන්තර ප්‍රජාත්‍යාමා මධ්‍යස්ථානය 18 ඡූලි 2020 දින නොවුවේ 86.

¹¹⁷ CJEU, კომისიის უნარებობრივი მინისტრის საქმე C-78/18, 2020 წლის 18 ივნისი, ვარ. 95 და წინა აბზაცები.

119 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ეროვნული მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონმდებლობის შესახებ არაკომეტრიკული მუდანიზაციის მეთაობის საკითხის შესტრიქისა და საჯაროობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, გუნდი 27.

მოსაზრება სა ზღვარგარეთ და ნ და ფინანსების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო მინისტრის ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადგინიანი უფლება თანამდებობის შორის შორისობაზე ნ და რეგულირებით.

63. და ბოლოს, რაც შეეხება კონკრეტულად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ დაფინანსებას, ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას სახელმწიფო აცხადებს, რომ იზიარებს მის ღირებულებებსა და მიზნებს და მონაწილეობს სტრატეგიებისა და ქმედებების განსაზღვრაში, მათ შორის უფლებამოსილი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით. ამიტომ, საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის სახსრების გამოყოფა ამ კონტექსტში არ შეიძლება ჩაითვალოს „უცხო“ ინტერესების გატარებად.“¹²¹

3.6. შედარება სხვა ქვეყნების მაგალითებზე

64. საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების მიმართ საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავების ან მიღების ახსნა-განმარტებები ან დასაბუთებები ხშირად მიუთითებს სხვა ქვეყნების მაგალითებზე, რომლებსაც საჯარო ხელისუფლება ამ ინიციატივების მოდელად იყენებს. მაგალითად, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საქართველოს კანონპროექტის განმარტებით ჩანაწერში აღნიშნულია როგორც ამერიკის უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი (FARA)¹²² ასევე 2018 წელს მიღებული ავსტრალიის საგარეო გავლენის გამჭვირვალობის სქემის აქტი.¹²³ სერბთა რესპუბლიკის ბოსნია-ჰერცეგოვინის საჯარო ხელისუფლება ანალოგიურად მოიხსენიებდა ამერიკულ FARA-ს, როგორც არაკომერციული ორგანიზაციების სპეციალური რეესტრისა და საქმიანობის საჯაროობის შესახებ კანონპროექტის წყაროს.¹²⁴
65. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნების მაგალითები ფუნდამენტურად განსხვავდება და გააჩნიათ ძალიან განსხვავებული მიზანი და ფარგლები,¹²⁵ შესაბამისად, არ არის შესაბამისი შედარებითი მაგალითები უცხოეთიდან დაფინანსების მიმღები ასოციაციების მიმართ საკანონმდებლო ინიციატივების დასაბუთებისთვის. FARA თავდაპირველად ამოქმედდა 1938 წელს, რათა უზრუნველყო ფიზიკური პირების ან სუბიექტების რეგისტრაცია, რომლებიც მოქმედებენ უცხო მთავრობის მითითებითა და კონტროლით, ხოლო 2016 წელს მისი ფარგლები გაფართოვდა რომ ფოკუსირება მოეხდინა არჩევნებში უცხოური ჩარევის წინააღმდეგ.¹²⁶ წინააღმდებარე მოსაზრებამი განხილული საკანონმდებლო ინიციატივებისგან განსხვავებით, FARA-ს მიხედვით, არ არის საჭირო

121 ვენეციის კომისია, CDL-AD(2019)002, ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, 3 უნ ქ ტი 98.

122 იხილეთ თუცხოელიანების რეგისტრაციის აქტი | უცხოელიანების რეგისტრაციის აქტი (justice.gov).

123 უცხოელი გავლენის გამჭვირვალობის სქემის აქტი 2018. No 63. 2018წელი.

124 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ურთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციული ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეესტრისა და საჯაროობის შესახებ. 2023 წლის 12 ივნისი, ვუნ ქ ტი 27.

125 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ურთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციული ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეესტრისა და საჯაროობის შესახებ. 2023 წლის 12 ივნისი, ვუნ ქ ტი 27.

126 იხილეთ 22 აშშ კოდექსი § 611 - განმარტები.

მოსაზრება სა ზღვარგარეთდან და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოულიაზენტების შესახებ კანონების“ და მხედავის კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებათ საერთო შორისობაზე ნდა რტებონ.

რეგისტრაციის გავლა მხოლოდ იმიტომ, რომ პირი იღებს დაფინანსებას უცხოული წყაროდან. უფრო მეტიც, თქვენ უნდა იყოთ უცხოელი მხარის აგენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოქმედებს კონკრეტული მიმართულებით და კონტროლით.¹²⁷ გარდა ამისა, FARA არ იქნა მიღებული კონკრეტულად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან მედიის წარმომადგენლების რეგულირებისთვის, არამედ ნებისმიერი სუბიექტის, არაკომერციული ან კომერციული ან ფიზიკური პირის მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც იურიდიული აგენტი უცხოელი მხარის სახელით.¹²⁸ ამის საპირისპიროდ, განსახილველი საკანონმდებლო ინიციატივები ეხება მხოლოდ ასოციაციებს ან არაკომერციულ ორგანიზაციებს, და არა სხვა იურიდიულ პირებს და მათში განმსაზღვრელი კრიტერიუმია მხოლოდ უცხოეთიდან დაფინანსების მიღება, განურჩევლად ნებისმიერი მიმართულებისა და/ან უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლისა.¹²⁹ აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში შეტანილი ცვლილებებით FARA-ს ფარგლები მნიშვნელოვნად შემცირდა; ის აღარ ვრცელდება საინფორმაციო ორგანიზაციებზე ან მედიაზე, რომლებიც არ არიან უცხოული სუბიექტის საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ და მოითხოვს ძალიან მაღალი კონტროლის ხარისხს უცხოურ სუბიექტსა და აგენტს შორის.¹³⁰ მთლიანობაში, ის ძირითადად ფოკუსირებულია ლობისტებისა და საჯარო აგენტების საქმიანობაზე, რომლებიც მოქმედებენ უცხოური სახელმწიფოების სახელით.¹³¹

66. რაც შეეხება 2018 წლის ავსტრალიის საგარეო გავლენის გამჭვირვალობის სქემის აქტს,¹³² ის ავალდებულებს ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას უცხოური ორგანიზაციების სახელით, გაამჟღავნონ ასეთი აქტივობებისა და ურთიერთობების დეტალები, განსაკუთრებით არჩევნების დროს და თუ ორგანიზაციები აკეთებენ განცხადებებს უცხოური მთავრობის სახელით,¹³³ ასევე გახადონ გარკვეული ინფორმაცია საჯარო. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავდაპირველად ექცეოდნენ აქტის თავდაპირველი პროექტის ფარგლებში, ისინი ცალსახად გამოირიცხა მოგვიანებით პროექტში, დამტკიცებამდე შეტანილი ცვლილების ფარგლებში. ზოგადად, როგორც FARA-ს შემთხვევაში, ავსტრალიის საგარეო

127 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ურთიერთობის მოსაზრება სერმონ რესპუბლიკაზენტების შესახებ არაკომერციული ორგანიზაციების შუშაობის სპეციალური რეგულირებისა და საჯაროობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 27. აგრეთვა და მატებითი დატალისთვის: ვენეციის კომისია, ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, სქოლო 134.

128 იქვე ვენეციის კომისიის ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, სქოლო 134.

129 22 აშშ კოდა ქ. 611 - განმარტებები.

130 იხილეთ ვენეციის კომისიის ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, სქოლო 134.

131 იქვე ვენეციის კომისიის ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, სქოლო 134.

132 ავსტრალიის საგარეო გავლენის გამჭვირვალობის სქემის აქტი 2018. No 63, 2018 წელი.

133 იქვე, მე-4 ნაწილი.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თად ნ და ფინანსებული ა სოციალური გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოულიანებულის შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებათ საერთო შორისობაში ნდა რჩებოთ.

გავლენის გამჭვირვალობის სქემის აქტი უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებს ლობისტური საქმიანობის რეგულირებაზე.¹³⁴

4. სამართლებრივი სიცხადისა და განსაზღვრულობის პრინციპის დაცვა

67. შეზღუდვის კანონიერების შეფასების მიზნით, საკმარისი არ არის კანონების ფორმალური არსებობა და ხელმისაწვდომობა, არამედ უნდა იყოს მკაფიო და გასაგები.¹³⁵ როგორც ასეთი, ისინი უნდა იყოს ჩამოყალიბებული საკმარისი სიზუსტით, რომ ინდივიდს - საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი რჩევით - შეეძლოს გარემოებებში გონივრულ დონეზე განჭვრიტოს ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს შესაბამის ქმედებას.¹³⁶ განსაკუთრებით, „უცხოელი აგენტების“ კანონმდებლობასთან ან მსგავს საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით, ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ე.წ. „უცხოელი აგენტების“ კანონების ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების ფარგლებში მოქცეული ორგანიზაციების განსაზღვრისათვის, ზოგადად ბუნდოვანი, ზედმეტად ფართო და/ან ორაზროვანია – მაგალითად, ცნება „პოლიტიკური საქმიანობის“, „უცხოური დაფინანსების“ ან უფრო ფართოდ ნებისმიერი დახმარების შესახებ საზღვარგარეთიდან - და არ შეესაბამება კანონმდებლობის სამართლებრივი სიცხადისა და განსაზღვრულობის პრინციპებს. შედეგად, ამან შეიძლება გამოიწვიოს ვრცელი ან თვითნებური ინტერპრეტაცია და შეუზღუდავი დისკრეცია იმ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კანონმდებლობის განხორციელებაზე,¹³⁷ რამაც სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება დააყენოს პოლიტიკურად მოტივირებული შეზღუდვებისა და რეპრესიების საფრთხის წინაშე.¹³⁸

68. მაგალითად, რუსეთის „უცხოელი აგენტების შესახებ კანონში“ ტერმინი „უცხოელი აგენტი“ ახსნილია, რომ გამოიყენება „არაკომერციული ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან და მონაწილეობენ პოლიტიკურ საქმიანობაში“; ტერმინი „პოლიტიკური საქმიანობა“ 2016 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ვრცელდება ყველა „საქმიანობაზე, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოებრიობასთან, რუსეთის კონსტიტუციური სისტემის დაცვასთან, ფედერალიზმითან, რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან, სამართლის უზენაესობაზე,

134 UNSW სამართლის ეურნალი, 2020, კრის დრაფტი და ნგ, იე-ფუნქციური აგენტების რეგისტრაციის სქემები ავსტრალიაში და შეერთებულ შტატებში: გამჭვირვალობის ფარგლები, რისკი და შეზღუდვები.

¹³⁵ ନେଇଲ୍ ଟମାର୍ଗ୍ରେ ଏବଂ ମିଳାନିଲ୍ ପ୍ରତିକାଳୀନ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନ ଦାତା କୁରୋବ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନ କାନ୍ଟର୍ ଏକାଡେମୀ ଏବଂ ବିଜ୍ଞାନ ଏକାଡେମୀ ଯେଉଁଥିରେ No. 9988/13 ଏବଂ 60 ସିବ୍ରାନ୍ତ୍, 2022 ଫେବ୍ରୁଆରୀ 14 ଦିନ ନେଇଲ୍ ଟମାର୍ଗ୍ରେ ଏବଂ ମିଳାନିଲ୍ ପ୍ରତିକାଳୀନ [GC], No. 39748/98, 2004 ଫେବ୍ରୁଆରୀ 17 ଦିନ କାନ୍ଟର୍ ଏକାଡେମୀ ଯେଉଁଥିରେ [GC], No. 6538/74, 1979 ଫେବ୍ରୁଆରୀ 26 ଦିନ ନେଇଲ୍ ଟମାର୍ଗ୍ରେ ଏବଂ ମିଳାନିଲ୍ ପ୍ରତିକାଳୀନ 49.

137 *Regionální ekologická správa České republiky, 2020*, s. 13. Významné výroky zde byly upraveny pro čtení v kontextu této knihy.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებული ა სოციალიზმის გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოულია გენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადგინის უფლება ას საერთო შორისო სტანდარტების სახით.

საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, ეროვნულ უსაფრთხოებასთან და თავდაცვასთან, საგარეო პოლიტიკასთან, რუსეთის ფედერაციის სოციალურ, კონომიკურ და ეროვნულ განვითარებასთან, პოლიტიკური სისტემის განვითარებასთან, სახელმწიფო და აღგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურასთან, [ან] ადამიანის უფლებებზე, სახელმწიფო პოლიტიკაზე, სახელმწიფო და აღგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურაზე, ან მათი გადაწყვეტილებებზე და ქმედებებზე გავლენის მიზნით". კანონის შეცვლილი დებულებები მიუთითებს ამ აქტივობების განხორციელების სხვადასხვა გზებზე, მათ შორის საჯარო შეკრებებზე, საარჩევნო კამპანიაზე, საჯარო პეტიციების წარდგენაზე, მოსაზრებების გავრცელებაზე და ჩამოყალიბებაში, მოქალაქეთა ჩართვაზე და დაფინანსებაზე.

- 2022 წლის გადაწყვეტილებაში *Ecodefence and Others* წინააღმდეგ რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა ტერმინის „პოლიტიკური აქტივობების“ ფართო და „არსებითად ბუნდოვანი“ ბუნება და ამავე დროს მიუთითა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ტერმინი განმარტა „ვრცელი და გაუთვალისწინებელი ფორმით“, იმგვარად, რომ „პოლიტიკური აქტივობის“ ცნება გავრცელდა საკითხთა უკიდურესად ფართო კომპლექსზე საჯარო ადვოკატირების ნებისმიერ ფორმაზე.¹³⁹ სასამართლომ დაასკვნა, რომ „ამ კრიტერიუმზე დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კლასიფიკაციაში – წარმოადგენდნენ თუ არა ისინი „პოლიტიკურ საქმიანობას“ – წარმოშობდა არათანმიმდევრულ შედეგებს და წარმოშობდა გაურკვევლობას სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში ჩართვის მსურველ არასამთავრობო ორგანიზაციებში“¹⁴⁰ რაც შეეხება ტერმინს „უცხოური დაფინანსება“, სასამართლომ ანალოგიურად აღნიშნა, რომ „მკაფიო და ნათელ კრიტერიუმების არარსებობა ხელისუფლებას აძლევდა შეუზღუდვავ დისკრეციას, ემტკიცებინა, რომ განმცხადებელი ორგანიზაციები იღებდნენ „უცხოურ დაფინანსებას“, რაც არ უნდა შორს ყოფილოყო მათი ასოციაცია სავარაუდო „უცხო წყაროსთან“; აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ პირებს „არ შეეძლოთ საკმარისი ხარისხით წინასწარ განესაზღვრათ რა დაფინანსება და დაფინანსების რა წყაროები იქნება კვალიფიცირებული, როგორც „უცხოური დაფინანსება“ „უცხოელი აგენტის“ რეგისტრაციის მიზნებისთვის“ და რომ ის საშუალებას აძლევდა „მის ზედმეტად ფართო და არაპროგნოზირებად ინტერპრეტაციას პრაქტიკაში, [და] არ აკმაყოფილებდა „კანონის ხარისხის“ მოთხოვნას“¹⁴¹ ჩაითვლება თუ არა არაკომერციული ორგანიზაცია კანონის მიხედვით უცხოელ აგენტად, რჩებოდა რუსეთის ხელისუფლების შეხედულებისამებრ გადასაწყვეტ თარიღად, ხოლო თავად ორგანიზაციებს მწირი წინასწარი ცოდნაც არ ჰქონდათ, თუ რომელი საქმიანობა მოაქცევდა მათ კანონის მოქმედების ქვეშ და რომელი არა. ამგვარად, ასეთი ბუნდოვანი და ზედმეტად ფართო ფორმულირებები არ არის

¹³⁹ ନେବାଲ୍ ତ ଏ ଦିନାଙ୍କିଳେ ଉପରୁ ଥାଏ ଯେ ଏହାରେ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନ କରିବାରେ ମାର୍ଗଦାରି କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି। No. 9988/13 ଓ 60 ଲେଖା, 2022 ମୁଣ୍ଡରେ 14 ଜାନୁଆରୀ ୩ ମୁହଁନ୍ଦିଆରେ ପ୍ରକଟିକ ହୋଇଥାଏ ।

141 oříz. Ecodefence a bbožího růžbě směřuje k řízení a výroby. Zájem o řízení 110 a 112.

მოსაზრება სა ზღვა რგა რეთდა ნ და ფინანსებულ ა სოციაციების გამჭვირვალობისა და
რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ
კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თან
საერთო შორისონ სტანდარტის ნ და რეგისტრაციის ნ.

„ნათელი და განსაზღვრული“ და შესაბამისად, კანონის ხარისხი არ არის ისეთი,
რომ დააკმაყოფილოს ECHR-ის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები და
ფორმულირების მსგავსების გამო, არც ICCPR-ის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

70. 2021 წლის დასკვნაში „რუსეთის უცხოელი აგენტების შესახებ კანონის“
ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ ისეთი
ტერმინები, როგორიცაა „ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური
მხარდაჭერა“ იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა ორგანიზაცია
კვალიფიცირებულ იქნეს „უცხოურ აგენტად“ იმდენად ბუნდოვანია და
ექვემდებარება ფართო ინტერპრეტაციას, რომ დებულება არ შეიძლება
ჩაითვალოს განჭვრეტად.¹⁴² გარდა ამისა, უნგრეთის და რუსეთის კანონებში
(2020 წელს შეტანილი ცვლილებების შემდეგ), ისევე როგორც საქართველოს
კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ (მუხლი 2(4))
ასევე იყენებს „არაპირდაპირი დაფინანსების“ ცნებას. ამასთან დაკავშირებით,
„რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონთან“ დაკავშირებით ვენეციის
კომისიამ ეჭვევეშ დააყენა უცხოური დაფინანსების განმარტების
გაფართოების აუცილებლობა, რათა გავრცელდეს რუსეთის მოქალაქეებზე და
ორგანიზაციებზე, რომლებმაც იღებენ თანხებს უცხოური წყაროებიდან ან
მოქმედებდნენ შუამავლების სახით და რეკომენდაცია გაუწია აღნიშნული
ელემენტის ამოღებას კანონის სფეროდან.¹⁴³
71. სხვა ელემენტები, რომლებიც გასათვალისწინებელია საკანონმდებლო
დებულებების განსაზღვრულობის შესაფასებლად, მოიცავს, მაგალითად,
ადმინისტრაციული მითითებების არსებობას, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორ
უნდა განმარტოს ხელისუფლების წარმომადგენელმა გარკვეული
ტერმინები/შეზღუდვები ან შიდა სასამართლოების მიერ სტაბილური,
თანმიმდევრული და განჭვრეტადი პრეცედენტული სამართლის არსებობა, რაც
არ არსებობს „რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონის“ შემთხვევაში.¹⁴⁴
72. ყირგიზეთის რესპუბლიკის ბოლოდროინდელ საკანონმდებლო
ინიციატივაში „უცხო წარმომადგენელთა“ კონცეფციასთან დაკავშირებით,
ODIHR-მა გამოთქვა შეშფოთება „უცხოური წარმომადგენლის“ განმარტების
„სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის პრინციპის
შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, „პოლიტიკური

142 ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ა და მიანის უფლება თან
საერთო შორისონ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ კანონპროექტების შერიც
შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფო სა თაოროში 2020 წლის 10-დან ნ 23
ნოემბრის ჩათვლით რა თა შეცვალონ კანონები, რომლებიც ეხება „უცხოურ აგენტებს“,
CDL-AD(2021)027, პარაგრაფი 52.

143 ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ა და მიანის უფლება თან
საერთო შორისონ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ კანონპროექტების შერიც
შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფო სა თაოროში 2020 წლის 10-დან ნ 23
ნოემბრის ჩათვლით რა თა შეცვალონ კანონები, რომლებიც ეხება „უცხოურ აგენტებს“,
CDL-AD(2021)027, პარაგრაფი 57.

144 ისილეთ მაგ., ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ა და მიანის უფლება თან
საერთო შორისონ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ კანონპროექტების შერიც
შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფო სა თაოროში 2020 წლის 10-დან ნ 23
ნოემბრის ჩათვლით რა თა დელილებები შეიტანოს კანონებში. რომლებიც ეხება
„უცხოურ აგენტებს“, CDL-AD(2021)027 პუნქტი 55; და ა და მიანის უფლება თა ეპროცესულ
სასამართლო, Ecodefence და სხვა მისამართებული სამსახურის მიერ შემთხვევაში, No. 9988/13 და 60 სხვა, 2022 წლის 14
ივნისი, პუნქტი 104. აგრეთვე, მაგალითად, ვენეციის კომისიის ანგარიში
ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, პუნქტი 68.

აქტივობების „განხორციელების კუთხით, რაც გაუკვეველს ხდის ცნების ფარგლებს და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და ამით შეუზღუდავ დისკრეციას მიანიჭებს განმახორციელებულ ორგანოებს“.¹⁴⁵

73. სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტში ზოგიერთ დებულებაში გამოყენებული ფორმულირება სცილდება ფინანსური რესურსების/დაფინანსების განხორციელებას, მაგრამ ეხება დახმარების ნებისმიერ სხვა ფორმას (მუხლი 1). ერთობლივი მოსაზრება აღნიშნავდა, რომ ზემოაღნიშნული შეიძლება მოიცავდეს აღჭურვილობისა და სერვისების უბრალოდ მიწოდებას, ან მხარდაჭერის უფრო არაფორმალურ ფორმებს, როგორიცაა მომხსენებლების მივლინება კონფერენციაზე ან პოტენციურად უბრალოდ ინფორმაციის მიწოდებაც კი, და რომ ასეთი ფორმულირება, შესაბამისად, ბუნდოვანი და ორაზროვანი იყო, რის შედეგადაც „შეუძლებელია განსაზღვრულობის საკმარისი ხარისხის უზრუნველყოფა და რა სახის დაფინანსება და თუ სხვა დახმარება გამოიწვევს არაკომერციულ ორგანიზაციად კვალიფიკაციას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და აკრძალვებს“.¹⁴⁶

5. საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციებისთვის დაწესებული ახალი ვალდებულებებისა და შეზღუდვების აუცილებლობა და პროპორციულობა.

5.1. ზოგადი კომენტარები

74. აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით „უცხოელი აგენტების“ კანონმდებლობის ან მსგავსი კანონმდებლობის მიღების შედეგები იყო სავალალო, რაც მათ ხშირად აიძულებდა აერჩიათ თავიანთი მუშაობის გაგრძელება უცხოური დაფინანსების ქვეშ და მასთან დაკავშირებული ტვირთისა და სტიგმის ტარებით, ან საგრძნობლად შეემცირებინათ თავიანთი საქმიანობა არასაკმარისი შიდა დაფინანსების ან მისი სრული ნაკლებობის გამო. გარდა ამისა, ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული კანონებისა და კანონპროექტების შესახებ დისკუსიების რიტორიკა ასევე მიანიშნებდა იმაზე, რომ უცხოური დაფინანსებისა და მხარდაჭერის მიმღები ასოციაციები არ არის სანდო, რის შედეგადაც „უცხოურ აგენტად“ რეგისტრაციას ან მას მოთხოვნას თან მოჰყვებოდა გარკვეული საზოგადოებრივი სტიგმა და შევიწროება.¹⁴⁷

146 ინიციუტ ODIHR-და ვენეციას კომისია, ერთობლივ მოხაზუება სერბთა რეპაბლიკის კანონმდებლობის შესახებ არაკომეტრიკული მრავალიზაციის მიმართის სპეციალური რეკომენდაცია და საჯაროობის შესახებ. 2023 წლის 12 ივნისი, 3 უნგრეგი 35.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თუდა ნ და ფინანსებული ა სიცია ციების გა მჯვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბა მისობა ა და მიანის უფლება თა საერთო შორისო სტანდარტის ნა და რეგულირების ნ.

75. როგორც ზემოთ აღინიშნა, გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა ასევე უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. როგორც გაერთიანების თავისუფლების ერთობლივ სახელმძღვანელოშია ხაზგასმული, „იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფოს ჩარევა ფუნდამენტური თავისუფლების განხორციელებაში არ გასცდეს აუცილებლობის საზღვრებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოითხოვს გონივრული ბალანსის დამყარებას ყველა საპირისპირო ინტერესებს შორის, რომ არჩეული საშუალებები იყოს ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალება ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად¹⁴⁸. ერთობლივი გაიდლაინები დამატებით აყალიბებს, რომ „საკანონმდებლო ეტაპზე ეს უნდა განხორციელდეს შეფასებით, გამართლებულია თუ არა გაერთიანების თავისუფლების განხორციელებაში დაგეგმილი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში და არის თუ არა ის ყველაზე ნაკლებად ინვაზიური ყველა სხვა შესაძლო საშუალებას შორის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული. ამრიგად, სახელმწიფოზე მტკიცების ტვირთი, რომ ნებისმიერი შეზღუდვას თან ახლავს ლეგიტიმური მიზანი, რომლის შესრულება შეუძლებელია რაიმე ნაკლებად ინვაზიური ქმედებებით.¹⁴⁹ შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონმდებლები, როგორც წესი, არ აფასებენ „უცხოელი აგენტების“ ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების პოტენციურ უარყოფით გავლენას ლეგიტიმურ საქმიანობაზე. ისინი ასევე ვერ ახერხებენ იმის დემონსტრირებას, რომ განიხილეს სხვა სამართლებრივი ალტერნატივები და შეარჩიეს ყველაზე ნაკლებად ინვაზიური (ჩამრევი) ზომები ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ასეთი ალტერნატივების არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია შემოთავაზებული საკანონმდებლო არჩევანის პროპორციულობის შეფასებისას.¹⁵⁰
76. ერთ-ერთი გადამწყვეტი საკითხი „უცხოელი აგენტების“ კანონმდებლობის ან მსგავს კონტექსტში არის ის, თუ რამდენად შეძლებს პოტენციურად რეგულირების ქვეშ მოქცეული რომელიმე სუბიექტი უზრუნველყოს შიდა დაფინანსების გონივრული ზომით მიღება გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ საფუძველზე¹⁵¹ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ სურთ გააგრძელონ დაფინანსების მიღება საზღვარგარეთიდან, რადგან შემფოთებულნი არიან „უცხოელი აგენტის“ ან სხვა მსგავსი ტერმინებით იარღიყის მიკერებით, სტიგმატიზებული არიან და/ან დაექვემდებარებიან მძიმე და/ან ძვირადღირებულ რეპორტინგის და სხვა ვალდებულებებს და/ან

148 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ურთობოვი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, 3 უნიტი 112.

149 იქვე ვარა ფი 113 (2014 წ. ურთობოვი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ).

150 იხილეთ მაგ., ODIHR, საკანონმდებლო კრიტერიუმების შეფასება მონიტორინგისა და ჰერცეგოგიაში (2023), 3 უნიტი 245.

151 იხილეთ მაგ., ად მიანის უფლება თა ევროპულ სასამართლო, Ecodefence და სხვა ბირჟის რესურსების წინააღმდეგ, №. 9988/13 და 60 სხვა, 2022 წლის 14 ივნისი, პარ. 165 და 169. აგრეთვე ODIHR და ვენეციის კომისია, ურთობოვი აზრი სერბია რესპუბლიკის კანონ რეფერის შესახებ არაკომეტიკულ ორგანიზაციების მუშაობის სამინისტრო რეესტრისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, 3 უნიტი 31.

მოსაზრება სა ზღვარგარეთიდან და ფინანსულ ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიაგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებას საერთო შორისონტან და რტებონ.

შეზღუდვებს, როგორიცაა მისი საქმიანობის ან მოქმედების სფეროს შეზღუდვა (იხ. ქვემოთ).

5.2. ცალკე სარეგისტრაციო მოთხოვნები და სტიგმატიზაციის რისკი

77. ზემოხსენებული „უცხოელი აგენტების შესახებ კანონები“ ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივები, გარდა გაუქმებული უნგრეთის კანონისა,¹⁵² ზოგადად მოითხოვს უცხოეთიდან დაფინანსებული ასოციაციები ცალკე, სპეციალურ რეესტრში დარეგისტრირდნენ,¹⁵³ გარდა იმ ზოგადი რეგისტრაციისა, რომელიც ვრცელდება ყველა ასოციაციაზე. ამასთან დაკავშირებით, ODIHR და ვენეციის კომისია ზოგჯერ ეჭვპვეშ აყენებენ ასეთი დამატებითი რეგისტრაციის მექანიზმის შექმნის აუცილებლობასა და ღირებულებას,¹⁵⁴ რასაც თან სდევს სტიგმატიზაციის რისკი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ცალკე რეგისტრაციის ვალდებულებამ.¹⁵⁵
78. ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული შეზღუდვები დაკავშირებულია ყველა უცხოურ დაფინანსებასთან, მიუხედავად თანხების ოდენობისა და წარმოშობისა. როგორიცაა მაგალითად, „რუსეთის საგარეო აგენტების კანონის“ შემთხვევა. საზღვარგარეთიდან მიღებული დაფინანსების ნებისმიერი მინიმალური ოდენობა ან დროის ნებისმიერ მინიმალურ პერიოდში, რომლის დროსაც არაკომერციულ ორგანიზაციას უნდა მიეღო უცხოური დაფინანსება, ან რაიმე მოძრავი ან უძრავი ქონება წარმოშობს შესაბამის ვალდებულებებს. ეს უაღრესად პრობლემურია, რადგან ძალიან მცირე თანხების გადახდამაც კი შეიძლება გამოიწვიოს არაკომერციული ორგანიზაციის „უცხო აგენტად“ შერაცხვა. ანალოგიურად, სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტი არ განსაზღვრავს, თუ რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს ასოციაციას ან ფონდს, მათ შორის მინიმალური ოდენობა ან ზღვრები

152 იხილეთ მაგ., ვენეციის კომისია, უნგრეთი - მოსაზრება კანონპროექტზე სა ზღვარგარეთიდან მხედვების მიმღები მოგენიზაციების გამჭვირვალობის შესახებ. CDL-AD(2017)015, ვარ. 47. სადაც მითითებულია, რომ „მუდა აეშეგვი ვიზიტისას ვენეციის კომისიას ეცნობა, რომ უცხოური და ფინანსების მიმღები მოგენიზაცია არ უნდა შეიქმნას. უფრო ძეგლი ინფორმაცია და ემატება სამოქალაქო საზოგადოების მოგენიზაციების უვავე არსებულ რეგისტრს. რომელიც რეგულირდება სამოქალაქო საზოგადოების მოგენიზაციების სასამართლო რეგისტრიის შესახებ №181/2011 კანონით და მასთან დაკავშირებულ რეგლებით ეს გამოსავალ მისახალებელია, რადგან ცალკე რეგისტრის შექმნამ შეიძლება გამოიდება გამოსავალის მიზნად ისახავს გარკვეულ სამოქალაქო საზოგადოების მოგენიზაციების სტიგმატიზაციას. მხოლოდ მათ და ფინანსების წყაროზე და ყრდნობით.

153 როგორც „უცხო აგენტი“ (რუსთა ფედერაცია), „არა კომერციულ ორგანიზაცია“ (სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტი), „უცხოური წარმომადგენლები“ (2022-2023 წწ. ყირგიზეთის რესპუბლიკის ცვლილებების პროექტი), „უცხოური გავლენისა გენტი“ (მუხლ 2). „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის განმარტებით: ა) არასამეწარმეო იურიდიულ პირი, ბ) მაუწყებელი გ) იურიდიულ პირი, რომელიც აქვს საკუთრება მაუწყებელს, დ) იურიდიულ პირი, რომელიც ფლობს ან იყენებს ინტერესებს ერთულებაზე მასობრივი ინფორმაციის გასავრცელებლივ დგანკუთვნილ დოკუმენტებს.

154 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არა კომერციულ ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეგისტრისა და საჯარობის შესახებ. 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 50.

155 იხილეთ მაგ., ვენეციის კომისია, უნგრეთი - მოსაზრება კანონპროექტზე სა ზღვარგარეთიდან მხედვების მიმღები მოგენიზაციების გამჭვირვალობის შესახებ. CDL-AD(2017)015, ვარ. 47.

მოსაზრება სა ზღვა რე თუდა ნ და ფინანსებულ ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოურიანების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესტება და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა საერთაშორისო სტანდარტთან დამტკიცების ფარგლებში.

და წყაროს ტიპი, ე.წ. „უცხოური დაფინანსება“ ან სხვა სახის დახმარება, რომ მოქმედეს კანონპროექტის მოქმედების ფარგლებში.

79. ადამიანის უფლებათა უცროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „რუსეთის კანონი უცხოური აგენტების შესახებ“ არ „ადგენს „უცხოური დაფინანსების“ მინიმალურ ოდენობას ან მათი დაფინანსების წილს ორგანიზაციის ბიუჯეტში, რის შედეგადაც ორგანიზაცია, რომელიც რეგულარულად ფინანსდება საზღვარგარეთიდან, ორგანიზაცია, რომელსაც მიუნიჭა საერთაშორისო პრიზი საქმიანობასთან დაკავშირებით და ორგანიზაცია, რომელიც იღებს კომპიუტერის ან პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიას საერთაშორისო კომპანიისგან, ყველა განურჩევლად ჩაითვლება დაფინანსებულად „უცხოური წყაროებიდან“¹⁵⁶ ზოგადად, ODIHR და ვენეციის კომისია თვლიან, რომ როდესაც ცალკეული ვალდებულებები ან მოთხოვნები „არ არის განპირობებული უცხოური წყაროებიდან მიღებული თანხების ან დახმარების მინიმალური ოდენობით“, „მისი დიფერენცირების ნაკლებობა უარყოფითად აისახება ჩარევის პროპორციულობის შეფასებაზე“¹⁵⁷ „რუსეთის საგარეო აგენტების კანონთან“ დაკავშირებით, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე შემფოთებით აღნიშნა, რომ „მინისტრის შეუზღუდავმა დისკრეციამ, დააწესოს არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის კრიტერიუმები, მეთოდები და პირობები (მუხლები 5 და 6) შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების არაპროპორციული მოპყრობა, განსაკუთრებით ვისაც აქვს მთავრობისგან განსხვავებული და კრიტიკული შეხედულებები ან მუშაობენ პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხებზე“¹⁵⁸
80. მეორეს მხრივ, უნგრეთის (გაუქმებული) კანონი და საქართველოს კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევებში მოქმედებს, როდესაც საზღვარგარეთიდან მიღებული თანხები აჭარბებს გარკვეულ ზღვარს. უნგრეთის შემთხვევაში, სამოქალაქო ორგანიზაციები უნდა დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც „უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაციები“ თუ ისინი ყოველწლიურად

156 ა და მიანის უფლება თა ე ვ როპულ სა სა მა როლო, *Eodefence და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*. No. 9988/13 და 60 ს ხ ვ ა , 2022 წ ლის 14 ივნისი, პუნქტი 167.

157 იხილეთ მსგავსი და კვპნების ODIHR-სა და ვენეციის კომისიაში, CDL-AD(2013)030_ერობლები შეაღებული მოსაზრება კანონმდებლების შესახებ არაკომერციული ორგანიზაციებისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესახებ კანონში ვალიულებების შეტანის შესახებ, პუნქტი 55. აგრეთვე ვენეციის კომისია, CDL-AD(2014)025-ე. მოსაზრება ვეღრი კანონის შესახებ ს.121-ე არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ („კანონი უცხოური აგენტების შესახებ“), ვეღრი ლური კანონების შესახებ ს.18-ე და 147-დ და ვეღრი ლური კანონის ს.190-ე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში („კანონი და და ტის შესახებ“) ვალიულებების შეტანის შესახებ, პუნქტები. 70 და 88, სადაც აღნიშნულია, რომ კანონმდებლები „უცხოური აგენტის“ სამართლებრივ სტატუსს არ განაპირობებს საზღვარგარეთიდან მიღებული და ფინანსების რაიმე მინიმალური რეგისტრაცია ან დროის მინიმალურ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც არყოფნიულმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს უცხოური და ფინანსება . . . [..] ამფამინდელ პროექტი მოკლებულია მინიმალურ მოხსოვნების გამოყენებულ თანხის ოდენობასა და ოპერაციის ხანგრძლივობის შესახებ.“

158 იხილეთ გაეროს სპეციალური მოხსენებების შვეიცარიანი შეკრებისა და გაერთანხების თავის უფლების უფლებებზე, წერილ OL RUS 16/2022, 2022 წ ლის 30 ნოემბრით, მიმართულ რუსეთის ფედერაციისა და 2012 წ ლის 20 ივნის ფედერალურ კანონთან No121-FZ და შემდგომ ცვლილებებთან და კავშირებით. გვ. 6.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თადა ნ და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლება სა აერთო შორისობაზე ნ და რეგებთან ნ.

მიიღებდნენ 7,2 მილიონ უნგრულ ფორინტზე მეტს (დაახლოებით 18,000 ევროს), მაშინ როცა საქართველოში, კანონის მიღების შემთხვევაში, რეგისტრაციის ვალდებულება გაჩნდებოდა, თუ ორგანიზაციამ კალენდარული წლის განმავლობაში თავისი მთლიანი შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი მიიღო კანონპროექტის მე-3 მუხლში განსაზღვრული „უცხო ხელისუფლებისგან“. რაც შეეხება უნგრეთის კანონს, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „გამჭვირვალობის კანონით დაწესებული ვალდებულებების მისადაგების გამომწვევი ფინანსური ზღვრები დაფიქსირდა თანხებით, რომლებიც აშკარად არ შეესაბამება საზოგადოების ინტერესის ფუნდამენტური საფრთხის საკმარისად სერიოზულ სცენარს, რომელიც უნდა აღკვეთოს აღნიშნულმა ვალდებულებებმა.“¹⁵⁹

81. (გაუქმებული) უნგრეთის კანონი ითვალისწინებდა რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ უცხოური მხარდაჭერა არ მიაღწევდა შესაბამის ზღვარს ზედიზედ სამი ფისკალური წლის განმავლობაში. 2015 წლის 8 მარტს ორგანიზაციის „უცხოელი აგენტების“ რეესტრიდან ამოღების პროცედურა დაემატა „რუსეთის საგარეო აგენტების კანონს“ (32(7.1)) და 2020 წელს მიღებულმა ცვლილებებმა ასევე შემოიღო ფიზიკური პირების ამოღების პროცედურა „უცხოელი აგენტის“ რეესტრიდან. გარდა ამისა, სხვა ზემოაღნიშნული „უცხოელი აგენტების“ კანონები ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივები, როგორც წესი, არ აკონკრეტებენ დროს, როდის უნდა მოხდეს „უცხოელი აგენტის“ ან მსგავსის სპეციალური რეესტრიდან ამოღება, თუ შესაბამისი პირი შეწყვეტს უცხოური დაფინანსების ან დახმარების მიღებას, არც რეგისტრაციის გაუქმების პროცედურა არის აღწერილი.¹⁶⁰ ამდენად, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ ან საერთოდ თუ შეიძლება სპეციალურ რეესტრში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ ლდესმე ამოშალოს საკუთარი თავი „უცხოელი აგენტის“ რეესტრიდან ან მსგავსი სპეციალური სტატუსიდან და თავი დააღწიოს მასთან დაკავშირებულ დამატებითი ანგარიშგების და სხვა ვალდებულებებსა და შეზღუდვებს, მას შემდეგ რაც შეწყვეტს უცხოეთის დაფინანსების და დახმარების მიღებას. როგორც სხვა ერთობლივ მოსაზრებებშია აღნიშნული, ეს არის მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ღონისძიების პროპორციულობას.¹⁶¹
82. პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის რეესტრებში გამოქვეყნება „უცხოელი აგენტების“, მათი წარმომადგენლების ან თუნდაც ფიზიკური პირების შესახებ „რუსეთის უცხოელი აგენტების კანონის“ შემთხვევაში ასევე აისახება მათ კონფიდენციალურობის უფლებაზე. მაგალითად, „რუსეთის

159 CJEU, კომისიი უნგრეთის წინააღმდეგ საქმე C-78/18, 2020 წლის 18 ივნისი, 3 არ. 94.

160 იხილეთ მაგ., სერბთა რესპუბლიკის კანონმდებლები, ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის კანონპროექტით და კავშირით, ურთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომეტიული თრანსფორმაციის მუშაობის სპეციალური რეგისტრისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, ვუნკტი 37.

161 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, CDL-AD(2013)030, ურთობლივი შუალედერი მოსაზრება კანონპროექტის შესახებ, რომელს ვანონს არაკომეტიული თრანსფორმაციის კანონპროექტის შესახებ არაკომეტიული თრანსფორმაციის მუშაობის სპეციალური რეგისტრისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, ვუნკტი 37.

65. და ურთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომეტიული თრანსფორმაციის მუშაობის სპეციალური რეგისტრისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, ვუნკტი 37.

მოსაზრება სა ზღვა რე თადა ნ და ფინანსებული ა სოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ ხაკანონმდებლობის მიცემის ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თავის შორის სტატუსის შესახებ ნ და რტების ნ.

უცხოელი აგენტების კანონი“, მრავალჯერადი შესწორებების შემდეგ, ეხება არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, არამედ ინდივიდებსა და არარეგისტრირებულ საზოგადოებრივ გაერთიანებებს. ამ სუბიექტებისა და ფიზიკური პირების შესახებ პირადი ინფორმაცია ქვეყნდება იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილ სპეციალურ რეესტრში, რომელიც ონლაინ ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. ვენეციის კომისიამ „რუსეთის უცხოელი აგენტების შესახებ კანონის“ შესახებ თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ „უცხოელი აგენტების“ ფიზიკური პირების და სხვა სუბიექტების პერსონალური მონაცემების შეგროვება და რეესტრში გამოქვეყნება წარმოადგენს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, რაც არ არის გამართლებული,¹⁶² რადგანაც მას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი. ვენეციის კომისია ასევე აღნიშნავს, რომ „უცხოელი აგენტის“ აღნიშნის სტიგმატიზებული ბუნების გამო, საჯარო რეესტრი სავარაუდოდ შელახავს სუბიექტებისა და ფიზიკური პირების რეპუტაციას და სერიოზულად შეაფერხებს მათ საქმიანობას.¹⁶³

5.3. იარლიყის მიკერების ვალდებულება და სტიგმატიზაცია

83. ეგრეთ წოდებული „უცხოელი აგენტების“ ან მისი ეკვივალენტი ზოგიერთი კანონმდებლობა მოითხოვს, რომ უცხოეთიდან დაფინანსების მიმღებ ასოციაციებმა მოაწერონ ან მონიშნონ თავიანთი ყველა პუბლიკაცია, მათ შორის ონლაინ პუბლიკაციები, ფორმულირებით „უცხოელი აგენტი“ (რუსეთის ფედერაცია), „ორგანიზაცია, რომელიც იღებს მხარდაჭერას საზღვარგარეთიდან“ (გაუქმებული უნგრეთის კანონი), „არაკომერციული ორგანიზაცია“ (სერბეთი) და ა.შ. რაც შეეხება ზოგადად იარლიყის მიკვრის ვალდებულებებს, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „„უცხოელი აგენტის“ იარლიყის საყოველოთაო დაწესება ყველა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის [...] არ შეიძლება ჩაითვალოს საჭიროდ დემოკრატიულ საზოგადოებაში ღვევიტიმური მიზნის უზრუნველსაყოფად, მათ შორის სამოქალაქო სექტორის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად“. ¹⁶⁴ როგორც შემდგომში ხაზგასმით აღინიშნა ODIHR-მა და ვენეციის კომისიამ 2013 წელს ყირგიზეთის რესპუბლიკის ცვლილებების პროექტის განხილვისას, ასოციაცია სახელწოდებით „უცხოელი აგენტი“ „სავარაუდოდ გამოიწვევს უნდობლობის, მიშისა და მტრობის ატმოსფეროს, რაც ართულებს მათ საქმიანობას“. ¹⁶⁵

84. უფრო მეტიც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იარლიყის მიკერებას შეიძლება

162 იხილეთ ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ა და მიანის უფლება თავის შესახებ ხანონმდებლობის შესახებ კანონმდებლობის შერიცხვის შესახებ. რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფო სა თბილისი 2020 წლის 10-და 5 ნოემბრი მდე ვერიფირდებო, რათა შეცვალო კანონები. რომ ლუბიც ეხება „უცხოელი აგენტების“, CDL-AD(2021)027_3_ა.რ. 62.

163 იქვე 3_ა.რ. გრაფი 62 (2021 წლის ვენეციის კომისიის აზრი).

164 რესურსებზე წელიმა, A/HRC/50/53, 2022 წლის 10 მაისი, პუნქტი 28.

165 იხ. ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივ შეაღდეური მოსაზრება კანონმდებლობის რესტროგონის სახელის კანონს არა კომერციული მოგანიზაციისა და ყირგიზეთის რესტროგონის სახელის კანონმდებლობის შესახებ, CDL-AD(2013)030, პუნქტი 47.

მოსაზრება სა ზღვა რე თაღა ნ და ფინანსებზე ა ს ი ცი ი ა ცი ე ბ ი ს გ ა მ ჭ ვ ი რ ვ ა ლ მ ბ ი ს ა დ რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა კ ა ნ ი ნ მ დ დ ბ ლ ი ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ე ბ ი ს ა ნ გ . წ . „ უ ც ხ მ ე ლ ი ა გ ე ნ ტ ე ბ ი ს „ დ ა მ ს გ ა ვ ს ი კ ა ნ ი ნ მ დ დ ბ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ დ ა მ ა თ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი მ ა ნ ი ს უ ც ლ დ ბ ა თ ა ს ა ე რ თ შ მ რ ი ს ი ს ტ ა ნ დ ა ნ დ ა რ ე ბ თ ა ნ .

ჰქონდეს სრულიად არასწორი მიზანი. როგორც ვენეციის კომისიამ „უცხოელი აგენტების კანონებთან“ დაკავშირებით შენიშვანა, „საჯარო გამუდავნების ვალდებულებები უცხოური დაფინანსების მიღების შესახებ ხშირად მიზნად ისახავდა ამ დაფინანსების მიმღები ასოციაციების საჯარო შეურაცხყოფას და გაზრდის სირთულეებს ორგანიზაციებისთვის დასახული მიზნების მიღწევაში. ზოგჯერ ამას თან ახლდა შეურაცხმყოფელი კამპანიები ასოციაციების წინააღმდეგ, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას¹⁶⁶. „რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონის“ შესახებ 2014 წლის დასკვნაში ვენეციის კომისიამ უკვე აღნიშვანა, რომ „უცხოელი აგენტის ძალიან ნეგატიური კვალიფიკაციის დაწესება და არაკომერციული ორგანიზაციების ვალდებულება გამოიყენოს იგი მის ყველა მასალაზე არ შეიძლება ჩაითვალოს „გარდაუვალ საჭიროებად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ უცხოური დაფინანსების მიმღები არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ არაკომერციული ორგანიზაციების იღებს უცხოურ დაფინანსებას, ვერ ამართლებს მას „უცხო აგენტად“ კვალიფიკაციას¹⁶⁷. აღნიშნული დასკვნები, სავარაუდოდ, გავრცელდება სხვა ზემოაღნიშნულ კანონებზეც, რომლებიც გარკვეულ სამოქალაქო ორგანიზაციებს უწესებენ მსგავს იარღიყებს.

85. კონკრეტულად „რუსეთის უცხოელი აგენტების შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ „უცხოელი აგენტად“ დარეგისტრირების მოთხოვნა და ამ იარღიყის გამოყენება ყველა საჯარო მასალაზე არღვევდა გამოხატვის თავისუფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმეში *Eodefence and Others v. რუსეთის წინააღმდეგ*, დაეთანხმა ამ სარჩელს და აღნიშვანა, რომ იარღიყს „უცხოელი აგენტი“, გარდა იმისა, რომ იყო გაუმართლებელი და ზიანის მომტანი, შეიძლება ჰქონდეს ძლიერი შემთხვევლი და სტიგმატიზებული ეფექტი მათ საქმიანობაზე¹⁶⁸. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა ხაზგასმით აღნიშვანა, „ტერმინის „უცხოელი აგენტის“ (*иностранный агент*) გამოყენება განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებზეც გავლენას ახდენს [„რუსეთის უცხოელი აგენტების შესახებ კანონის“] განხორციელება, რადგან ის ჩვეულებრივ, რუსულ ისტორიულ კონტექსტში ასოცირდება „უცხო ჯაშუშის“ და/ან „მოღალატის“ ცნებასთან და, შესაბამისად, გააჩნია ოსტრაციზმის ან სტიგმის კონტაკია¹⁶⁹. გაერთს სპეციალურმა მომხსენებელმა მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე იგივე შემფოთება გამოთქვა

166 ი ხ ი ლ ე თ ვ ე ნ ე ც ი ი ს კ მ მ ი ს ი ა , ა ნ გ ა რ ი შ ი ა ს ი მ ი ს ი ა ც ი ე ბ ი ს დ ა ფ ი ნ ა ნ ხ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ . CDL-AD(2019)002, პ უ ნ ქ ტ ი 85.

167 ვ ე ნ ე ც ი ი ს კ მ მ ი ს ი ა , მ ხ ს ა ზ რ ე ბ ა ვ ე ფ რ ა ლ ე რ ი კ ა ნ ი ნ ი ს N. 121-FZ ა რ ა კ მ მ ე რ დ ი უ ლ ე რ ე ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ (კ ა ნ ი ნ ი უ ც ხ მ ე ლ ი ა გ ე ნ ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ”), CDL-AD(2014)025, პ ა რ 60.

168 ა და მიანის უფლება თა ე ვ რ ი ც უ ლ ი ს ა ს ა მ ა რ ი ლ ი , *Eodefence* და ს ხ ე გ ბ ი რ უ ს ე თ ი ს ხ ი ნ ა ც ი ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ა . No. 9988/13 და 60 ს ხ ვ ა , 2022 წ ლ ი ს 14 ი ვ ნ ი ს ი , პ უ ნ ქ ტ ი 136, რ მ მ ე ლ ი ც ე ხ ე ბ ა „ მ ლ ი ე რ შ ე მ ა კ ა ვ ე ბ ე ლ დ ა ს ტ ი გ მ ა ტ ი ზ ი რ ე ბ უ ლ ე ფ ე ქ ტ ს მ ა თ მ ა რ ა ც ი ე ბ ზ ე “.

169 ე ვ რ ი ც ი ს ს ა ბ ჭ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა კ მ მ ი ს ა რ ი , მ ხ ს ა ზ რ ე ბ ა რ უ ს ე თ ი ს ხ ი ნ ა ც ი ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ კ ა ნ ი ნ მ დ დ ბ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ა რ ა კ მ მ ე რ დ ი უ ლ ე რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ კ ა ნ ი ნ ი ს ს ა ბ ჭ ი ს ს ტ ა ნ დ ა რ ტ ე ბ ი ს გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი რ ა ფ ი რ ი . CommDH(2013)15, 15 ი ვ ლ ი ს ი 2013, პ უ ნ ქ ტ ი 80. 57 დ ი 80.

მოსაზრება ს ა ზღვა რგა რე თუდ ნ დ ფინა ნ ს ე გ უ ლ ა ს თ ც ი ა ც ი ე ბ ი ს გ ა მ წ ვ ი რ ვ ა ლ მ ი ს ა დ რ ე გ უ ლ რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ს ა კ ა ნ მ ნ მ დ დ ლ ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ე ბ ი ს ა ნ კ კ წ ე ხ ე ლ ი ა გ ე ნ ბ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ კ ა ნ მ ნ ე ბ ი ს " დ მ ს გ ა ვ ს ი კ ა ნ მ ნ მ დ დ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ დ ა მ ა თ შ ე ს ა ბ ა მ ი ს მ ა თ ა დ მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ს ა ე რ მ ა შ ე რ ი ს თ ს ტ ა ნ დ ა რ ტ ე ბ მ ა 5 .

უფლებადამცველების, აქტივისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ლეგიტიმური მუშაობის სტიგმატიზაციასთან და „მოდალატის“ ან „ჯაშუშის“ კონოტაციასთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია ტერმინ „უცხოურ აგენტთან“, რომელიც აზიანებს ამ პირების რეპუტაციას, სანდოობას და საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებას კი.¹⁷⁰

86. მიუხედავად იმისა, რომ გაუქმებულმა უნგრეთის კანონმა შემოიღო უფრო ნეიტრალური იარლიყი - „საზღვრგარეთიდან მხარდაჭერის მიმღები ორგანიზაციები“, ვენეციის კომისიამ თავის მოსაზრებაში აღნიშნა, რომ ეს იარლიყი ასევე ატარებდა ასეთი ორგანიზაციების სტიგმატიზაციის რისკს, რასაც უარყოფითი შედეგები ექნებოდა მათ ლეგიტიმურ საქმიანობაზე და შემაშფოთებელი ეფექტი გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებაზე.¹⁷¹ მან თავისი დასკვნები დაამყარა უნგრეთში კანონის მიღების კონტექსტზე, განსაკუთრებით მძიმე პოლიტიკურ განცხადებებსა და ბრალდებებზე, რომლებიც მიმართული იყო ამ ტიპის ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას და წარმოაჩენდა, თითქოს ისინი მოქმედებენ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ.¹⁷²

87. რაც შეეხება იარლიყს „არაკომერციული ორგანიზაცია“ (NPO) სერბეთში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულია მისი უფრო ნეიტრალური და აღწერილობით ბუნება, ვიდრე ტერმინი „უცხოელი აგენტი“, ODIHR-მა და ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კონტექსტიდან გამომდინარე „NPO“ იარლიყმა შეიძლება მაინც შექმნას გარკვეული ასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების სტიგმატიზაციის რისკი და გავლენა მოახდინოს მათ ლეგიტიმურ საქმიანობაზე,¹⁷³ განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სხვა ასოციაციებსა და ფონდებს, ან უცხოურ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მოეთხოვებათ თავიანთი სტატუსის მითითება. ერთობლივ დასკვნაში ასევე ხაზგასმულია, რომ ტერმინები NPO, NGO და CSO პრაქტიკაში იმდენად ურთიერთშემცვლელად გამოიყენება, რომ ეს გამოიწვევს დამატებით გაუგებრობას და, შესაძლოა, გავლენას უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

170 იხილუ გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე, წერილ OL RUS 16/2022, 2022 წლის 30 ნოემბრით, მიმართულ რესერტის ფორმით 2012 წლის 20 ივნისის ფერალურ კანონთან №121-FZ და შემდგომ ევლილებებთან და კავშირებით, გვ. 2-3.

171 იხილუ მაგ. ვენეციის კომისია, უნგრეთ - მოსაზრება კანონპროექტზე
საზღვარგარეთიდან მხარდაჭერის მიმღები მრგანიზაციების გამჭვირვალობის
შესახებ. CPD-AD(2017)015. პონ. რი 65.

172 ინიციუტმა გ. ვენეციის კომისიის ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2017)015, უნგრეთ - მოსაზრება კანონმდებლის შესახებ მხარდაჭერის მიღები თრგანიზაციების გამდვირვალობის შესახებ. საზღვარგარეთ, პარ. 65, რომელიც ნათვამია: „[ქვეყანაში] გამატონებულ კონტექსტში, რომელც აღინიშნა ძლიერი პოლიტიკური განცხადებით უცხოებო მხარდაჭერის მიღები ასოციაციების წინააღმდეგ, ეს იარღიანი ისტაცია ასეთი თრგანიზაციას სტიგმატიზაციას. უკროფითადი დიმიტერე დედამისათვის და მამშვიდე დედოფლი გამოხატვის მისამართაზე და ასეთი დანართის მიზანი არ არის“.

173 მათ შემდეგია აუ და ამოგება .
შედერების თვის, იძილოთ მაგ . 305ეციის კომისია . CDL-AD(2019)002, ანგარიში
ასოვა გეგმის და ფანანების შესახებ . პუნქტი 59 აგრძელება მაგავენეციის კომისია ,
CDL-AD(2017)015 მოსაზღვა სა ზღვარია რეთიდან ნ მხარე ჭერის მიმღები ორგანიზაციის
გამწვევა ლობის შესახებ კანონმდებრი ტის შესახებ . პუნქტი 65 .

მოსაზრება სა ზღვა რგა რეთდა ნ და ფინანსებულ ა სოციაციების გამჭვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ ხაკანონმდებლობინიცია ტივების ა ნ ე.წ. „შეხოულია გენერების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება ას სა ერთო შორისოსტან ნდა რეგებთან ნ.

88. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც სხვა ასოციაციებს არ მოეთხოვებათ საკუთარ თავზე იარღიყის მიკერება, რომ მიუთითონ თავიანთ სამართლებრივ სტრუქტურაზე, ხოლო სხვა ასოციაციებს ავალდებულებებს გამოიყენონ თუნდაც ერთი შეხედვით წეიტრალური იარღიყი, როგორც მათი თვითიდენტიფიკაცია პრაქტიკაში, მაგრამ ასევე კონტექსტიდან გამომდინარე, გავლენას მოახდენს მათ რეალურ საქმიანობაზე და მათი ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებაზე, რადგან ეს პოტენციურად მათი საქმიანობის სტიგმატიზაციის ან დისკრედიტაციის რისკს ქმნის სხვების, მათ შორის მათი ბენეფიციარების და საზოგადოების თვალში.¹⁷⁴

5.4. გარკვეული საქმიანობის შეზღუდვები ან აკრძალვები და გავლენა გამოხატვის თავისუფლებისა და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებაზე

89. ზოგიერთი ზემოაღნიშნული „უცხოელი აგენტების შესახებ კანონი“ ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს ან აკრძალვებს იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება განახორციელოს ე.წ. „უცხოურმა აგენტებმა“ და მსგავსმა პირებმა, მაგალითად შეზღუდვები სიტყვის თავისუფლებაზე (რუსეთის ფედერაცია), შეზღუდვები საჯარო სამსახურის მომსახურეობებზე (რუსეთის ფედერაცია), საჯარო დაფინანსების სრული აკრძალვა (რუსეთის ფედერაცია) ან ფართოდ ინტერპრეტირებული „პოლიტიკური ქმედებების“ და „პოლიტიკური აქტივობების“ განხორციელების აკრძალვა (სერბთა რესპუბლიკა). 2021 წლის 20 აპრილის ფედერალური კანონი №91-ФЗ „რუსეთის ფედერაციის ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შემდგომში ავალდებულებს „უცხოურ აგენტად“ მიჩნეულ პირებს ან მათთან დაკავშირებულ პირებს, დააფიქსირონ ეს ფაქტი არჩევნებში მონაწილეობის განზრახვის გამოცხადებისას მხარდამჭრთა ხელმოწერების სიებში. სახელწოდება „უცხოელი აგენტი“ ჩაიწერება კანდიდატების ნასამართლევი წარსულის შესახებ ინფორმაციის გვერდით და საჭიროებს ჩართვას კამპანიის მასალებში და მითითებული იქნება საუბნო საარჩევნო კომისიების შენობებზე საინფორმაციო სტენდებზე, ასევე ბიულეტენებზე.¹⁷⁵ 2022 წლის 1 დეკემბერს ძალაში შესული „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონში განხორციელებული უახლესი ცვლილებები პრაქტიკულად გამორიცხავს „უცხოელ აგენტებს“ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ასპექტებიდან. „რუსეთის უცხოელი აგენტების შესახებ კანონის“ საფუძველზე, ამ პირებს არ აქვთ უფლება

174 ინიციატ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ურთიერთი მოხაზულება სწორი რეპარაციის კანონმდებლის შესახებ არ კომეტირდით მრავალზარის მუშაობის სამართლის მუშაობის სამართლის და საჯარომბის შესახებ. 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 47. აგრეთვე ვენეციის კომისია, ანგარიში ასაკისავით და ფინანსურის შესახებ CDL-AD(2019)002, პუნქტი 59. გარეთ, მაგალითად ვენეციის კომისია, უნგრეთი - მოხაზულება კანონმდებლის შესახებ საზღვარგართოდან მხარდაჭერის მიმღები მოხაზულება მომდევნობის კამათის შესახებ. CDL-AD(2017)015, პუნქტი 65.

175 ეს დაცვითი მონაბირის უფლება, CDL-CDL-AD1/2021/027, ა. ა. 38.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინა ნ სეგულ ა სოცია ციების გამჭვირვა ლობისა და რეგულირების შესახებ საკა ნონმდებლო ინიცია ტივების ა ნ ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ კა ნონების“ და მსგავსი კა ნონმდებლო ის შესახებ და მა თ შესაბა მისობა ა და მია ნის უფლება თ საერთო შორის თ სტა ნ და რეგებთა ნ.

შეუერთდნენ საჯარო სამსახურს, მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კომისიებში, მონაწილეობა მიიღონ საკონსულტაციო ან საექსპერტო გარემოზე ზემოქმედების ოფიციალურ ან საჯარო შეფასებებში, წარმოადგინონ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ექსპერტიზა კანონპროექტებზე ან კანონქვემდებარე აქტებზე, მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში ან თუნდაც შემოწირულობები გაუწიონ პოლიტიკური პარტიების მსგავს კამპანიებს.¹⁷⁶

90. საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლება დაცულია ICCPR-ის 25-ე მუხლით. საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლება, ხმის მიცემის უფლება და საჯარო სამსახურზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება, მაგრამ ასევე მონაწილეობა პოლიტიკისა და კანონების შემუშავებაში, წარმოადგენს ხალხის თანხმობის საფუძველზე დაფუძნებული დემოკრატიული ხელისუფლების ბირთვს. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ასევე წაახალისა სამთავრობო და კვაზი-სამთავრობო მექანიზმები ყველა დონეზე, რათა დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტური მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის მიზნებსა და გადაწყვეტილებებზე გამართულ დიალოგსა და კონსულტაციებში.¹⁷⁷ არასამთავრობო ორგანიზაციებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ აწარმოონ კვლევები, განათლება და აღვოკატირება საჯარო დებატების საკითხებზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მათი პოზიცია მთავრობის პოლიტიკასთან შესაბამისობაში ან მოითხოვს კანონის ცვლილებას.¹⁷⁸ გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები თავისუფალი უნდა იყვნენ კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის არჩევნებში ან რეფერენდუმში მხარდაჭერის საკითხში იმ პირობით, რომ ისინი გამჭვირვალედ გამოხატავენ თავიანთ მოტივაციას. ნებისმიერი ასეთი მხარდაჭერა ასევე უნდა დაექვემდებაროს კანონმდებლობას არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ.¹⁷⁹

91. ზემოაღნიშნული შეზღუდვები ან აკრძალვები, როგორც წესი, ზედმეტად ფართო და ბუნდოვანია და, როგორც ასეთი, არ შეესაბამება კანონიერებისა და განსაზღვრულობის პრინციპს. პრაქტიკაში, იმდენად ფართოდ არის ფორმულირებული, რომ, როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ ასოციაციებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი სახის პოლიტიკური დისკუსიისა და დებატებისგან. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არასოდეს უნდა იქნას გამოყენებული მთავრობის

176 რუსეთი: ახალ შეზღუდვები "უცხოური აგენტებისთვის". Human Rights Watch. 2022 წლის 1 დეკემბერი.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონების“ და მხედვის კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებათ საერთო შორისონტური საზოგადოებრივი სიტყვისა და აზრისა და განსხვავებული აზრის გამოხატვისას.¹⁸⁰

92. ამ თვალსაზრისით, გაერთიანების თავისუფლების ერთობლივი სახელმძღვანელო ხაზს უსვამს გაერთიანებების გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ როლს. ერთობლივი სახელმძღვანელოს მე-6 პრინციპი კონკრეტულად აღწერს, რომ „ასოციაციებს უნდა ჰქონდეთ გამოხატვისა და აზრის თავისუფლების უფლება თავიანთი მიზნებითა და საქმიანობით. ამას ემატება ასოციაციების წევრების ინდივიდუალური უფლება გამოხატვისა და აზრის თავისუფლებაზე. ასოციაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და საჯარო დებატებში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მათი პოზიცია მთავრობის პოლიტიკასთან შესაბამისობაში თუ მოითხოვენ კანონში ცვლილების შეტანას.“ ასოციაციებს ასევე აქვთ გამოხატვისა და აზრის თავისუფლების უფლება თავიანთი მიზნებითა და საქმიანობით. აზრთა დაცვა და მათი გამოხატვის თავისუფლება არის მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთი მიზანი, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლში.¹⁸¹ შესაბამისად, ასოციაციები თავისუფლად უნდა შეძლონ ადვოკატირება საჯარო დებატების ნებისმიერ საკითხზე და ხელი შეუწყონ პოლიტიკის ცვლილებებს, მათ შორის კანონებში ან საკონსტიტუციო წესრიგში შეტანილ ცვლილებებს ან სხვა საჭირობო საკითხებს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი იყენებენ მშვიდობიან მეთოდებს.¹⁸²
93. გარდა ამისა, კონკრეტულად „პოლიტიკური მოქმედებების“ ან „პოლიტიკური აქტივობების“ განხორციელების აკრძალვასთან დაკავშირებით, როგორც ეს აღწერილია სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტში, ხელმეორედ უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში უკრიერი ბულგარეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დასკვნა, რომ ტერმინი „პოლიტიკური“ არსებითად ბუნდოვანია და შეიძლება დაექვემდებაროს მრავალფეროვან ინტერპრეტაციას.¹⁸³ ასოციაციების დაფინანსების ანგარიშში ვენეციის კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ ტერმინი „პოლიტიკური აქტივობების“ განსაზღვრის თანდაყოლილი სირთულე წარმოადგენს იმას, რომ „ხელისუფლებას შეუძლია ნებისმიერი ქმედება, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია დემოკრატიული საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებასთან, გამოაცხადოს „პოლიტიკურ“ აქტივობად.“¹⁸⁴ როგორც წინა ერთობლივ მოსაზრებებში აღინიშნა, ეს ასევე შეუსაბამოა „ნებისმიერი მოქალაქის ფუნდამენტურ პოლიტიკურ უფლებასთან, პირდაპირი გავლენა

180 გაერთს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია 12/16, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, A/HRC/RES/12/16, 2009 წლის 12 ოქტომბერი.

181 იხილეთ ადამიანის უფლებათა უკრიერი ბულგარეთის სასამართლო, გორჩელკის და ხელისუფლების წინააღმდეგ, No. 44158/98, 2004 წლის 17 თებერვალი, პუნქტები 91-93.

182 ODIHR და ვენეციის კომისია, ურობრივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტები 89 და 182.

183 ადამიანის უფლებათა უკრიერი ბულგარეთის გეჩევის ბულგარეთის წინააღმდეგ, No. 57045/00, 2007 წლის 21 ივნისი, პუნქტი 55.

184 ვენეციის კომისია, ანგარიში ასოციაციების დაფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, პარ. 96-100.

მოსაზრება ხა ზღვარგარეთთან და ფინანსული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონების“ და მხევაცნიკანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადგინიანი უფლებას საერთო შორისო სტანდარტებთან.

მოახდინოს და შეცვალოს პოლიტიკა ან სახელმწიფო პოლიტიკა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის საკმარისი საფუძვლების გარეშე.¹⁸⁵ სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის ერთობლივ დასკვნაში ასევე ხაზგასმულია, რომ „პოლიტიკური აქტივობების“ და „პოლიტიკური ქმედებების“ განმარტება მოიცავს მალიან ფართო ტერმინებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს უბრალოდ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას არსებული ან სამომავლო შესაძლო საკანონმდებლო კანონმდებლობის შესახებ, პოლიტიკის შესახებ ან თუნდაც „საზოგადოებრივი ინტერესის“ საკითხების შესახებ, რითაც დე ფაქტო გამორიცხავს არასამთავრობო ორგანიზაციებს არა მხოლოდ პოლიტიკის ან კანონმეოქმედებითი პროცესებიდან და საჯარო კონსულტაციებიდან, არამედ ნებისმიერი საჯარო განხილვისაგან.¹⁸⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონკრეტულად ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სამოქალაქო საზოგადოებას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საზოგადოებრივ საქმეთა განხილვაში“, აღნიშნავს მის სასიცოცხლო როლს, როგორც „საზოგადოების დამკვირვებელს (watchdog)“ და რომ „დემოკრატიული პროცესი არის მიმდინარე პროცესი, რომელსაც მუდმივად სჭირდება თავისუფალი და პლურალისტური საზოგადოების მხარდაჭერა და სამოქალაქო საზოგადოების მრავალი მოქმედი პირის მიერ საქმიანობა, მათ შორის ცალკეული აქტივისტების და არასამთავრობო ორგანიზაციების“.¹⁸⁷ ერთობლივმა მოსაზრებამ დაასკვნა, რომ სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის მე-3(2) მუხლით ნაგულისხმევი პოლიტიკისა და კანონის შემუშავებაში მონაწილეობის აკრძალვა ზედმეტად ზღუდავს ასეთი ორგანიზაციების უფლებას მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმეებში, რაც ასევე ზედმეტად წევატიურად იმოქმედებს გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის გავრცელების უფლებაზე, რომელიც დაცულია ICCPR-ის მე-19 მუხლით და ECHR-ის მე-10 მუხლით.¹⁸⁸

94. და ბოლოს, „უცხოელი აგენტის“ პირების აკრძალვა სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურის მომსახურეობების მიღებაზე, რაც გათვალისწინებულია „რუსეთის უცხოელი აგენტების შესახებ კანონით“, არღვევს ყოველი მოქალაქის უფლებას მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმეებში, რაც დაცულია ICCPR-ის 25-ე მუხლით.¹⁸⁹

185 ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი შეაღებული აზრი ყირგიზთას რესპუბლიკის არაკომეტრიული ორგანიზაციებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესახებ, CDL-AD(2013)030, პარტი 62.

186 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომეტრიული ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეგულირებისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 40.

187 იხილეთ მაგ., ECHR, Ecodefence და სხვათის რუსეთის წინააღმდეგ, No. 9988/13 და 60სხვა, 2022 წლის 14 ივნისი, პარტი 124 და 139.

188 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომეტრიული ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეგულირებისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 40.

189 ვენეციის კომისია, რუსეთის უფლებაცია - მოსაზრება ადგინიანი უფლებას საერთო შორისობის შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთს სახელმწიფოს სამიირობის 2020 წლის 10-დან 5 წლით განვითარის ჩათვლით რათ შეცვალონ კანონები. რომელიც ეხება „უცხოურ აგენტებს“. CDL-AD(2021)027, პარაგრაფი 80. გაერთს ადგინიან უფლებას კომიტეტი, ზოგად

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თა და ნ და ფინანსებული ა სოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოულიანების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა საერთო შორისონტა ნ და რტებით.

5.5. რეპორტინგის და გამუდავნების დამატებითი მოთხოვნები

95. ანგარიშგების და/ან საჯარო გამუდავნების ვალდებულებების აუცილებლობასა და პროპორციულობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ორგანოებისთვის ან/და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა მიღებული თანხების და მათი ხარჯვის შესახებ შეიძლება იყოს ლეგიტიმური მოთხოვნა, თუ ასოციაციებისთვის გამოყოფილია საჯარო დაფინანსება.¹⁹⁰ ზოგიერთი „საჯარო გამუდავნების ვალდებულება“ შეიძლება დაკისროს ასოციაციებს იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თუ როგორ იხარჯება შესაბამისი ასოციაციის მიერ მიღებული საჯარო სახსრები, მაგრამ არ უნდა გავრცელდეს ყველა დაფინანსებაზე, მათ შორის კერძო დონორებისგან.¹⁹¹ თუმცა, ნებისმიერმა ასეთი ანგარიშგების მოთხოვნამ არ უნდა დააკისროს ზედმეტად რთული და ძვირადღირებული მოთხოვნა ასოციაციებს და სულ მცირე, პროპორციული უნდა იყოს მიღებული საჯარო მხარდაჭერის დონესთან.¹⁹²
96. ზოგადად, გაერთიანების თავისუფლების შესახებ ერთობლივი სახელმძღვანელო ადგენს, რომ ანგარიშგების მოთხოვნები, იქ სადაც ასეთი მოთხოვნები არსებობს, უნდა შეესაბამებოდეს ასოციაციის ზომას და მისი მოქმედების სფეროს და შეძლებისდაგვარად გაადვილდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების მეშვეობით.¹⁹³ ასოციაციებს არ უნდა მოეთხოვოთ მეტი ანგარიშის და ინფორმაციის წარდგენა, ვიდრე სხვა იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ, როგორიცაა ბიზნესი. უფრო მეტიც, რეპორტინგის ვალდებულება არ უნდა მოიცავდეს ერთი და იგივე ინფორმაციის რამდენიმე სახელმწიფო ორგანოსათვის წარდგენას; ანგარიშგების გასაადვილებლად, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შეეცადონ, საჭიროების შემთხვევაში, გაუზიარონ ანგარიშები სახელმწიფოს სხვა დეპარტამენტებს.¹⁹⁴
97. ეს მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული ზემოხსენებულ „უცხოელი აგენტების შესახებ კანონებში“, რომლებიც მოიცავს უფრო ხშირ და დეტალურ მოთხოვნებს ანგარიშგების შესახებ, როგორიცაა კვარტალური ან ნახევარწლიური ანგარიშგება განხორციელებული და განზრახული აქტივობების შესახებ, ისევე როგორც ასოციაციასთან ნებისმიერი

კომენტარი №25: საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლება. ხმის მიცემის უფლება და თანამდებობის შესახებ კანონებში, რომლებიც მოიცავს უფრო ხშირ და დეტალურ მოთხოვნებს ანგარიშგების შესახებ, როგორიცაა კვარტალური ან ნახევარწლიური ანგარიშგება განხორციელებული და განზრახული აქტივობების შესახებ, ისევე როგორც ასოციაციასთან ნებისმიერი

190 იხილეთ მაგ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 უკრობაში არასამთაკრობო მრგვანიშავიების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. მიღებული 2007 წლის 10 ოქტომბერს, პუნქტი 64, რომელიც ითვალისწინებს, რომ არასამთაკრობო მრგვანიშავიების მინიჭებული აქვთ რაიმე საბის საჯარო მხარდაჭერა. შეიძლება მოეთხოვოთ თავიანთი ანგარიშების აუდიტი შესაბამისი დაწესებულების ან მათი მენეჯმენტისგან და მოუკიდებელი პირების მიერ. იხილეთ მაგ. ევროპის კომისია, ანგარიშიანობისა და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, პუნქტი 108.

191 იქვე. ერთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 214.

192 იქვე. ერთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 225.

193 იქვე. ერთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 227.

194 იქვე. ერთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 227.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბა მისობა ა და მიანის უფლება თა საერთო შორისო სტანდარტისა და რეგულარიზაციის შესახებ საჯარო გამუდავნება,¹⁹⁵ სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას, მათ შორის იმ ორგანოების რაოდენობას, რომლებსაც ასეთი ანგარიშები უნდა წარედგინოს.

98. აღნიშნულ კონტექსტში, გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები. პირველი, და როგორც ზემოთ მე-3 ქვეთავში იყო აღწერილი, ისეთი საკითხებიც კი, როგორიცა ქვეყნის ეროვნული ინტერესები და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, არ ამართლებს ყველა ასოციაციისთვის ანგარიშების ახალი მოთხოვნების დაწესებას საზოგადოების და/ან კონსტიტუციური წესრიგის ან რაიმე სახის საფრთხის გარეშე ან კონკრეტული მითითების გარეშე ინდივიდუალური უკანონო საქმიანობის შესახებ.¹⁹⁶ ამრიგად, ამგვარი შეზღუდვების „აუცილებელი სოციალური საჭიროება“ გულისხმობს სახელმწიფოს ან დემოკრატიული საზოგადოებისთვის საკმარისად გარდაუვალი საფრთხის „სარწმუნო მტკიცებულებას“.¹⁹⁷ სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ რისკის წინასწარი შეფასება, რათა განისაზღვროს სამოქალაქო სექტორის მხრიდან სახელმწიფოს ან დემოკრატიული საზოგადოებისთვის შექმნილი რაიმე კონკრეტული საფრთხე, რომ გაერთიანების თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული.
99. მეორე, საჭიროა ახსნა-განმარტება, რომელიც დაასაბუთებს, თუ რატომ არის ანგარიშების, მათ შორის ფინანსური და ფისკალური, არსებული ვალდებულებები არასაკმარისი უცხოეთიდან დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რაც, როგორც წესი, არ არის გათვალისწინებული განსახილველი საკანონმდებლო ინიციატივების ახსნა-განმარტებებში.¹⁹⁸ შემოთავაზებული ახალი ანგარიშების მოთხოვნების პროპორციულობის შესაფასებლად, ასევე მნიშვნელოვანია, შევხედოთ დამატებითი ანგარიშების ვალდებულებების გადაფარვას სხვა უკვე არსებულ საანგარიშებო ვალდებულებებთან ერთად (იქნება ეს ფისკალური ხასიათისა თუ სხვა სახის).¹⁹⁹ მაგალითად, უკრაინის შემთხვევაში, ODIHR და ვენეციის კომისიამ მიიჩნიეს შემოთავაზებული ახალი ანგარიშების ვალდებულებების შემოღება

195 იხილეთ მაგ., ვენეციის კომისია, რესერტის ფედერაცია - მოსაზრება ა და მიანის უფლება თა საერთაშორისო სტანდარტების შესახებ კანონმდრექტების სერიის შესახებ, რომელიც წარდგენილა რესერტის სახელმწიფო სა თა თბილობი 2020 წლის 10-დან 23 ნოემბრის ჩათვლით რათა შევვალონ კანონები. რომელიც ეხება „უცხოურ აგენტებს“, CDL AD(2021)027, მე-2 და მე-3 თა ვეზი.

196 იხილეთ FATE-ის რეკომენდაციები, რეკომენდაცია 8 - შესწორებული, სა და ც აღნიშნულია: ქვეყნებმა უნდა მიიღო მოისახოვანი როისენტრიული და პროპორციული ზომები. რისკზე დაუდნელებული უნდა გამოიყენოს შესაბამისად.

197 იხილეთ მაგ., და მიანის უფლება თა ევროპული სასამართლო, Sindicatul „Păstorul cel Bun“ v. Romania, განაცხადი No. 2330/09, 2012 წლის 31 იანვარი, პუნქტ 69. გარდა ამისა, საქმეში Animal Defenders International გაერთოა ნებულო სამეცნიერო წინააღმდეგ. (განაცხადი No. 48876/08, პუნქტი 108), სასამართლო მიიჩნია, რომ „ზოგადი ღონისძიების პროცესიულობის დახმა და სასამართლო პირველ რიგში უნდა შევაფასოს მის სა ფუნდველობის არსებულ საკანონმდებლო არჩევანი. ღონისძიების აუცილებლობის საპარლიმენტო მისამართში და სასამართლო განხილვის ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კუთხით მათ შორის შესაბამისი შეფასების ზღვარის ფუნქციონირების თვითი.

198 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ეროვნული მოსაზრება სერმო რესპუბლიკის კანონმდრექტების შესახებ არაერთგვიული რეგისტრაციების მუშაობის სპეციალური დაუსტრისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 40.

199 იხილეთ მაგ., ვენეციის კომისია, ანგარიშისას მისობა ა და მიანის უფლება შესახებ, CDL-AD(2019)002, პუნქტი 111.

მოსაზრებასა თლვარგარეთადან და ფინანსურული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიაგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებას საკართველოს სტატუსზე მართვის სტატუსზე მართვის სტატუსზე.

არასაჭიროდ, რადგან „ისინი ახდენენ უკვე არსებულ მოთხოვნებს და ამატებენ ანგარიშგების დამატებით, ზედმეტ ვენას, რომელიც იქნება უკიდურესად მძიმე, განსაკუთრებით მცირე ასოციაციებისთვის, ასევე ისინი სცდებოდნენ „მიმდინარე ვალდებულებებს, ამის კონკრეტული ობიექტური საჭიროების გარეშე“.²⁰⁰

100. მესამე, ანგარიშგების მეთოდები უნდა შეფასდეს, რომ დადგინდეს, წარმოადგენენ თუ არა ისინი არასათანადო და ძვირადღირებულ ტვირთს ასოციაციებისთვის, ასევე ასოციაციების ზომა უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. ამასთან დაკავშირებით, ODIHR და ვენეციის კომისიამ მიიჩინეს, რომ როდესაც ანგარიშგების ვალდებულებები მოითხოვს ინფორმაციას თითოეული დონორისა და გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ყოველგვარი მინიმალური ზღვრის გარეშე, ეს ფაქტიურად ნიშნავს, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან წარადგინონ ყველა მიღებული დაფინანსება, მიუხედავად თანხის ოდენობისა, თუნდაც უმნიშვნელო თანხების შემთხვევაში, რაც მნიშვნელოვან ტვირთად დააწვება დაინტერესებულ ორგანიზაციებს.²⁰¹ კერძოდ, რუმინეთის შემთხვევაში, აღინიშნა, რომ მცირე ორგანიზაციების შემთხვევაში, შემოთავაზებული ანგარიშგების ვალდებულებები, რომლებიც მოითხოვს ყველა დონორის მითითებას, სერიოზულად იმოქმედებს მათი ფუნქციონირების შესაძლებლებებზე და საქმიანობის განხორციელებაზე, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ოფიციალურ გაზეთში საჭირო პუბლიკაცია საკმაოდ ძვირია, 122 ლეი (დაახლოებით 20 ევრო) თითო გვერდზე, რაც ნიშნავს, რომ რაც უფრო დიდია (მცირე) დონორების რაოდენობა, მით უფრო ძვირი დაჯდება ასეთი გამოცემა, თუმცა კანონმდებლებმა განაცხადეს, რომ ისინი გაათავისუფლებდნენ მცირე შემოწირულობებს აღნიშნული ვალდებულებისაგან.²⁰² ზოგადად, საჭირო დეტალების დონე და ინფორმაციის წარდგენის არარეალურად მოკლე და მკაცრი ვადების არსებობა არის ანგარიშგების რთული ვალდებულებების მაგალითები.²⁰³
101. მეოთხე, ანგარიშგების ყველა ვალდებულება ერთდროულად უნდა უზრუნველყოფდეს წევრების, დამფუძნებლების, დონორების, ბენეფიციართა

200 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, CDL-AD(2018)006-ე, უკაინა - ერთობლივი აზრი კანონპროექტზე No. 6674 ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ვალიურების შეტანის შესახებ სა ზოგადოებრივი გაერთიანებების გინანცხადური საქმიანობისა და საერთო მორის ტექნიკური და ხმარების გამოყენების შესახებ ინფორმაციის საჯარო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კანონპროექტის შესახებ No. 6675 უკაინის საგად სახად კოდექსში ვალიურების შეტანის შესახებ საჯარო ასოციაციების დონანებისა და საერთო მორის ტექნიკური და ხმარების გამოყენების შესახებ საჯარო ასოციაციების დონანებისა და საერთო მორის ტექნიკური და ხმარების გამოყენების შესახებ საჯარო ასოციაციების დონანების შეტანის უზრუნველყოფა დაუსწერ 38.

201 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი მოხაზულება სერმონიკაზე კანონპროექტის შესახებ არაკომერციული ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეგულირებას და საჯარომის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 57, და რემინჯომა - ერთობლივი მოხაზულება კანონპროექტზე No. 140/2017 სამთავრობო და ფენიციურებაში ვალიურების შეტანის შესახებ No. 26/2000 ასოციაციებისა და ფონდების შესახებ, CDL-AD(2018)004, პარ. 68-73.

202 იქვე, რემინჯომა - ერთობლივი მოხაზულება კანონპროექტზე No. 140/2017 სამთავრობო და ფენიციურება No. 26/2000 ასოციაციებისა და ფონდების შეტანის შესახებ, CDL-AD(2018)004, პარ. 68-73.

203 იხილეთ მაგ., ვენეციის კომისია, ანგარიშის კომისია დონანების და ფონდების შესახებ, CDL-AD(2019)002, პუნქტი 110.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოულიანებულების შესახებ კანონების“ და მხევაცხის კანონმდებლობის შესახებ და მიანის უფლება თა საერთო შორისო სტანდარტის შესახებ და რეგულირების შესახებ.

და პერსონალის უფლებების პატივისცემას, მათ შორის, პირად ცხოვრების პატივისცემის უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია ICCPR-ის მე-17 მუხლით და ECHR-ის მე-8 მუხლით, ასევე ასოციაციის უფლება დაიცვას ლეგიტიმური საქმიანობის კონფიდენციალობა.²⁰⁴ ზემოხსენებულ კანონებს გააჩნიათ კონფიდენციალურობის უფლებაში ზედმეტად ჩარევის პოტენციალი მათი ვრცელი მოხსენების და/ან საჯარო გამედავნების მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ზოგჯერ ავალდებულებს ასოციაციებს, რომლებიც მიჩნეულნი არიან „უცხოურ აგენტებად“, გაამედავნონ დამატებითი ინფორმაცია საკუთარ თავზე და თავიანთ წევრებზე, დონორებზე, ბენეფიციარებზე ან/და მხარდამჭერებზე საჯაროდ. მაგალითად, უნგრეთში, გაუქმებული კანონის თანახმად, დაზარალებული სამოქალაქო ორგანიზაციები ვალდებული იყვნენ გამოეცხადებინათ და გაესაჯაროებინათ იმ პირთა სახელი, წარმომავლობა და საცხოვრებელი ქალაქი, რომლებიც მათ ფინანსურ მხარდაჭერას აძლევდნენ გარკვეული ფინანსური ზღვრის შემდეგ, ასევე ინფორმაცია მიღებული თანხის შესახებ. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ასეთი მონაცემები მიეკუთვნება ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-7 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების დაცვის სფეროს.“²⁰⁵ საქართველოს კანონპროექტი უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ 3.3 მუხლში ასევე შეიცავს დებულებებს გასამედავნებელი ინფორმაციის ძალიან დეტალურ ინფორმაციას, სახელების, საქმიანობის და დეტალური ინფორმაციის შესახებ მიღებული თანხების ხარჯვის შესახებ.

102. გაერთიანების თავისუფლების შესახებ ერთობლივი სახელმძღვანელოს თანახმად, „კონფიდენციალურობის უფლება ვრცელდება ასოციაციაზე“ (პარაგრაფი 228) და „კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს გარანტიებს ასოციაციების კლიენტების, წევრებისა და დამფუძნებლების კონფიდენციალურობის უფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, ასევე უზრუნველყოს ამ კუთხით ნებისმიერი დარღვევის გამოხსინება“ (პარ. 231). გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ „საჯარო

204 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, კრიმინალური სახულმძღვანელო უფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტები 228 და 231. აგრეთვე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, მიღებული 2007 წლის 10 ოქტომბერს, პუნქტი 64, სადაც აღნიშნულია „ყოველ მოხსენება უნდა ეჭვადებულება რემიდება და დონორობა და კერძო მოხსენების შეფლებების ვალიგისტრირების ვალუტულებას“. აგრეთვე ევროპაში ფუნქციური მომინიჭები არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსის შესახებ ევროპაში და განმარტებით მემორანულობის, პუნქტი 67, რომელც ითვალისწინებს: „[...] ანგარიშების მოთხოვნები უნდა შემცირდეს სხვა ვალუტულებებით რომლებიც დაკავშირდებულია კონფიდენციალურობისა და კონფიდენციალურობის მატივისცემით კერძოდ და ცელი უნდა იყოს დონორის სურვილი და რჩეს ანონიმური. თუმცა, კონფიდენციალურობისა და კონფიდენციალურობის მატივისცემა არ არის შეუზღუდული. გამონაკლის შემთხვევებში, საერთო ინტერესმა შეიძლება გაამართოს, რომ ხელის უფლებას ჰქონდეს წვდომა პირადან კონფიდენციალურ ინფორმაციაზე. მაგალითად, მათ შესახებ და ზოგი ბაზობის მიღებული უფლებას უზრუნველყოს გამოხსინება“ და კონფიდენციალური მომინიჭების შესახებ მიღებული თანხების ხარჯვის შესახებ.

205 CJEU, კომისია უნგრეთის წინააღმდეგ საქმე C-78/18, 2020 წლის 18 ივნისი, პარ. 128.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებული ა სოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ა ნ ე.წ. „უცხოულია გენტების შესახებ კანონების“ და მხედარების კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლებათ საერთო შორისო სტანდარტების მიზანისათვის.

გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება მოიცავდეს კონფიდენციალურ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სენსიტიურ ინფორმაციას, რომელიც ზედმეტად ზღუდავს კონფიდენციალურობის ფუნდამენტურ უფლებებს, კონფიდენციალურობის შესახებ მოქმედი კანონების დარღვევით და შეიძლება გამოავლინოს პირები ანგარიშსწორების სერიოზული რისკების წინაშე.²⁰⁶ შესაბამისად, მოხსენების ვალდებულება უნდა შემცირდეს სხვა ვალდებულებებით, რომლებიც დაკავშირებულია ბენეფიციარების უსაფრთხოებისა და მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის და კონფიდენციალურობის უფლებასთან; ნებისმიერი ჩარევისას პირად ცხოვრებასა და კონფიდენციალობის უფლებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპები.²⁰⁷ გარკვეულ პირობებში, საზოგადოებრივი გაერთიანებების გარკვეული თანამშრომლების გვარების გამჟღავნებამ²⁰⁸ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათ უსაფრთხოებას (მაგალითად, მათ, ვინც მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კორუფცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა ან გენდერული, სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია, ორიენტაცია და გენდერული იდენტობა) და შესაძლოა წარმოადგენდეს მათი შევიწროების რისკს.²⁰⁹ კონკრეტულად დონორებს რაც შეეხება, ზოგიერთ შემთხვევაში, ასოციაციების დონორებისა და კონტრაქტორების ვინაობის გამჟღავნებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს დონორთა მზადყოფნაზე გააგრძელონ მხარდაჭერა და თანამშრომლობა ამ ასოციაციებისთვის, თუ ისინი საჯაროდ იქნება გამოვლენილი.²¹⁰

103. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, მოიცავს თუ არა ანგარიშგების და/ან გამჟღავნების ვალდებულებები ლეგიტიმურ მიზანს, არ არსებობს აშკარა „გადაუდებელი საჭიროება“ საზოგადოებისთვის, მოიპოვოს დეტალური ინფორმაცია უცხოურიდან დაფინანსების მიმღები ყველა ასოციაციის კერძო დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებით, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ლეგიტიმური წყაროებისა. გარდა ამისა, პრინციპში, გათვალისწინებული უნდა იყოს დონორის სურვილი დარჩეს ანონიმურად.²¹¹ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა ლეგიტიმური იყოს ასოციაციების მოთხოვნა, რომ გაამჟღავნონ მთავარი სპონსორების ვინაობა, ყველა

206 იხილუ თ გაეროს სპეციალური მომსახურებელ მშვიდობა ნი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე, წერტილ OL.RUS.16/2022, 2022 წლის 30 ნოემბრით, მიმდინარე რესუს თან ფე დე რა ციისა დღი 2012 წლის 20 ივნისის ფე დე რა ლურ კანონთან №121-EZ-მ დამტკიცირდა და დაუმტკიცირდა ნორმული და უკავშირობით ა.3.-3.

207 ගාන්තා රුපු ඩිටා මේම මෙහෙයුම් සඳහා ප්‍රතිච්‍රියා කළ යුතු නොවූ ඇති තුළ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ නොවූ

208 მაგანითა დიეტის საცაროლ დოკუმენტების მენეჯერი. ვ. ქ. ე. წ. 116.
მაგანითა დ. ვანონ როებერი ყირიბიზეთის რესპუბლიკის არსა მთვ რობორგანიზაციების შესახებ (2022 წლის ნოემბერი) მოითხოვდა. იმ თანამშრომლების სიის გამოტკიცებას, რომელთა ჩემ მაღლ ხელ ხელუა სიაჲ ვთ.

211 12 ଜୁଲାଇ ୧୯୦୨ ରେ, ପ୍ରକାଶ ହେଲା ।

სპონსორის ვინაობისა და საცხოვრებელი ადგილის გამუღავნება, მათ შორის არასრულწლოვანთა, გადაჭარბებული და არასაჭიროა. ასეთი სამართლებრივი დებულებები არა მხოლოდ იჭრება დონორთა პირად კონფიდენციალურ სივრცეში, რომელიც დაცულია ICCPR-ის მე-17 და ECHR-ის მე-8 მუხლით,²¹² არამედ არ შეესაბამება პერსონალური მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.²¹³

104. ზოგადად, ყოვლისმომცველი მოხსენებისა და გამუღავნების მოთხოვნებაშე შეიძლება ხელი შეუშალოს როგორც წევრების, დამფუძნებლების, დონორების, ბენეფიციართა და პერსონალის კონფიდენციალურობის უფლებას, ასევე ასოციაციას კონფიდენციალურობის უფლებას, და ზოგადად, ზემოაღნიშნულიპირების გაერთიანების თავისუფლებას და არ შეიძლება იყოს გამართლებული, როგორც „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შეიძლება შეიქმნას გაცილებით ნაკლებად ყოვლისმომცველი ანგარიშების ან გამუღავნების წესები, მაგალითად, რომელიც მოითხოვს მხოლოდ ანონიმური მონაცემების ან ჯამური ციფრების გამოქვეყნებას.²¹⁴

105. მეხუთე, ანგარიშების ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის სანქციების ბუნება და სიმძიმე ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „გარკვეული სამართლებრივი მოთხოვნების ან არასამთავრობო ორგანიზაციების შედამცემის მოთხოვნების უბრალო შეუსრულებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ სერიოზულ გადაცდომად, რომ გამართლებული იყოს ორგანიზაციის პირდაპირ დაშლა“.²¹⁵ როგორც გაერთიანების თავისუფლების ერთობლივ სახელმძღვანელოშია ხაზგასმული, „მოხსენების, სახელმწიფოს კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასოციაციებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო, რათა გამოასწორონ ნებისმიერი გადაცდომა ან დარღვევა“.²¹⁶ „რუსეთის უცხოელი აგენტების კანონი“ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმებსა და სისხლის სამართლის სანქციებს მოხსენებისა და საჯარო გამუღავნების მოთხოვნების დარღვევისთვის, რომელთა გაუქმებას გაუწია რეკომენდაცია

213 የጊዜና የሚገኘውን ስራውን በመሆኑ የሚያስፈልግ ይችላል፡፡ ይህንን የሚከተሉት ደንብ በመሆኑ የሚያስፈልግ ይችላል፡፡

214 ინიციატივაზე ODIHR-ის მიერ უფლებელი მოსაზრება არა მომერდილი არასამთვრობო ორგანიზაციის მესახებ კანონმდებლობის მესახებ და ცვლილებების პროცესში ყორადღიარებულ წარმომადგენლობის მესახებ” (2022 წლის 12 დეკემბერი), 3-უნდა 67.

მოსაზრება სა ზღვარგარეთიდან ნ და ფინანსური ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოულიაგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთო შორისო სტანდარტის ნ და რეგულირების ნ.

ვენეციის კომისიამ, როგორც არაპროპორციული სანქციებისა (იხ. ასევე პუნქტი 5.7).²¹⁷

5.6. სპეციალური ზედამხედველობა და ინსპექტირება

106. ზემოხსენებული „უცხოული აგენტების შესახებ კანონები“ ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივები ზოგადად ითვალისწინებს ზედამხედველობისა და/ან ზედამხედველობის განსხვავებულ მექანიზმს, მაგალითად, რეგულარული ყოველწლიური ინსპექტირების, ასევე დაუგეგმავი ინსპექტირების სახით (იხ. მაგალითად, რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონი ან სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტი),²¹⁸ გარდა იმ ზედამხედველობისა, რომელიც ყველა ასოციაციაზე ვრცელდება.
107. როგორც ODIHR-მა და ვენეციის კომისიამ წინა ერთობლივ მოსაზრებებში ხაზგასმით აღნიშნეს, „სახელმწიფოებს უფლება აქვთ შეამოწმონ ასოციაციის მიზანი და საქმიანობა რამდენად შესაბამება კანონმდებლობაში დადგენილ წესებს“, მაგრამ მათ ეს უნდა გააკეთონ ევროპული კონვენციით და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებითგათვალისწინებული მათი ვალიდებულებების შესაბამისად“, რაც იმას ნიშნავს, რომ „სახელმწიფო ორგანოებს უნდა შეეძლოთ განახორციელონ გარკვეული სახის შეზღუდული კონტროლი არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაზე, რათა უზრუნველყონ შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობა სამოქალაქო საზოგადოების სექტორში, მაგრამ ასეთი კონტროლი არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი, ზედმეტად ჩამრევი ან ლუგიტიმური საქმიანობის ხელისშემძლელი.²¹⁹ როგორც გაერთიანების თავისუფლების ერთობლივ სახელმძღვანელოშია რეკომენდირებული, „კანონმდებლობაშ უნდა განსაზღვროს ზედამხედველობის ორგანოების დანიშვნის პროცედურა, ასევე ასოციაციების შემოწმების საფუძველი, ინსპექტირების ხანგრძლივობა და დოკუმენტები, რომლებიც უნდა წარმოადგინონ შემოწმების დროს“.²²⁰ შესაბამისად, ინსპექტირება უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო სამართლებრივ საფუძვლებს, მკაფრად იყოს შეზღუდული და უფლებამოსილი სასამართლოს ბრძანებით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული საჯარო ხელისუფლების მიერ თვითნებული ან დისკრეციული გამოყენების

217 იხილეთ ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ადამიანის უფლებათა საერთო შორისო სტანდარტებთან თავსებადობის შესახებ კანონპროექტების სერიის შესახებ. რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფოსა თათიროში 2020 წლის 10-დან 23 ნოემბრამდე პერიოდში. რათა შევთალონ კანონები. რომელიც ეხება „უცხოულისტების“, CDL-AD(2021)027, პარაგანებით 86-87.

218 იხილეთ ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ადამიანის უფლებათა საერთო შორისო სტანდარტებთან თავსებადობის შესახებ კანონპროექტების სერიის შესახებ. რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფოსა თათიროში 2020 წლის 10-დან 23 ნოემბრამდე პერიოდში. „უცხოულისტების უცხოულისტების კანონის ცვლილებები, CDL-AD(2021)027, პარაგ. 14-15. აგრეთვე იხილეთ სერითა რესპუბლიკის კანონპროექტის მუხლი 12-14 არასამერიკული მომენტის დროის შესაბამის სპეციალური რეესტრისა და საჯარო შესახებ.“

219 იხ. ODIHR და ვენეციის კომისია, უკრაინა - ერთობლივი მოსაზრება კანონპროექტზე №. 6675 „უკრაინის საგადამსახულო კოდექსის შინაგადამსახულობის შეტანის შესახებ საჯარო ასოციაციების და ფინანსებისა და საერთო შორისო ტექნიკური და ხმარების გამოყენების საჯარო გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე“, CDL-AD(2018)006-ე, პუნქტი 40.

220 იხილეთ მაგ. ODIHR და ვენეციის კომისია, „უცხოულისტების სტანდარტების მუხლების შესახებ“, CDL-AD(2014)046, პუნქტი 229.

მოსაზრება ხა ზღვარგარეთდან და ფინანსებზე ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონების“ და მხედვის კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებათ საერთო შორისონ სტანდარტებთან ნაკავშირის შესახებ მთან.

შესაძლებლობა და ბოროტად გამოყენების პოტენციური რისკი და შერჩევითი მიღომა, ასევე, თავიდან იქნას აცილებული რეგულაციების ბოროტად გამოყენება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაშინება ან შევიწროება.²²¹ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ ლეგიტიმური მიზანი, გამოიკვლიონ ასოციაციების ჩანაწერები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი პროცედურა არ იყოს თვითნებური და იცავდეს პირთა უფლებები დისკრიმინაციისა და კონფიდენციალურობის შესახებ, რადგან სხვაგვარად ეს საფრთხეს უქმნის ასოციაციების დამოუკიდებლობას და მათი წევრების უსაფრთხოებას.²²² ვენეციის კომისიამ ასევე აღიარა, რომ „ასოციაციების ზედამხედველობა არ უნდა იყოს იმაზე უფრო მეტად ჩამრევი, ვიდრე წესები, რომელიც კერძო ბიზნესზე ვრცელდება. ისინი ყოველთვის უნდა განხორციელდეს ასოციაციების მიზნებისა და საქმიანობის კანონიერების პრეზუმეციით.“²²³

108. „რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონში“ (ცვლილებებით) გათვალისწინებულ შემოწმებებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიამ დასკვნა, რომ „გაფართოვდა არაკომერციული ორგანიზაციების არაგეგმიური შემოწმების საფუძველი და ინსპექტირების ვადის გახანგრძლივება 45 დღემდე, ინსპექტირების რაოდენობაზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რაც არაპროპორციულია, რადგან მათ არ გააჩნიათ საკმარისი საკვალიფიკი კრიტერიუმები (მაგ., ბრალდებების სანდოობის მოთხოვნა ინსპექტირების დასაწყებად). თვითნებურად ხანგრძლივი და განმეორებითი შემოწმების შედეგად გამოწვეული რისკი ზრდის დაზარალებული არაკომერციული ორგანიზაციების ფუნქციონირების პარალიზების რისკს.“²²⁴
109. „უცხოელი აგენტების“ სხვა კანონები ასევე მოიცავს ზოგიერთ დებულებას მუდმივი მონიტორინგისა და/ან პოტენციური ინსპექტირების შესახებ ნებისმიერ დროს ან ბუნდოვნად განსაზღვრულ გარემოებებში.²²⁵ ამასთან

221 იქვე. ერთობლივი სახელმძღვანელო გათვალისწინების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 230.

222 გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებაზე, 2013 წლის ანგარიში, A/HRC/23/39, პუნქტი 65.

223 იხილეთ ვენეციის კომისიის ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, პუნქტი 13.

224 ვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოსაზრება ადამიანის უფლებათ საერთო მორისონ სტანდარტებთან ნაკავშირების შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფოსა თაორმოში 2020 წლის 10-და 5 ნოემბრის ჩათვლით რა თუ შეცვალონ კანონები, რომლებიც ეხება „უცხოურ აგენტებს“. CDL-AD(2021)027, პარაგრაფი 66.

225 იხილეთ მაგალითი დ. სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის მე-14 მუხლი არასამეწარმეო ორგანიზაციების მუშაობის სპეციალური რეესტრისა და საჯაროობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „საგანგებო გარემოებები, ინსპექტირების კონტროლი არაკომერციული ორგანიზაციების მუშაობის კანონიერებაზე შეიძლება განხორციელდეს მოთხოვნის საფუძველზე. მოქალაქეები, იურიდიული პირები, საჯაროებებისა წვდომი ინფორმაცია. რესპუბლიკის ორგანიზები ან რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის კომიტეტის ტური კომიტეტის მოთხოვნით“. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“საქართველოს კანონპროექტის მე-8 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ „უცხოური გავლენის აგენტის იდენტიფიცირების ან ამ კანონის რომელმე მოთხოვნის შესრულების გადამოწმების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, უფლებამოსილობის ნებისმიერ დროს განხორციელოს საკითხის ექსპერტიზა -მონიტორინგი“.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებულო ა სოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ან ე.წ. „უცხოლიანების ნოტიფიცირების შესახებ კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლებათ საერთო შორის სტანდარტის ნ და რტუბის ნ.

დაკავშირებით, სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის გაანალიზებისას, ODIHR-მა და ვენეციის კომისიამ აღნიშნეს, რომ დამატებითი ინსპექტირების შესაძლებლობა „გამონაკლის გარემოებებში“ ცხადი განმარტების გარეშე, თუ რა შეიძლება შეადგენდეს „განსაკუთრებულ გარემოებებს“ და რამდენად შესაძლებელია ასეთი რიგგარეშე ინსპექტირების მოთხოვნის წარდგენას „პოტენციურად გამოეწვია უფლებამოსილების გარეშე სანქციების გამოყენების და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის განუწყვეტელი შეფერხება“; ერთობლივ დასკვნაში ასევე ხაზგასმულია, რომ ეს „ეწინააღმდეგება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კანონიერების პრეზუმეციას, რომელიც უნდა დაეფუძნოს ასოციაციების მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზას, რათა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო გაერთიანების თავისუფლების უფლების განსახორციელებლად, როგორც ხაზგასმულია გაერთიანების თავისუფლების შესახებ ერთობლივი სახელმძღვანელოს პირველი პრინციპში“.²²⁶ იმისათვის, რომ ღონისძიება იყოს „კანონით განსაზღვრული“, კანონმდებლობამ ასევე მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გარემოებები და კრიტერიუმები, რომლებზედაც შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება ხელისუფლებას მიანიჭოს ზედმეტად ფართო დისკრეცია, ბოროტად გამოყენების ან ბოროტად გამოყენების პოტენციალით.

5.7. სანქციები, შეჩერება და დაშლა

110. იმ სანქციების განსაზღვრულობა, რომლებიც შეიძლება დაწესდეს ეგრეთ წოდებულ „უცხოურ აგენტებზე“ ან სავარაუდო „უცხოურ აგენტებზე“ განსახილველ კანონებთან შეუსაბამობის გამო, არის მთავარი მოთხოვნა, რომ ასეთი კანონმდებლობა განიხილებოდეს გაერთიანების თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. კანონის განსაზღვრულობა როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული „უცხოურ აგენტებზე“ დაწესებული მოთხოვნებისა და შეზღუდვების ინტერპრეტაციის გაურკვევლობაზე. როდესაც განიხილება ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის სანქციები, რომლებიც თავისთავად არაპროპორციული იქნება (იხ. პუნქტი 111 ქვემოთ), ეს ასევე იწვევს შეშფოთებას სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობისა და სისხლის სამართლის სპეციფიკის სტანდარტების შეუსრულებლობის გამო, რაც მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულები და მასთან დაკავშირებული სანქციები მკაფიოდ და ზუსტად განისაზღვროს, რათა პირმა შესაბამისი სისხლის სამართლის დებულების ფორმულირებიდან გაერკვეს, რომელი ქმედებები გამოიწვევს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, დაწესებული სანქციების ბუნება და სიმძიმე ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გასათვალისწინებელია გაერთიანების თავისუფლების უფლების შეზღუდვის

226 იხილეთმა გ. - ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციულ მოვანიზაციების შეუსაბამის სპეციალური რეგულირისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 64.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თადან და ფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის განვითარებისა და კანონების და მხედარის კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ადამიანის უფლებათ საერთო შორისობრივ სტანდარტებთან.

პროპორციულობის შეფასებისას,²²⁷ კანონით გათვალისწინებული სანქციები უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმის პროპორციული და იყოს ყველაზე ნაკლებად ჩამრევი საშუალება სასურველი მიზნის მისაღწევად.²²⁸

111. „უცხოელი აგენტების კანონების“ ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების მოთხოვნების შეუსრულებლობა, როგორც წესი, იწვევს სანქციების დაკისრებას, მათ შორის სისხლის სამართლის სანქციებს. ამრიგად, რუსეთის ფედერაციაში „უცხოელი აგენტების შესახებ კანონთან“ ერთად შემოიღეს ახალი სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც კრძალავს ორგანიზაციის „უცხო აგენტად“ რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების ბოროტად თავიდან აცილებას. სასჯელი მერყეობს ჯარიმიდან 300 000 რუბლიდან თავისუფლების აღკვეთამდე, რომლის ზომა 2020 წელს გაიზარდა 2-დან 5 წლამდე. ადმინისტრაციულ კოდექსში შეიცვალა ჯარიმები სახელმწიფო ორგანოებისთვის არასრული, არასწორი ან დაგვიანებული ინფორმაციის წარდგენისთვის (100 000-დან 300 000-მდე რუბლი, დაახლოებით 1,100-3,300 ევრო) და საქმიანობის წარმართვისთვის უცხოელი აგენტების რეესტრში რეგისტრაციის გარეშე ან პუბლიკაციების როგორც „უცხო აგენტის“ პუბლიკაციად მინიშნების გარეშე (300,000–500,000 რუბლი, დაახლოებით 3,300-დან 5,500 ევრომდე). 2014 წლიდან, კოდექსი იძლევა ჯარიმების შემცირების საშუალებას, როდესაც ამას მოითხოვს დამნაშავის ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ხასიათი და შედეგები, პიროვნების ან ფინანსური მდგომარეობა. გაუქმებულმა უნგრეთის კანონმა შემოიღო სანქციების ეტაპობრივი სისტემა, დაწყებული შეხსენებებიდან, მოთხოვნების შესრულებამდე ასოციაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, როგორც ბოლო საშუალება. ვენეციის კომისია მიესალმა ეტაპობრივ მიდგომას, მაგრამ გამოთქვა სერიოზული შეშფოთება მკაცრი პროცედურებისა და დისკრეციის ნაკლებობის შესახებ, უნდა დაიწყოს თუ არა პროცედურა ასოციაციის წინააღმდეგ ან დისკრეციის ნაკლებობასთან დაკავშირებით, თუ რა სანქციები უნდა შეეფარდოს.²²⁹ უფრო მეტიც, ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სისხლის სამართლის სანქციები, მათ შორის იძულებითი შრომა და თავისუფლების აღკვეთა, არის *ultima ratio* ინსტრუმენტი და ზოგადად თავიდან უნდა იქნას აცილებული ადმინისტრაციული მოთხოვნების დარღვევისთვის. ამიტომ, „უცხოელი აგენტის“ რეგისტრაციის, მოხსენებისა და საჯარო გამუდავნების მოთხოვნების დარღვევა, როგორც წესი, არ უნდა ისჯებოდეს პატიმრობით. ამ ფონზე, ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა არაპროპორციულად ქლერს.²³⁰ მან ასევე

227 იხილუ თმაგ., ECtHR, *Tebieti Mühafize Cemiyeti and Israfilov v. Azerbaijan*, No. 37083/03, 2009 წლის 8 ოქტომბერი, პუნქტი 82. აგრეთვე ვენეციის კომისია, ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, CDL-AD(2019)002, ვარ. 114-115.

228 იხილუ თმაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელო გართმოანების სამისაფლავო შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტი 237. აგრეთვე ვენეციის კომისია, CDL-AD(2019)002, ანგარიში ასოციაციების და ფინანსების შესახებ, პუნქტი 115.

229 ვენეციის კომისია. უნგრეთი - მოხაზულება კანონმდებლობის შესახებ საზღვარგარეთიდან 6 მთხვევად შემოღების მიმღები მოგანიშავის გამჭვირვალობის შესახებ, CDL-AD(2017)015, ვარ. 59-61.

230 იხილუ თვენეციის კომისია, რუსეთის ფედერაცია - მოხაზულება კანონმდებლობის შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფოსა თაოროში 2020 წლის 10-დან 23 შესახებ, რომელიც წარდგენილია რუსეთის სახელმწიფოსა თაოროში 2020 წლის 10-დან 23

მოსაზრება სა ზღვა რგა რეთოდა ნ და ფინანსების ასოციაციების გამჭვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ ხაკანონის დღის ინიციატივის ან ე.წ. „უცხოელიანების უფლება“ კანონის დღის შესახებ და მათ შესაბამისობა ადგინდება საერთო უფლებას.

დაასკვნა, რომ „სასაზღვრო ადმინისტრაციული ჯარიმები „უცხოელი აგენტის“ რეგისტრაციის, მოხსენებისა და საჯარო გამუღავნების მოთხოვნების დარღვევისთვის აღემატება ზოგადად შესაბამის სანქციებს ამ ტიპის დარღვევებისთვის“.²³¹

112. დაწესებული სანქციები ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს პროპორციულობის პრინციპს, ანუ უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად შემზღვდავი (ინვაზიური) საშუალება სასურველი მიზნის მისაღწევად და პროპორციული იყოს სამოქალაქო ორგანიზაციების დარღვევებთან. გასათვალისწინებელია დებულებები, რომლებიც იძლევა სანქციების ეტაპობრივ დაწესებას, პირველ რიგში გაფრთხილებებით, შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობით, თუ ეს შესაძლებელია.²³² ნებისმიერი სანქცია „უცხოელი აგენტების“ ან მსგავსი კანონებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო უნდა დაწესდეს მხოლოდ მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ასოციაციის დაშლა ან აკრძალვა უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, უკიდურესად მძიმე გადაცდომის დროს, როგორც უკიდურესი ზომა.²³³ ისინი უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დარღვევა სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ან გარკვეული ჯგუფების უსაფრთხოებას, ან ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპებს და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მისი რეგისტრაციის და საქმიანობის საწინააღმდეგო იარაღი.²³⁴ დაუშვებელია ასოციაციების აკრძალვა ან დაშლა მცირე დარღვევების ან ისეთი დარღვევების გამო, რომლებიც ადვილად გამოსწორებადია. გარდა ამისა, ასოციაციებს უნდა მიეწოდოთ ადეკვატური გაფრთხილება სავარაუდო დარღვევის შესახებ და მიეცეთ საკმარისი შესაძლებლობა, გამოასწორონ დარღვევები და მცირე გადაცდომები, განსაკუთრებით თუ ისინი ადმინისტრაციული ხასიათისაა.²³⁵ ზოგადად, ახალი სარეგისტრაციო და სხვა ვალდებულებებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობა, რომლებიც შემოღებულ იქნა „უცხოელი აგენტების“ და მსგავსი კანონებით, რომლებიც უფრო ადმინისტრაციულ ან ბიუროკრატიულ ხასიათს ატარებს, არ უნდა მიაღწიოს იმ დონეს, რომელიც გამართლებს ასოციაციის აკრძალვას ან დაშლას. უფრო მეტიც, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ასოციაციების დაჯარიმება მხოლოდ იმ მოტივით, რომ მათი საქმიანობა ეწინააღმდეგება მათ შიდა წესებსა და პროცედურებს (იმ პირობით, რომ ეს საქმიანობა არ არის აკრძალული კანონებით, რომლებიც თავად შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს).²³⁶ გარდა ამისა, ნებისმიერ ქმედებას ან

ნომებრა მდე პერიოდში. რათა შევვალონ კანონები. რომელ მიც ეხება „უცხოელი აგენტების“, CDL-AD(2021)027, ვარ. 87.

231 იქვე 2021 ვენეციის კომისიის მოსაზრება რესუეთის ფედერაციის „უცხოელი აგენტების შესახებ კანონის შესახებ“, პუნქტი 86.

232 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ურთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავის უფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტი 234.

233 იქვე ურთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავის უფლების შესახებ, პუნქტი 234 და 239.

234 ODIHR და ვენეციის კომისია, ურთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავის უფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, პუნქტი 239 და 252.

235 იქვე ურთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავის უფლების შესახებ, პუნქტი 253.

236 იქვე ურთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავის უფლების შესახებ, პუნქტი 178.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თადან და ფინანსებულო ა სოციაციების გა მჯვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ბლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ კანონების“ და მხედვის კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა საერთო შორისონ ხტა ნდა რჩებთა თა.

სანქციას, რომელიც ეხება ასოციაციას, წინ უნდა უძლოდეს ადმინისტრაციული პროცესი, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სრული იურისდიქციის მქონე დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე.²³⁷

113. გარდა ამისა, ჯარიმების პროპორციულობის და მათი გადაჭარბების შესაფასებლად, ზოგადად სასარგებლოვა მათი შედარება საშუალო თვიურ ხელფასთან.²³⁸ ამ მხრივ, სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ ერთობლივ დასკვნაში, ODIHR და ვენეციის კომისიამ ჯარიმის ოდენობა შეადარეს²³⁹ საშუალო თვიურ მთლიან ხელფასს სერბთა რესპუბლიკაში,²⁴⁰ 0,5-დან 2,5-მდე საშუალო თვიურ ხელფასთან და დაასკვნეს, რომ „ჯარიმების სექტრი შეიძლება განსაკუთრებით პრობლემური იყოს ზოგიერთი სუბიექტისთვის, რომლებიც განიხილება როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ აქვთ მცირე დაფინანსების წყარო.“²⁴¹ ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც მინიმალური ჯარიმის დაწესება შეიძლება იყოს არაპროპორციული, თუ აღნიშნული დარღვევა არ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, როგორიცაა განაცხადში არაზუსტი ინფორმაციის უნებლივ წარდგენა.²⁴²

5.8. ეფექტური აღდგენის საშუალების უფლება

114. ზოგიერთი ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა დუმს გაერთიანების თავისუფლების ფუნდამენტური უფლებების პოტენციური დარღვევის დაცვის ეფექტურ საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულია ასოციაციების კლასიფიკაციასთან, როგორც „უცხო აგენტად“, მათ რეგისტრაციასთან და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან და შეზღუდვებთან. ზოგიერთი მათგანი არ ითვალისწინებს რეგისტრაციის გაუქმების პროცედურას. როგორც ხაზგასმულია გაერთიანების თავისუფლების შესახებ ერთობლივ სახელმძღვანელოში, ასოციაციებს, მათ დამფუძნებლებსა და წევრებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ეფექტურ საშუალებებზე, რათა გასაჩივრონ ან გადახედონ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათი უფლებების

237 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ტეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ევროპა ში არასამთავრობო ნიშანით გენტების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, 3 უნიტები 10 და 74, იხილეთ ასევე ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელო გაერთიანების თავისუფლების შესახებ, CDL-AD(2014)046, 3 რინგი 11.

238 საქართველოს კანონით გრძელებული შესახებ „ითვალისწინებდა 25000 ლარის (და ას ლო ბილი 9000 ე.ც.რო) ჯარიმას „უცხოური გა ა ლუსის ა გენტა დ“ რეგისტრაციის თავიდან 5 ა ცილ ბის ა ნ შესაბამისი ფინანსური დეკლარაციის წარუმატებლობის თვის, ა ს ე ვ 10000 ლარის ოდენობის ჯარიმას (და ა ს 3550 ე.ც.რო) ს ხ ვ ა დ რ დ ვ ე ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს, რაც მ ე რ ყ ე რ ბ ს 5,5-დან 14-მ დ დ ს ა შ უ ა ლ თ ვ ი უ რ ი ხ ე ლ უ ა ს ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ი ს (2023 წ ლ ს 3 ი რ ვ ე ლ კ ვ ა რ ტ ლ ს ს ა შ უ ა ლ ხ ე ლ ფ ა ს ი თ ვ ე შ ი 1716,6 ლარი იყო, იხილეთ თხელფასები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

239 1000 ბოსნიურ მარკა (და ა ს ლ ე ბ ი თ 6511)-დან 5 5000-მ დ ე (და ა ს ლ ე ბ ი თ 62556).

240 2023 წ ლ ს მ ა რ ტ ი ს თ ვ ი ს, ს ა შ უ ა ლ მ თ ლ ი ა ნ ი თ ვ ი უ რ ი ხ ე ლ ფ ა ს ი შ ე ა დ ე ნ ს 1910 ბოსნიურ მარკას, იხილეთ თხელფასების ინსტიტუტი - რესპუბლიკა ს ე რ ბ ს კ ა (rsrsba).

241 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი მოხაზულება სერმონიკა კანონპროექტის შესახებ, არასომერციული მრავილი გაფეხის მუშაობის ს პ ე ტ ი ა ლ უ რ ი რ ე ტ რ ი ს ა დ ს ა რ მ ი ს ტ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ი ს 12 ი ვ ნ ი ს ი, 3 უნ ტ ი 72.

242 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი მოხაზულება სერმონიკა კანონპროექტის შესახებ, არასომერციული მრავილი გაფეხის მუშაობის ს პ ე ტ ი ა ლ უ რ ი რ ე ტ რ ი ს ა დ ს ა რ მ ი ს ტ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ი ს 12 ი ვ ნ ი ს ი, 3 უნ ტ ი 73.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თადა ნ და ფინანსებულო ა სოციაციების გამჭვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მთანის უფლება თა საერთო შორისონ სტანდარტებთან ერთან ერთან და რჩებთ ნ.

განხორციელებაზე, რაც გულისხმობს მათვის სარჩელის აღმვრის ან გასაჩივრების უფლების მინიჭებას და სასამართლო განხილვის მეშვეობით ხელისუფლების ნებისმიერი ქმედებისა თუ უმოქმედობის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს მათ უფლებებზე, გადაწყვეტილების მოპოვებას; დარღვეული უფლების გამოსწორება უნდა მოხდეს დროულად და მოიცავდეს ადეკვატურ კომპენსაციას.²⁴³

5.9. დისკრიმინაციისგან თავის არიდება

115. ასევე მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს ის არაპირდაპირი დისკრიმინაციული გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამ კანონმდებლობას პრაქტიკაში. მართლაც, მათ უპირველეს ყოვლისა ექნებათ უარყოფითი შედეგები ასოციაციების მიმართ, რომლებიც არ იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას ან შემოწირულობებს ადგილობრივი წყაროებიდან და მეტწილად ეყრდნობიან უცხოეთიდან შემოსულ შენატანებს. ეს ჩვეულებრივ ეხება ასოციაციას, რომლის მიზნები ან აქტივობები შეიძლება არ იყოს პრიორიტეტული საჯარო დაფინანსებისთვის, ან აუცილებლად არ ემთხვეოდეს საზოგადოების უმრავლესობის აზრებს და იდეებს ან, მართლაც, ეწინააღმდეგებოდეს მათ, მაგრამ მაინც დაცული იყოს გაერთიანების თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლებით.²⁴⁴ ეს ზოგადად მოიცავს გაერთიანებებს, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას ან იდეებს, რომლებიც აპროტესტებენ დადგენილ წესრიგს ან მხარს უჭირენ კონსტიტუციის ან კანონმდებლობის მშვიდობიან ცვლილებას, მაგალითად, აბორტის დეკრიმინალიზაციას, უმცირესობის უფლებების განმტკიცებას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი (ლგბტი) ადამიანის უფლებების დაცვას, რეგიონული ავტონომიისკენ მოწოდებას ან თუნდაც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის გამოყოფას.²⁴⁵
116. ამ მხრივ, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა კონკრეტულად აღნიშნა „[უცხოელი აგენტების კანონმდებლობის] არაპროპორციული გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც ადვოკატირებენ ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მარგინალიზებულთა ჯგუფების უფლებებს, რომლებიც ხშირად დიდად არიან დამოკიდებულნი უცხოელ ფონდებზე თავიანთი საქმიანობის მხარდასაჭერად, ისევე როგორც „უცხოელი აგენტის“²⁴⁶ დასახელების განსაკუთრებით მწვავე ნეგატიური უფლები ადამიანის უფლებათა

243 ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმწიფო უფლებათა და ურთიანების შესახებ, CDL-AD(2014)046, პრინციპი 11 და პუნქტი 36.

244 იქვე ერთობლივი სახელმწიფო უფლებათა და ურთიანების შესახებ, პუნქტი 98.

245 იქვე ერთობლივი სახელმწიფო უფლებათა და ურთიანების შესახებ, პუნქტი 182 და რესურსებზე ხელისაწყობისა, პუნქტი 47.

246 იხილეთ გაეროს სპეციალისტი მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე, წერილი OL RUS 16/2022, 2022 წლის 30 ნოემბრით, მიმართულ რესენტს ფერად რა ციისადმი 2012 წლის 20 ივნისის ფერად რა ლურ კანონთან №121-FZ და შემდგომ ცვლილებებთან და კავშირებით, გვ. 7.

მოსაზრება სა ზღვა რგა რეთად ნ და ფინანსებულო ა სოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ ხაკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელია გენტების შესახებ კანონების“ და მხედვების კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა სა ზროს შორისონტან ნ და რეგებთა ნ.

დამცველებზე, აქტივისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, მათ შორის ლგბტი+ პირების უფლებების დაცვისა და ხელშემწყობ ორგანიზაციებზე.²⁴⁷

6. გაერთიანების თავისუფლების განხორციელებაზე ზემოქმედი მქონე კანონმდებლობის ცვლილების პროცესი

117. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობა „მიღებულ იქნება საჯარო პროცედურის ბოლოს და რეგულაციები გამოქვეყნდება, რაც მათი ძალაში შესვლის წინაპირობა იქნება“ (1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი, პუნქტი 5.8). უფრო მეტიც, ძირითად ვალდებულებებში მითითებულია: „კანონმდებლობა ჩამოყალიბდება და მიღება ღია პროცესის შედეგად, რომელიც ასახავს ხალხის ნებას, პირდაპირ ან მათი არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით“ (1991 წლის მოსკოვის დოკუმენტი, პუნქტი 18.1). როგორც ხაზგასმულია გაერთიანების თავისუფლების ერთობლივ სახელმძღვანელოში:

„ასოციაციებსა და მათ წევრებთან კონსულტაცია უნდა მოხდეს ნებისმიერი რეგულაციების ან პრაქტიკის შემოღებისა და განხორციელების პროცესში, რომელიც ეხება მათ საქმიანობას. მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე და უნდა მიიღონ ადგვატური და დროული შეტყობინება საკონსულტაციო პროცესების შესახებ. გარდა ამისა, ასეთი კონსულტაციები უნდა იყოს შინაარსობრივი და ინკლუზიური და უნდა მოიცავდეს დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა და საპირისპირო შეხედულებებს, ასევე მათ, ვინც კრიტიკულია შემოთავაზებული წინადადებების მიმართ. კონსულტაციების ორგანიზებაზე პასუხისმგებელ ირგანოებს ასევე მოეთხოვებათ პასუხი გასცენ დაინტერესებული მხარეების წინადადებებს, განსაკუთრებით მამინ, როდესაც ამ უკანასკნელთა შეხედულებები უარყოფილია.²⁴⁸

118. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების გაეროს სპეციალური მომხსენებელი კონკრეტულად რეკომენდაციას უწევს ქვეყნებს „მნიშვნელოვნად ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, სანამ მიიღებენ რაიმე ზომებს, რომელიც გავლენას ახდენს მათ უფლებაზე მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ დაფინანსება“.²⁴⁹

119. იმისათვის, რომ კანონპროექტზე კონსულტაციები ეფექტური იყოს, ისინი უნდა იყოს ინკლუზიური და მოიცავდეს კონსულტაციებსა და შენიშვნებს

247 იქვე. გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე. წერილი OL RUS/16/2022, გვ. 3.

248 ODIHR და ვენეციის კომისია, გაერთიანების თავისუფლების ერთობლივი სახელმძღვანელო. CDL-AD(2014)046, პუნქტი 106.

249 იხილეთ მაგ., გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე, 2022 წლის ანგარიში რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. A/HRC/50/23, 10 მაისი 2022, პუნქტი. 64(f) და დაბებით გაიდლინები: ზოგადი პრინციპები და სახელმძღვანელო პრინციპები სამოქალაქო საზოგადოების მიზანის შესრულებაზე წვდომის უფლების უზრუნველყოფა და HRC/53/38/Add.4, 23 ივნისი 2023, პუნქტი. 29.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თა და ნ და ფინანსები ა სოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოლოდაგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა საერთო შორისონტანდა რეებთან.

საზოგადოების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან. მათ ასევე უნდა დაუთმონ საკმარისი დრო დაინტერესებულ მხარეებს კანონპროექტის შესახებ რეკომენდაციების მოსამზადებლად და წარდგენისთვის, ხოლო სახელმწიფომ უნდა შექმნას ადეკვატური და დროული გამოხმაურების მექანიზმი, რომლითაც საჯარო ხელისუფლებამ უნდა აღიაროს და უპასუხოს მათ წვლილს, გარკვეული კომენტარების ჩართვის ან წინადადებების უარის მკაფიო დასაბუთებით. ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, კონსულტაციების მექანიზმებმა უნდა უზრუნველყონ წინადადებების გათვალისწინების შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე და მთელი პროცესის განმავლობაში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც პროექტი მზადდება შესაბამისი სამინისტროების მიერ, არამედ მაშინ, როდესაც ის განიხილება პარლამენტის წინაშე (მაგ., საჯარო მოსმენების ორგანიზებით). ხანდახან, ზოგიერთი საკანონმდებლო ინიციატივა, როგორიცაა სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტი, მხოლოდ საჯარო ვებ-გვერდზე ქვეყნდებოდა კომენტარებისთვის საკმაოდ მოკლე დროით.²⁵⁰ საჯარო კონსულტაციებისთვის შესაბამისი ვადა უნდა იყოს ისეთი, რაც უზრუნველყოს კანონპროექტის ან ცვლილებების სათანადო და სიღრმისეულ განხილვას და უნდა იყოს ადაპტირებული მისი სიგრძისა და საკითხის სირთულესთან.²⁵¹ „უცხოლი აგენტების კანონების“ და სხვა მსგავსი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებაზე პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინებით, აღნიშნული გაამართლებს უფრო ხანგრძლივ პერიოდს მნიშვნელოვანი საჯარო კონსულტაციების ორგანიზებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ მიიღოს ზომები, რათა საზოგადოებას გააცნოს ცვლილებების პროექტი მედიის საშუალებით და მოითხოვოს გამოხმაურება, რადგან კანონპროექტის უბრალოდ გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის საკმარისი.²⁵²

120. „უცხოლი აგენტების“ კანონმდებლობის ან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების უმეტესობა, როგორც წესი, შემუშავებული იყო ასოციაციების ან სამოქალაქო საზოგადოების მცირე ჩართულობით ან კონსულტაციებით, ხოლო როდესაც განხორციელდა კონსულტაციების ზოგიერთი ფორმის ორგანიზება, ვადები ზოგჯერ საკმაოდ მოკლე იყო კომენტარების მიწოდებისთვის და ხშირად არ იყო კონკრეტული ძალისხმევა გაღებული დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, არც ადეკვატური და დროული გამოხმაურების მექანიზმი უზრუნველყოფილი და არ იყო სიცხადე საჯარო კონსულტაციების მეთოდებთან დაკავშირებით, რაც

250 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივ მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციული ინდუსტრიალური მუშაობის სპეციალისტების რეგულირისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 13.

251 იხილეთ მაგ., ODIHR, მოსაზრება უკრაინის კანონპროექტის შესახებ „საჯარო კონსულტაციების შესახებ“ (2016), პუნქტი ბი 40-41.

252 იხილეთ ODIHR და ვენეციის კომისია, ერთობლივ მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციული ინდუსტრიალური მუშაობის სპეციალისტების რეგულირისა და საჯარობის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, პუნქტი 13.

მოსაზრება ს ა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებული ა ს თვითა ციების გა მჯვირვა ღობისა და რე ული რე ბის შესახებ ხაკა ნონ მდე ბლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელია გენტული ბის შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონ მდე ბლო ის შესახებ და მა თუ შესაბა მისობა ა და მიანის უფლება თუ სა ერთა შორის თუ სტა ნ და რტების ნ.

იწვევს გარკვეულ ეჭვს, რამდენად იყო ან იქნება საჯარო კონსულტაციები ეფექტური და ინკლუზიური.²⁵³

121. მიუხედავად იმისა, რომ კანონის შემქმნელებმა ზოგადად მოამზადეს ხსენებული კანონმდებლობის განმარტებითი ბარათების ან შენიშვნების გარკვეული ფორმები, როგორც ხაზგასმულია მე-3 ნაწილში, ისინი ზოგადად საკმაოდ მოკლეა და არ ითვალისწინებენ კონკრეტულ რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას ან კვლევას, რომელზეც დაფუძნებითაც შემოგვთავაზებდა რეფორმის დასაბუთებას.²⁵⁴ ზოგადად, ისინი არ აწვდიან სათანადო ან რაიმე მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასებას, რომელიც ასევე ფრთხილად დააბალანსებს კანონის პოტენციურ სარგებელს, რომელიც აწონასწორებს კანონის უარყოფით გავლენას გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაზე.²⁵⁵ საკანონმდებლო ინიციატივების გავლენა ასევე უნდა განიხილებოდეს გენდერული, მრავალფეროვნებისა და ინტერსექციურობის პერსექტივიდან, რათა უზრუნველყოს, რომ შემოთავაზებული კანონმდებლობა უარყოფითად არ მოქმედებს ადამიანებზე და ჯგუფებზე, რაც მოიცავს კაცებს, ქალებს და არაბინარულ ადამიანებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ახალგაზრდებს და მოხუცებს, ეთნიკური, ეროვნული თუ რელიგიურ ჯგუფებს. აღნიშნული კანონპროექტის მიღების შედეგები, განსაკუთრებით მის შინაარსთან დაკავშირებით უკვე წამოჭრილი შეშფოთების გათვალისწინებით, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის, უმცირესობებისა და ჯგუფებისთვის. როგორც საუკეთესო პრაქტიკა და საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ასოციაციების მარეგულირებელი არსებული კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგი მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და კანონშემოქმედების უზრუნველსაყოფად, მტკიცებულებების შეგვროვებით, რაც წარსულში კარგად მუშაობდა, ზემოქმედების შეფასებით და შესაბამისად არსებული მთავრობის პოლიტიკისა და მიღებული კანონების ეფექტურობა და ინფორმირებული

253 იხილეთ მაგ., ODIHR, გადაუდებელი შესახებური მოსაზრება არაკომერციული არასამთავრობო მომართებელი შესახებ კანონპროექტის შესახებ და ცვლილებების პროექტი კინგი ზე თას რესპონსოს „უცხოეთო წარმომაზრულობის შესახებ“ (12 დეკემბერი 2022), კუნქტები 111-112, აგრეთვე, მაგალითად, ODIHR და ვენეციის კომისია, ურობობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციული მომართების შეუძლებელის შეუძლების სპეციალური რეესტრისა და საჯარო მომისის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, კუნქტი 13.

254 იხილეთ მაგ., ODIHR და ვენეციის კომისია, ურობობლივი მოსაზრება სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ არაკომერციული მომართების მუშაობის სპეციალური რეესტრისა და საჯარო მომისის შესახებ, 2023 წლის 12 ივნისი, კუნქტი 13.

255 მაგალითად, სერბთა რესპუბლიკის კანონპროექტის განმარტებით ჩანაწერი არის ძალან მოკლე და მხოლოდ მიუთათებს კანონპროექტის სოციალური, გარემოს და ცვითი და საბიუჯეტო ზე მოქმედების არარსებობაზე; ყირგიზეთს რესპუბლიკის 2022 წლის ნოემბრის კანონპროექტისთვის, განმარტებით ჩანაწერში მხოლოდ აღნიშნულია, რომ იგი არ ითვალისწინებს სოციალურ, ეკონომიკურ, გენდერულ გარემოს და ცვითი კორეფციულ შედეგებს და აცხადებს, რომ „ეს კანონპროექტი არ ეხება ბიზნესის საკითხებს და რეგულირებულ ზე მოქმედების ანალიზი, არარის საჭირო“.

მოსაზრება სა ზღვა რგა რე თოდა ნ და ფინანსებ ული ა ს მცირების გა მჯვირვა ღობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელიანების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათ შესაბამისობა ა და მიანის უფლება თა საერთო შორისო სტანდარტებთან ერთანაბრძოვა და რეგულირების შესახებ.

გადაწყვეტილების მიღება პოტენციური ცვლილებების პროცესის ინფორმირებისთვის.²⁵⁶

122. ზოგადი რჩევა კანონმდებლების მიმართ არის ის, რომ უზრუნველყონ, რომ საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ ასოციაციების უფლებაზე მოიძიონ და მიიღონ რესურსები, მათ შორის საზღვარგარეთიდან, დაექვემდებაროს ინკლუზიურ, ვრცელ და ეფექტურ კონსულტაციებს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან, ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობის თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობით და საკმარისი დრო დაუთმონ საპარლამენტო დებატებს. ზემოაღნიშნული პრინციპების მიხედვით, კონსულტაციები უნდა ჩატარდეს დროულად, რომ საზოგადოებას მიეცეს საკმარისი დრო კანონშემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის პარლამენტის წინაშე. უნდა არსებობდეს სათანადო უკუკავშირის მექანიზმი. როგორც კარგი კანონშემოქმედების მნიშვნელოვანი ელემენტი, ასევე უნდა დაინერგოს აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისა და მათი გავლენის თანმიმდევრული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ეფექტურად შეაფასებს კანონპროექტის/ცვლილებების პროექტის მოქმედებას და ეფექტურობას, მათი დამტკიცების შემთხვევაში.²⁵⁷

[ტექსტის დასასრულობა]

256 იხილუ მაგ., ODIHR, გადაუდებელი შუალედური მოსაზრება არაკომერციულ კრასამთავრობო რეგულირების კანონპროექტის შესახებ და ცვლილებების პროექტი უზრდიშვილის რესპუბლიკის „უცხოელიანების წარმომაზრენების შესახებ“ (2022 წლის 12 დეკემბერი), ვუნქტ 114.

257 იხილუ მაგ., OECD, საერთო შორისო პრაქტიკა ყოფილი პოსტ-შეფასების შესახებ (2010).